

АГЪУЫЗАТЫ ИУАНЕ

АМДЗÆВГÆТÆ, ПОЭМАÆ
«АЛГЪУЫЗЫ КАДÆГ»
АМАÆ
АЕНДÆР АЕРМАЕДЖЫТÆ

Чиныг сарæзта æмæ йын иртасæн уац ныффыста
Шота Курдадзе

იოანე იაღლუზიძე

ღემსები, პოემა
„იაღლუზიანი“
და
სხვა მასალები

კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო შოთა ქურდაძემ

რეცენზენტები: გ. დ. თოგოშვილი, } ისტ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები
ლ. ა. ჩიბიროვი }

რედაქტორი მ. ბ. ცხოვერიძე

ს M 622 (06) 88
47024700

© „გამომცემლობა ირისტონი“, ცხინვალი, 1988

ექვნიება ქართველი და ოსი ხალხის საუკუნოვან მეგობრობას

წინასიტყვა

იოანე იალღუზიძე (გაბარაევი) XVIII ს. დამღევისა და XX ს. პირველი მესამედის გამოჩენილი ოსი მწიგნობარია, რომელმაც დასაბამი მისცა ოსურ დამწერლობას და საერთოდ დიდი როლი შეასრულა ოსური კულტურის განვითარების საქმეში. იგი იმ ოს კულტურულ მოღვაწეთა პღეადას ეკუთვნოდა, რომღეღეც XVIII ს. ქართული მწიგნობრობისა და კულტურის ბაზაზე, საქართველოს კულტურულ (უპირატესად სამონასტრო) ცენტრებში აღიზარდნენ და ქართული კულტურის ცნობილ მოღვაწეებად ჩამოყალიბდნენ. ასეთები იყვნენ არქიმანდრიტები პართენი, გამალიელი და ნეოფიტე, იოანე იალღუზიძე. ამათგან მხოლოდ უკანასკნელი იყო ისეთი მოღვაწე, რომელიც გასცდა ქართული კულტურის სარბიელზე მოღვაწეობის ფარღღებს და, XIX ს. დამღევიდან მოყოღღებული, ენერგიულად მოღვაწეობდა ოსური კულტურის სარბიელზეც. იგი სამართლიანად არის მიჩნეული ქართულ-ოსური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესანიშნავ წარმომადგენლად და მკვღევეართა ყურადღებასაც კანონიერად იპყრობს.

იოანე იალღუზიძის მოღვაწეობისადმი დიდი ინტერესის მიუხედავად მისი ჩვენამღე მოღწეული თხზუღღებები — ორი ლექსი და პოემა, აგრეთვე მის კულტურულ-საგანმანათღღებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მასაღღები ერთად გამოცემული და მეცნიერულად გააზრღღებული დღემღე არ ყოფიღღა. კრებული ამ მსრივ პირველ მერცხლად გვეღღინება.

თავისთავად ასეთი კრებულს გამოცემის იღევა ყოველგვარი მხარდაპყრის ღირსია. მით უფრო, რომ მას ახღღავს მოკღღე, მაგრამ ტევეადი შესავალი წერილი და მალღღკვაღღიფიციური გამოკღღევა. გამოკღღევა წარმოადგენს პოემა „იალღუზიანის“ ისტორიულ-ფილოლოგიური შესწავღღის ფაქტობრივად პირველ სერიოზულ და თანაც წარმატებულ ცღღას.

პროფ. შ. ქურდაძე პოემის შესავალი სტროფების სათანადო ანალიზს საფუძველზე ასკვნის, რომ მასში გადმოცემულია დავით სოსლანის ისტორიული გენეალოგია ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით. იგი იკვლევს იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობას და სამართლიანად ასკვნის, რომ მას ასაზრდოებდა ქრისტიანული რელიგია და ქართული ტრადიციული ფილოსოფიური აზროვნება; რუსთაველის ჰუმანისტური შეხედულებები და ხალხური სიბრძნე, რომელსაც ბავშვობიდანვე ეცნობოდა ოსი და ქართველი ხალხის ფოლკლორის საფუძველზე. ყოველივე ეს მან გადახარშა იმ ახალი ისტორიული მოვლენების შუქზე, რომლებიც მოჰყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას.

მკვლევარს დამაჯერებლად აქვს დამტკიცებული მოსაზრება, რომ „ალღუზიანი“ დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს „ვეფხისტყაოსანთან“, როგორც შინაარსობრივი მოცემულობით, ასევე ზოგიერთი ლექსიკური მასალის ადეკვატური დამთხვევით.

პროფ. შ. ქურდაძე დამაჯერებლად მსჯელობს იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობაში ორი ეტაპის შესახებ. ამ ეტაპების მიჯნად მიჩნეულია 1802 წელი — ვანათში ჩამოყალიბებული დროებითი სასამართლოს დებულების შედგენის დრო. პირველ ეტაპზე მისი მსოფლმხედველობა მარტივია, ერთსახოვანი, ფეოდალური ყოფის ამსახველი და მხოლოდ მეორე ეტაპზე ხედავს იგი საზოგადოების სოციალურ სინამდვილეს, გაბატონებული კლასის მიერ მშრომელთა ჩაგვრას.

მკვლევარი ვრცლად იკვლევს „ალღუზიანის“ ფოლკლორულ მოტივებს. იგავთმეტყველებას, ფერთმეტყველებას, პედაგოგიკურ ტერმინოლოგიას (და, ამდენად, იდეებს).

კრებული თავის შედგენილობით, თანდართული გამოკვლევის სიღრმით სრულ მოწონებასა და მხარდაჭერას იმსახურებს. იგი ქართულ-ოსური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის უაღრესად საინტერესო მომენტებს აშუქებს ამ ხალხთა მეგობრული ურთიერთობის სულისკვეთებით. იგი ეხმიანება ამ მეგობრობის შემდგომი გაღრმავების კეთილშობილურ ამოცანას

ლ. ა. ჩიბიროვი, გ. დ. თოგოშვილი,
ისტ. მეცნ. დოქტორები პროფესორები

„... დავიწყე წერა-კითხვის სწავლება ქართულ ენაზე და მიეხვდი, რომ ხალხი, რომელსაც არ აქვს წიგნები (დამწერლობა), მოკლებულია სწორ გაგებას, არ იცნობს, როგორც საჭიროა, საკუთარ თავს.“

„აღვწერო ყველა გონიერად, მართალ, არა რა შეეშალო, რაც მომხდარა ჩვენში კარგი, ვიწყო და არ დავიშალო, თუ როგორის ცხოვრებითა ჩვენმან მყოფობამან განვლო, შეწვევითა ქრისტეს ღვთისა ყოფილი ესრეთ მოვთვალო“.

იოანე იალღუშიძე

შესავალი

ქართველი და ოსი ხალხი უხსოვარი დროიდან მეზობლობდა. ურთიერთგაგებით ერთად ცხოვრობდა და ერთიმეორის სასიცოცხლო ინტერესებისათვის თავდადებით იბრძოდა.

ჩვენი ორი ხალხის საუკუნოვანი ცხოვრების ეს საარაკო გზა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მემატრიანებს.

გავიხსენოთ მრავალთაგან ზოგიერთი ცნობა:

ა) და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყისდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყუსოსა ოვსსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, საუკუნეთისა და ჩეჩქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა“. ჭუანჭერი.

ბ) „ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან — ამისთვისცა ბრძანა მიეღებან წარსვლა ოვსეთს, და სიტყუასავე თანა წარემართა... შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი...“

და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე ოვსთა და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეართნა ორნივე ნათესავნი — და ყო მათ შორის მთასა სიყუარული და მშ ჳ დობა ვითარცა ძმათა“. ღავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

ქართველი ხალხის ასეთ დამოკიდებულებას ოსები და, აგრეთვე, კავკასიის მთის მცხოვრები სხვა ხალხებიც დიდი ერთგულებითა და მეგობრობით პასუხობდნენ. სოლომონ ლიონიძემ მეფე ერეკლე მეორის დაკრძალვისას აღნიშნა:

„როდესაც მეფის ერეკლეს ბედნიერი დროშა გაიშლება, დაღესტნელნი ლაშქრად მობიან, ოვსნი და ჩერქეზნი მეფის ერეკლეს წინ სისხლის დათხევას ლამობენო“.

XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ოსი განმანათლებლის იოანე იალღუზიძის ცხოვრება, შემოქმედება და მოღვაწეობა ჩვენი ორი ხალხის ამ უტყუარი მეგობრობისა და თანაცხოვრების იშვიათი მაგალითია.

იგი იყო მასწავლებელი, მთარგმნელი, პოეტი და, საერთოდ, ფართო მასშტაბის სოლიდარული მოღვაწე.

სამწუხაროდ, იოანე იალღუზიძის მთარგმნელობითსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას რომ თავი დავანებოთ, დღემდე ერთიანი კრებულის სახით არც მისი მხატვრული ნაწარმოებები და ავტობიოგრაფიული მასალებია გამოცემული.

ჩვენი მიზანია, რამდენადმე შეეავსოთ ეს ხარვეზი და მკითხველს ერთი მთლიანი კრებულის სახით მივაწოდოთ იოანეს ლექსები, პოემა „აღღუზიანი“ და სხვა ავტობიოგრაფიული მასალები.

კრებულში შევიტანეთ პოემა „აღღუზიანის“ გ. ბესთაუთისეული ოსურ ენაზე თარგმანიც, რაც, ვფიქრობთ, დააკმაყოფილებს მხატვრულ-ესთეტიკურ მოთხოვნას იმ მკითხველებისას, რომლებიც ფლობენ როგორც ოსურ, ისე ქართულ ენებს.

შესაძლოა, კრებულის გამოცემას რაიმე ნაკლი დააჩნდეს, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ იოანე იალღუზიძის ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების ფართო მკითხველისათვის ამ სახით მიწოდება კარგი ნობათი იქნება იმ საუკუნოვანი მეგობრობის შესასწავლად და მოსაფრთხილებლად, რითაც ქართველი და ოსი ხალხები კანონიერად ამაყობენ.

იოანე იალღუზიძის ბიოგრაფიული ცნობები

ცნობილი ოსი განმანათლებელი, პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე იოანე გიორგის ძე იალღუზიძე (ნამდვილი გვარი გაბარაევი) დაიბადა 1775 წელს ახლანდელი ადმინისტრაციული დაყოფით სოფელ ზალდაში.

ეს სოფელი ადრე უფრო დასახლებული ყოფილა. ლიახვის ხეობის სიძველეთა მკვლევარი პროფ. ი. მეგრელიძე წერს: „ზალდაში 1865 წელს დროებით ვალდებული 67 გლეხი ირიცხება. ახლა აქ მისი ნახევარი თუ იქნება (დანარჩენი ბარისკენ წასულან...)“

ზალდაში პირველად 1954 წელს რომ ვიყავით. ი. იალღუზიძის მამა-პაპეული სახლის ნანგრევები და კოშკ-გალავანის კედლები ჯერ კიდევ არსებობდა. უბანს ადგილობრივები გალვანს (ქართ. გალავანი) უწოდებდნენ. ... იალღუზიძის მოდგმანი გაბარათებად ითვლებიან: აბრამ. გერსან, გიორგი, ელიოზ. იასონ, ილო, კოსტა. ჩვენი (ცხინვალელი ექიმის ვიქტორ ჭუსოითის, ოთარ ჭაფარიძისა და ჩემი) მასპინძელი. ყოფილი მასწავლებელი რომან (რამან) ექვთიმეს ძე გაბარათი (გაბარაევი) და სხვები. ესენი გვიამბობენ, რომ მათი შორეული წინაპრები აქ მზივის მთიდან და ყელის ტბიდან (წითელი ჯვრის მთიდან) ჩამოსახლებულან. ზალდის უფრო ძველი უბნები სოფლის გარეთ — სამხრეთ აღმოსავლეთითა და სამხრეთით (ამას ლოლაანთ უბანს ან პატარა ლალისას უწოდებენ) მდებარეობს.¹

აკად. კ. კეკელიძისა და სხვა მკვლევართა აზრით იოანეს თავის გვარი იალღუზიძე ოსი ხალხის გმირი წინაპრის ალღუზონისაგან შეურჩევია და თავისი თავი ალღუზონის შთამომავლად მიუჩნევია².

¹ იოსებ მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, 1984, გვ. 92.

² ტრიფონ რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“, 1939, გვ. 198.

აღსანიშნავია, რომ პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მაინცდაპაინც მდიდარი ცნობები არ მოგვეპოვება იმ ცნობებიდან, რომელიც ჩვენთვის ყველაზე საიმედოა, უნდა დავასახელოთ იოანე იაღლუზიძის ავტობიოგრაფია, რომელიც 1820 წელსაა დაწერილი.

ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტში ვკითხულობთ: „საქართველოს აზნაური იოანე გიორგის ძე იაღლუზიძე ვარ მეწლისა მე-სა. მყავს ცოლი და ორი შვილი. ვშობილ ვარ ოსეთსა შინა. წარმოება ჩემი არს ბუნებით ოსთა აზნაურთაგან. გარდა ქართულისა და ოსურისა ენისა შემიძლიან რაოდენიმე ლაპარაკი რუსულსა ენასაზედა“³.

პატარა იოანეს ცხოვრებისეული პირველი ნაბიჯები ემთხვევა ფეოდალურ საქართველოში ნეფე ერეკლე მეორის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ვაჭრობა-ხელოსნობისა და განათლების განვითარების შესახებ. ბუნებრივია, ქვეყნის გარდაქმნის დასახული ამოცანები მეტად მნიშვნელოვანი იყო; საჭირო გამხდარა „საამისოდ... ქალაქებში... გახსნილიყო სათანადო სკოლები, რომლებშიც ისწავლიდნენ არა მარტო თავად-აზნაურების. არამედ მოქალაქეთა და გლეხთა შვილებიც. სკოლებსა და მასწავლებლებს სახელმწიფო ხარჯზე უნდა ემუშავნათ“

ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობის მკვლევარის პროფ. ტ. სარიშვილის აზრით „ეს ის პერიოდი იყო, როდესაც კავკასიის მთის ოსებში მწერლობის, საფილოსოფოსო და საეკლესიო ცოდნის გავრცელების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ანტონ კათალიკოსის აღზრდილი სასულიერო პირები, მათ შორის გამაღიელი ოს ყოფილი არქიმანდრიტი „წერილითა და გალობითად შინა გამოცდილი და არიზმატიკოსი... მწერალი უცხო. რომელმაც მრავალნი სამღვთონი და საერონი გადასწერა ვიდრე სამასამდისინ“ და რომელიც საკმაო ხნის განმავლობაში იკორთის მონასტრის ეკლესიაში მოღვაწეობდა“⁵.

მეფე ერეკლეს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს კიდევ უფრო დაწვრილებით მკვლევარი გ. სიხარულიძე ასე ახასიათებს: „XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართვე-

³ ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 70.

⁴ ბ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი... საქართველოს ისტორია, 1, 1958, გვ. 375.

⁵ ტ. სარიშვილი, ოსეთ-საქართველოს კულტურულ-პედაგოგიური ურთიერთობა, 1965, გვ. 16.

ლოში სამეფო-სახელმწიფო სასწავლებლები არსდება და ამდენად სწავლა-აღზრდა ორგანიზებულ. გეგმიან ხასიათს ღებულობს. ამ საქმის რეფორმატორად გვევლინება მეფე ერეკლე II. მან ფართოდ გამოიყენა რუსეთის კულტურული მონაპოვარი განათლების ორგანიზაციის სფეროში. ამ მხრივ მეფე ერეკლეს ხელი შეუწყო ანტონ I კათალიკოსმა (1720 — 1788) ქართველობაში რუსული ორიენტაციის პოპულარიზაციით, რუსული ენისა და განათლების დანერგვისათვის მხარდაჭერით. თვითონ ანტონი რუსეთში ყოფნისას უშუალოდ ეზიარა რუსი ხალხის კულტურას (1756 — 1762 წ. წ.), გაეცნო რუსულ ორიგინალურ და თარგმნილ სამეცნიერო ლიტერატურას. იქაურ საგანმანათლებლო საქმეს, სწავლულებს, სასწავლო პროგრამებს, სწავლების პრინციპებს და პრაქტიკას. საქართველოში დაბრუნებისთანავე (1762) მიღებული ცოდნა-განათლება გამოიყენა ჯერ თბილისში 1755 წელს დაარსებული სემინარიის რეორგანიზაციის საქმეში, ხოლო შემდგომ. 1782 წ. თელავს სემინარიის დაარსებაში.⁶

აქვე ისიც უნდა ითქვას. რომ ამ პერიოდში სწავლა-განათლების კერები თავიანთ მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს აგრძელებდნენ ეკლესია-მონასტრებში.

ირკვევა. რომ სემინარიებსა და ძველი ტაძრის სასულიერო სასწავლებლებში მეტ-ნაკლებად ისწავლებოდა ისეთი საგნები, როგორცაა: გრამატიკა. პოეტიკა. რიტორიკა. ლოგიკა. კატეგორია. მეტაფიზიკა. ფილოსოფია. საღვთო სჯული. საიკლესიო ისტორია. მშობლიური ენა. არითმეტიკა. სამოქალაქო ისტორია და სხვა.

აი. ასეთ სასწავლო ატმოსფეროში მომხდარა იოანე იალღუზიძეც. რის შესახებაც იგი წერს: „დროსა ჯერეთ მცირე წლოვანებისა ჩემისასა წამოყვანილ ვიქმენ მე ოსეთითგან საქართველოსა შინა. სადაც საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან, პსცნა რა ჩემისა წარმოებისათვის. ბრძანა მიცემათ ჩემი მამისა არხიმანდრიტისადმი ნათლის მცემლის მონასტრისა სასწავლებლად კითხვისა საეკლესიოთა წიგნთასა ქართულისა ენასა ზედა“⁷

„შემდგომ მისსა ნებითავე მეფისა ირაკლისათა ვიყავ წარგზავნილი დავით გარესჯის უღაბნოსა შინა ყოფილსა მუნ მღვდელ

⁶ ვ. სიხარულიძე, განათლება XIII — XVIII საუკუნეების საქართველოში, თბ. ქართული პედაგოგიის ისტორია, 1974, გვ. 96.

⁷ ი. თ ე დ ე ე ვ ი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ.70.

მონაზონისა იოანე ქარუმიძისადმი. ვითარცა მცოდნისა ფილოსოფიისა სასწავლებლად სიტყვიერებისა⁸.

იოანესადმი გარეჯის მღვდელ მონაზონს დიდი ყურადღება გამოუჩენია. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც იოანე ქარუმიძე წილკნის ეკლესიის მღვდელთ უფროსად დაუნიშნავთ, მას იოანე იალღუზიძე მეფე ერეკლესთან წარუდგენია, ჩანს. უკვე განსწავლული. მეფეს მოწყალებით მიუღია იგი. მეტიც: ერეკლეს იალღუზიძისთვის ალუთქვამს „მიცემად საკამოასა საზრდოასა“, მაგრამ ამ შეპირებით ვერ უსარგებლია მას ერეკლეს გარდაცვალების გამო და დარჩენილა „საკუთართა მზრუნველობასა ზედა“⁹.

გრ. ჩოჩიშვილის გადმოცემით იალღუზიძეს დაუმთავრებია აგრეთვე თბილისის სასულიერო სემინარია და მიუღია იმდროისათვის შესაფერისი კარგი განათლება¹⁰.

იოანე დაახლოებით 1798 წელს მასწავლებლად დაუნიშნავთ დაბა დუშეთში, სადაც იგი გლეხის ბავშვებს ასწავლიდა წერა-კითხვას ქართულ ენაზე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით იოანე რამდენ წელიწადს მასწავლებლობდა დუშეთში, გარდა წილკნის ეპისკოპოსის ქარუმიძის ანგარიშისა. სადაც აღნიშნულია, რომ 1800 წლის მარტის თვეში იოანე კიდევ მასწავლებლად მუშაობს დუშეთში¹¹.

1802 წლიდან იოანე იალღუზიძე საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როგორც კარგი მცოდნე ოსური, ქართული და რუსული ენებისა, ხელისუფლების მიწვევით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა, ერთი მხრივ, ქართველი და ოსი ხალხის კიდევ უფრო დაახლოებისა და მეზობლური კავშირის განსამტკიცებლად და. მეორე მხრივ, ოსი მოსახლეობის რუსეთის ქვეშევრდომობაში შესასვლელად.

ამ მხრივ აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები:

1. 1802 წელს იოანე იალღუზიძეს ქართულიდან ოსურ დიალექტზე გადაუთარგმნია „учреждения судов и присяги“, სადაც გამოუყენებია ქართული ანბანი.

ამ დოკუმენტის ქართულ ტექსტში ვკითხულობთ: „დავამ-

⁸ ი. თ. დევევი. პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 70.

⁹ იქვე.

¹⁰ ეს და ჩიქოთ წარმოდგენილი სხვა ცნობები, რომელიც იოანე იალღუზიძის ცხოვრებას ეხება, ძირითადად დამოწმებულია ძ. ა. ვუჯაკაევის ვრცელი ნაშრომიდან „იოანე იალღუზიძის ცხოვრება და მოღვაწეობა“. იხ. წიგ. Известия Юго-Осетинского научно-исследовательского института, Выпуск VIII, 1955, გვ. 283.

¹¹ იქვე.

ტკიცებთ სასამართლოს ოსებისათვის დამორჩილებულთ მყოფთ არაგვზედა და პატარა ლიხვზედა ბრძანებით ჩვენის მისს მალალ მსვლელობის და სად ბრძანებლისა და შეინახონ რიგი მოყვანილნი და დამორჩილებულნი რჯულის კანონზედ ოსები, რომელი მოსახლენი არიან ბრძანებითად არაგვზედა“. 1815 წლის 6 მაისიდან იოანე იწყებს მთარგმნელად მუშაობას ოსეთის სასულიერო კომისიაში, რომლის მიზანი იყო ქრისტიანობის გავრცელება ოსეთში. აქ მას ნაყოფიერად უმუშავია სამი წლის განმავლობაში, რის გამოც 1821 წლის 3 სექტემბერს საქართველოს ეგზარხოსის ფეოფილაქტის წარდგინებით იოანემ მიიღო გუბერნიის მდივნის ჩინი.

ამ პერიოდში იოანე თავის სამსახურს მეფის ადმინისტრაციის დავალებით და იმ პატივს, რაც მას მიუღია დამსახურებით, ასე გადმოგვცემს: „საერთოდ განცხადებისა უმაღლესისა მანიფესტისასა და დროსა მოყვანისა მათისასა (ოსი მოსახლეობა იგულისხმება აქ — შ. ქ.) ფიცისადმი ერთგულებასა ზედა მისის იმპერატორების დიდებულებისადმი ამას დროსა შოა ვიყავ წარგზავნილ უძნელესთა და უსაშიშროესთა ადგილებთა შ ~ ა.“. აღვასრულე ყოველნივე ჩემდა ქმნილნი პრწმუნებანი სრულთა გულის მოდგინებითა და ერთგულებითა სამსახურისადმი მისის იმპერატორებითისა დიდებულებისა, რომლისათვისაცა წარდგინებითა უფლის ღვთისა ლენერალ ლეიტენანტის მთავარ მმართველ ყოფილისა საქართველოსა შინა კნორრლისათა. ყოვლად უმოწყალესად ბოძებულ არს ჩემდა მასვე ჩუბ-სა წელსა ოქროს მედალი დასაკიდებლად ყელსა ზ ~ ა წითელისა ლენტით.

უმაღლესითა უქაზითა იბ-სა აგვისტოს, ჩეთ-სა წელსა წარდგინებისა გამო აქაურისა სამხედრო სამოქალაქოს მთავრისათა განსხუავებულისა გულს მოდგინებისათვის სამსახურისადმი. ყდ უმოწყალესად ბოძებულ არს ჩემდა პენციად ასოცი რუბლი ვერცხლის ფული“¹².

1820 წელს ი. იალღუზიძე დანიშნეს თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად, სადაც იგი ოს მოსწავლეებს ასწავლიდა ოსურსა და ქართულ ენებს.

იოანე იალღუზიძე პედაგოგიურ მუშაობას ორგანულად უხამებდა მთარგმნელობით-სამეცნიერო საქმიანობას. მან შეადგინა ქართული ენის გრაფიკის მიხედვით ოსური ანბანი, რომელიც ქ. თბილისში 1821 წელს დაიბეჭდა. თარგმნა ქართულიდან ოსურ

¹² ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 71.

ენაზე ისეთი თხზულებანი, როგორცაა: 1. ლოცვანი (საციკრონი და სამწუხრონი, კატეხიზმოსი და მოკლე ქრისტიანებრი ზნეობითი სწავლა) — დაიბეჭდა ქ. თბილისში 1820 წ. ტირაჟი 300 ეგზემპ.

2. საღმრთო ლიტურღია — დაიბეჭდა ქ. მოსკოვში 1821 წ. ტირაჟი 600 ეგზემპ.

3. გამოკრებული კურთხევანი (წესი წმიდისა ნათლისღებისა, წინდობისა, ქორწინებისა და დაფლვისა) — დაიბეჭდა ქ. მოსკოვში 1824 წ. ტირაჟი 500 ეგზემპ.

მკვლევარი ო. თედეევი აღნიშნავს „ყველა ჩამოთვლილ წიგნში მოცემულია ქართულ-ოსური ტექსტი; ქართული მარცხნივ და ოსური მარჯვნივ. ყველა ეს წიგნი ძველი ქართული ასოებით არის დაბეჭდილი“.

იოანე იალღუზიძეს 1820 — 1823 წლებში ქართულიდან ოსურ ენაზე გადაუთარგმნია ოთხთავი, რომელიც ხელნაწერის სახით სამ ცალადაა დაცული:

1. საქართველოს ცენტრალურ არქივში (ფონდ № $\frac{233}{1446}$ № 651).

2. აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების არქივში (11, 2, 44).

3. მოსკოვის ძველი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ფონდი 381, № 1292).¹³

იალღუზიძემ გადაწერა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 147 გვერდს შეიცავს და სხვ.

ერთი სიტყვით, იოანე იალღუზიძე დიდ პედაგოგიურ, სამეცნიერო-ლიტერატურულ და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. დაწერა რამდენიმე ლექსი, ცნობილი პოემა „იალღუზიანი“ და, ალბათ, ბევრი სხვაც, მაგრამ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი.

იოანემ 1822 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო დატოვა თბილისის სასულიერო სემინარია.

1830 წლის 5 აგვისტოს კი, ქოლერის დაავადებით გარდაიცვალა.

¹³ იხ. ა. შანიძე, „ერთი ფურცელი ქართველთა და ოსთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“, მაცნე, I, თბილისი, 1964, გვ. 170 — 176. აგრეთვე ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 8 — 9.

ვარაუდობენ, რომ ის შეიძლება იყოს დასაფლავებული თბილისში ავლაბრის არხანგელსკის ეკლესიის სასაფლაოზე.

იოანე იალღუზიძეს დარჩა ქვრივი მეუღლე, ორი ვაჟი და ერთი გოგონა. ეს ცნობა დაცულია მისი მეუღლის მარიას მიერ ქ. თბილისის პოლიცემისტერის მინჩენკოსადმი 1831 წლის 17 ოქტომბერს დაწერილ თხოვნაში.

ძიება იოანე იალღუზიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მასალების გამოსავლინებლად და შესასწავლად გრძელდება...

„აღღუზიანის“ ლიტერატურული ფორმირებისათვის

იოანე იალღუზიძის ცნობილი პოემის „აღღუზიანის“ ლიტერატურული ფორმირების საკითხი, ჩვენი აზრით, ჭერჯერობით სრულყოფილად არ არის შესწავლილი. ამ მხრივ პირველ რიგში ცნობილია აკადემიკოს კ. კეკელიძის ფუნდამენტური მოსაზრებანი, ხოლო კერძო კვლევა-ძიების შედეგებით კი პროფესორ ტ. რუხაძის შრომა „აღღუზიანი“. ჩვენ ნაკლებად დამაჯერებელი გვეჩვენება პროფესორ ტ. რუხაძის კატეგორიული მითითება, თითქოს „პირველი თხზულება, რომლის გავლენა აღღუზიანის ავტორს განუცდია, არის ბესარიონ გაბაშვილის პოემა — ხოტბა: „რუხის ბრძოლა“¹⁴.

აქვეა მითითებული ისიც, რომ „აღღუზიანში“ რუხის ბრძოლიდან შემოსულა ეპიზოდი ელჩის წვევისა და ჯარის დახასიათების შესახებ. მაგრამ რატომ მანკაჟაჟაჟა რუხის ბრძოლიდან, და არა სხვა ნაწარმოებებიდან, ამაზე არაფერია ნათქვამი. საკითხთან დაკავშირებით ინტერესს აღძრავს ის ფაქტიც, რომ ბევრად ადრე, ვიდრე პროფესორი ტ. რუხაძე თავის ნაშრომს გამოაქვეყნებდა, აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ სპეციალურად აღნიშნა, რომ იალღუზიძემ თავის ნაწარმოებში „აღღუზიანი“ გამოიყენა „ამირანდარეჯანიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“ ზოგიერთი სტილისტიკური და ლექსიკური არქაული მასალა.

ცნობილი ოსი პოეტი და მკვლევარი ნ. ჯუსოითიც ჩვენთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ ვარაუდობს, რომ იოანე იალღუზიძისათვის თავის პოემაში იდეალური მეფის მხატვრული სახის შექმნისას სამაგალითო უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველის

¹⁴ „ქართული ეპოსი“ „გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“, 1939 წ. გვ. 190.

„ვეფხისტყაოსანში“ ასახული ჰუმანური მეფეების სახეები.¹⁵

ამრიგად, სპეციალურ ლიტერატურაში „აღლუზიანის“ ლიტერატურული ფორმირების თაობაზე ორი სხვადასხვა აზრია: ერთი მოსაზრებით, იოანეს პოემის შექმნისას უპირველესად უნდა გამოეყენებინა ბ. გაბაშვილის პოემა „რუხის ბრძოლა“ და სხვ. ხოლო მეორე მოსაზრებით, „აღლუზიანი“ ლიტერატურული ფორმირების თვალსაზრისით სიახლოვეს ამჟღავნებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“.

უფრო მართებულად მიგვაჩნია მეორე მოსაზრება, რომელიც ზოგად ხაზებში ვარაუდობს „აღლუზიანის“ იდეურ-თემატიკური შინაარსისა და გამომსახველობითი საშუალებების სიახლოვეს „ვეფხისტყაოსანთან“. ჩვენი მოკრძალებული მიზანია, ერთი მხრივ. მოკლედ წარმოვაჩინოთ ის უცილობელი კულტურული-ისტორიული ატმოსფერო, სადაც იოანე იაღლუზიძე პირველ რიგში გაეცნობოდა „ვეფხისტყაოსანს“, თვითონ იოანეს პირადი დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსანისადმი“ და, მეორე მხრივ, მოვნახოთ „ვეფხისტყაოსანთან“ „აღლუზიანის“ ტექსტობრივი და იდეურ-თემატიკური შეხვედრები.

ამ თვალსაზრისით თუ თვალს გავადევნებთ იოანე იაღლუზიძის სულიერი მომწიფების გზას, აღმოჩნდება, რომ იგი იზრდებოდა მეფე ერეკლესა და გიორგი მეცამეტის კარზე. სწორედ მათი საერთო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა დიდი ოსი განმანათლებლის გონებრივი და მხატვრულ-ესთეტიკური პოზიცია.

ისმება კითხვა: მაინც რა სულიერ საგანძურს უნდა შეეწყო ხელი იოანე იაღლუზიძის ასეთი მსოფლგაგების ჩამოყალიბებისათვის? რა თქმა უნდა, საერთოდ მთელ ქართულ მწერლობასა და იმ სულიერ საწყისებს ხალხური ზეპირსიტყვიერების სახით, რაც მას ზალდიდან გამოჰყვა; მაგრამ, თუ მოვისურვებთ გამოვყოთ ქართული მწერლობიდან ის თხზულება, რომელიც იოანესათვის შეიძლება გამხდარიყო შთაგონებისა და გავლენის პირველი წყარო — ეს, უდავოდ, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“.

ამ საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოება: რომ იოანეს სასახლეში განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა ჰქონდა „კალმასობის“ ავტორთან, იოანე ბატონიშვილთან და მის კეთილშობილ მეუღლესთან ქეთევან წერეთელთან, რომელიც თავის მხრივ დიდ პატივს სცემდა ქართულ მწერლობას. და

¹⁵ ოსური ლიტერატურის ისტორია, ტ. I, რუსულ ენაზე, 1980, გვ. 52.

აი. ასეთ გარემოში ცოდნისმოყვარული იოანე აუცილებლად წაიკითხავდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგ შეექვისისეულ გამოცემას, რაც სასახლის კარზე ძნელი მოსაპოვებელი არ იქნებოდა.

ხოლო შემდეგ, მოწიფულობისას, იოანეს რომ დიდი ინტერესი გასჩენია ვეფხისტყაოსნისადმი. ეს ჩანს იქიდან, რომ მასვე გადაუწერია სწორი, ლამაზი ხელით 147 ფურცელზე პოემის ტექსტი და ბოლოს ასეთი ანდერძი დაურთავს „დიდება ღვთისა ყოვლითა მსრულსა. სრულ იქმნა ხელითა იოანე იალღუზის ძისათა აპრილის 21 წელსა 1811“.¹⁶

„ვეფხისტყაოსნის“ იოანესეულ ამ ლაკონიურ შეფასებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კერძოდ. ეს შეფასება არ არის ღვთისადმი, როგორც ყოვლის შემქმნელი ძალისადმი უბრალო, სტერეოტიპული მიმართვა. გვგონია, რომ იოანე ამ შემთხვევაში კონკრეტულად გამოხატავს თავის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას „ვეფხისტყაოსნისადმი“ და მას მიიჩნევს ღვთაებრივი ნიჭით. ღვთაებრივი ძალით შექმნილ ისეთ ქმნილებად. რომელიც სრულია. უზაღოა. როგორც შინაარსით, ისე ფორმით.

ცხადია, „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც მხატვრული თხზულების ყოვლით სრულობაზე ასეთი მსჯელობა მოცემული პერიოდისათვის, როცა რუსთველოლოგიაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა დასამუშავებელი იყო. არ იყო იოლი, მაგრამ იოანემ ეს შეძლო, რაც, ალბათ, იმ გარემოებით შეიძლება აიხსნას, რომ იგი სიყრმიდანვე კარგად იცნობდა პოემას. ხიბლადა მასში ასახული ხალხთა სოლიდარობის უკვდავი იდეები. მოსწონდა ნაწარმოების განუმეორებელი პერსონაჟების ურთიერთთანადგომობა, წრფელი და ამალღებული მიჯნურობა და სამშობლოს ღრმა პატრიოტიზმი.

მეტიც: „ვეფხისტყაოსნისადმი“ იოანეს ღრმა ინტერესი და სიყვარული უნდა გასჩენოდა იმის გამოც, რომ ამ ნაწარმოების პროლოგის დასაწყისშივე შეუდარებელი ფერებითაა დახატული თამარ მეფისა და მისი ლომის — დავით სოსლანის სახეები. თამარი დედის ხაზით ოსთა მეფის ჩამომავალი იყო. ხოლო დავით სოსლანი თავისთავად მახლობელი იყო იოანესათვის და ეს ფაქტი პოეტს, რომელიც ნაციონალური ინტერესებით გაღვიძებული მისხალ-მისხალ ეძებდა, სწავლობდა თავის წინაპართა განვლილ გზას, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გაეშვა და არ დაი-

¹⁶ ი. თ. დ. ე. ვ. ი. პირველი ოსური ხელნაწერების ენციკლოპედია.

ნტერესებულიყო შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილებით.

ერთი სიტყვით, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ იოანესათვის რუსთაველის ქმნილება არ იყო ჩვეულებრივი საკითხავი ნაწარმოები ქართული მწერლობიდან, პირიქით, მისთვის „ვეფხისტყაოსანი“ იყო გონებრივად და ზნეობრივად სამაგალითო — საწვრთნელი ქმნილება და სრულიად ბუნებრივია, რომ „აღლუზიანზე“ მუშაობისას გარკვეული შთაგონება სწორედ ამ უკვდავი პოემიდან მიეღო.

რაც შეეხება ბ. გაბაშვილის სახოტბო პოემას „რუხის ბრძოლა“ და მის უპირველეს გავლენას „აღლუზიანზე“, ამ საკითხთან დაკავშირებით აღვნიშნავთ ორ მნიშვნელოვან ფაქტს: პირველი — როცა იოანე იაღლუზისძე სასახლესთან იყო დაახლოებული, მაშინ ბესიკი, როგორც ცნობილია, სასახლიდან დათხოვნილი იყო. რუხის ბრძოლა 1780 წელს მოხდა. პოემა, სავარაუდოა, ამ ბრძოლის შემდეგ დაიწერა და ხელნაწერის სახით არსებობდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში ძნელი იქნებოდა იოანესათვის ბესიკის აღნიშნული პოემის მოძიება, გაცნობა. მეორე: როგორც სამართლიანად მიუთითებს აკადემიკოსი ა. ბარამიძე, „რუხის ბრძოლა“ ასახავს ჩვენი ქვეყნის შინაგან ფეოდალურ აშლილობას, კინკლაობას, ქართველ მეფე-მთავართა კუთხური ინტერესების შეჭახებას და ასეთი შინაარსის ნაწარმოები რომ წაეკითხა კიდეც იოანეს, რომლის იდეალი თავისი ხალხის ნაციონალური კონსოლიდაცია და იდეალური მეფე იყო, ძნელად დასაჯერებელია, რომ მას მოსწონებოდა იგი, მით უმეტეს შთაგონებისა და გავლენის უპირველეს წყაროდ შეერჩია. ყოველივე ზემოთქმულის გამო „აღლუზიანზე“ მუშაობისას იოანეს უპირველესი შთამაგონებელი უნდა ყოფილიყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და არა „რუხის ბრძოლა“.

ჩვენი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკურ შინაარსთან და სტრუქტურულ მოცემულობასთან „აღლუზიანის“ სიახლოვე აშკარაა. კერძოდ, ამ თვალსაზრისით შესადარებლად შევარჩიეთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და „აღლუზიანის“ შესავლიდან 15 სტროფი, რომელსაც პირობითად ამ ნაწარმოების პროლოგად ვთვლით.

გარკვევა, რომ „აღლუზიანის“ პროლოგშიც, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიურ მონაკვეთში, გარკვეული ადგილი ეთმობა ღვთისადმი მიმართვას. „აღლუზიანის“ ავტორის აზრით, ღვთაება „მალალი და გონებით მიუწვდომელია“. არსებად ქვეყ-

ნისა მქნელია“, „ყოველივე გულთა მეცნიერია“ და სხვ. ვეცნობით რა იოანე იალღუზიძის ამ სიტყვებს. მყისვე გვაგონდება „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისი:

„რომელმან შექმნა სამყარო
ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა
ყვნა: ზევით მონაბერთა,
ჩვენ, კაცთა მოგეცა ქვეყანა,
გვაქვთ უთვალავი ფერთა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე
სახითა მის მიერთა“.¹⁷

რომ უფრო ნათლად შევიგრძნოთ, რა შინაარსობლივი სიან-ლოვე შეინიშნება რუსთაველის ამ სტროფსა და „ალღუზიანის“ დასაწყისის პირველ სტროფებს შორის, საიღუსტრაციოდ მთლიანობაში გავეცნოთ ჩვენთვის საინტერესო მასალას:

„ღმერთო დიდო და მაღალო,
გონებით მიუწვდომელო!
ერთო სამპიროვნებითა,
კაცთაგან გამოუთქმელო,
მაშაო, ძით, სულის წმინდითა,
არსებად ქვეყნისა მქნელო,
ყოვლის დიდებით შემეღელო,
და სიბრძნით გამოუთქმელო“.¹⁸

ასევე შეიძლება ითქვას ღმერთის, როგორც აბსოლუტის, სამყაროს პირველი მიზეზის, შემოქმედების დახასიათების შესახებაც. „ვეფხისტყაოსანში“ შუა საუკუნეების მწერლობისა და საზოგადოდ, საზრისისათვის დამახასიათებელი ეს თავიდათავი საკითხი ასეა წარმოსახული:

„ჰე, ღმერთო ერთი შენ შექმენ
სახე ყოვლისა, ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც
დათრგუნვად მე სატანისა,
მომეც მიჯნურთა სურვილი,
სიკვიდმდე ვასატანისა,
და ცოდვათა შემსუბუქება,
მუნ თანა წასატანისა“.¹⁹

„ალღუზიანიდან“ ამ სტროფთან შინაარსობლივად ახლოსაა მეორე სტროფი:

17 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, 1957, გვ. 7.

18 ა ლ ლ უ ზ ი ა ნ ი, გამოცემული ნ. გამრკეკლისაგან, 1885, გვ. 3.

19 ა ლ ლ უ ზ ი ა ნ ი, გამოცემული ნ. გამრკეკლისაგან, 1885, გვ. 3.

! „საუკუნევ საუკუნეთ,
 საუკუნეთა მათ კმნელო,
 ყოვლად ნეტარო და სრულო,
 საქმით გამოუკვლევლო,
 ყოველთა გულთ მეცნიერო,
 ჰართალო, მართალ გულითა მცდელო,
 ყოვლით ძლიერო ყოვლითა,
 ქვეყნისა ფერად მცველო“²⁰

როგორც რუსთაველის, ისე იოანეს ღმერთისათვის უცხო არ არის ადამიანის მიწიერი ინტერესები, ისინი მოწოდებული არიან „ადამიანთა მფარველად“, „ცოდვითა შესამსუბუქებლად“ და „ყოვლის გლახ კაცისათვის მეოხად“. ღმერთის გაგების ასეთი შინაარსი კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნიდან“ ზემოთ დასახელებულ სტროფში, ხოლო „აღლუზიანში“ კი იგივე საკითხი უფრო ფართოდ მე-3, მე-4 და მე-5 სტროფებშია წარმოდგენილი. გავეცნოთ კონკრეტულად ზოგიერთ ტაეპებს „აღლუზიანიდან“:

„მრავალი მოწყალებითა,
 ცოდვითა კაცთა მომკვლელო,
 მსახურებისა შენითა,
 წყევლისა ჩვენისა მშლელო“.
 „ყოვლის გლახაჲ კაცისათვის
 მეოხო, მათ სულთა მშველო,
 ყოველ კაცთა გულითა მცდელო,
 გარე შემოუწერლო“,
 „ყოველთ ღორწმუნეთა შენთა
 სასურველში გამცდელო,
 ცოდვილ კაცთა შემწყნარებელ,
 მათ გვაბთა ახლად სულის მდგმელო“²¹

„ვეფხისტყაოსანთან“ ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოები ახლოსაა ძირითადი ასასახავი თემის გამხელითაც. როგორც ვიცით, რუსთაველი პროლოგში არაერთხელ აღნიშნავს ვის საქებრადაა დაწერილი პოემა, ვისი ქება უბრძანეს მას და როგორ შეხვდა იგი ამ დავალებას.

„აღლუზიანშიც“ ავტორი თავისივე თხზულების მთავარ საკითხს ასე გვაცნობს:

„ხელეკყო წიგნების აღწერად
 ვისგან ვართ შთამომავალი,
 ვინ ვისგან იწვდის ყოფასა.

²⁰ ი ქ ვ ე .

²¹ ი ქ ვ ე , გვ . 4 .

ვის გვართა გამობავალი,
ვინ ვის გვართაგან ძეობდეს,
ვინ ვისგან არს მომავალი
და ვინ ვითარი გასწია
მხნეობა ხმელეთს მავალი“²².

დიდად საყურადღებოა ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანსა“ და „აღ-
ლუზიანში“ ძირითადი ამბის ჩამოყალიბების მოტივაციის საკი-
თხიცი: როგორ ვიცი, „ვეფხისტყაოსანში“ ძირითადი ამბის, ინ-
დოეთში მომხდარი ამბის მთავარი საკონფლიქტო ეპიზოდი ტა-
რიელისა და ნესტანის ბუნებრივი ტრფიალის საწინააღმდეგო აქ-
ტებს უკავშირდება; ფარსადანი წინააღმდეგია ნესტანისა და ტა-
რიელის შეუღლებისა, იგი ფორმალურად ტარიელის თანდასწ-
რებით ვითომ ერთსულოვნად წყვეტს სასიძოს მოწვევის სა-
კითხს, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობენ ახალგაზრდები. ტარიელი
მოკლავს სასიძოს და ფარსადანს მოახსენებს:

„ვერ გათნე, თქვენმა კეთილმან,
აწ ეგე არ მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი,
გიზის ერთიი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ,
დამრჩების რა ნაცუალია?
და სხვა მეფე დაქდეს ინდოეთს,
შერთყას მე ჩემი ხმალია?“²³

ამგვარადვე, ალლუზიანი მამას შემოსწყრა იმის გამო, რომ
იგი შეიღს არ აძლევს ნებას შეერთოს კესარ-ხანის ქალი. ალლუ-
ზონის მამა უფრო მეტად სარწმუნოებრივ მხარეს აქცევს ყურა-
დლებას, ვიდრე შვილის ბუნებრივ სამიჯნურო განწყობილებას,
შვილი არ ემორჩილება მამის კონსერვატიულ შეხედულებას და
უშუალო სამიჯნურო გრძნობების დაცვის გამო მამასა და შეიღს
შორის კონფლიქტი ყალიბდება.

„აღლუზონ მამას შემოსწყრა,
გადმოიარა დიდ მთანი,
ამისთვის რომ ნებას არ ჰყვა:
ქალს აძლევდა კესარ-ხანი.
უარს ჰყოფდა მისთვის მამა,
უსჯულოთა მეფე ხანი,
მარამ აღლუზ არ იშლიდა
ქალის მშენით იყო მთერალი“²⁴

²² ა ლ ლ უ ზ ი ა ნ ი, გამოცემული ნ. გამრეკელისაგან, 1885, გვ. 4.

²³ ი ქ ვ ე, გვ. 26.

²⁴ ი ქ ვ ე, გვ. 6.

კიდევ სხვა მასალების (მათ შორის ელჩის მოწვევისა და ჯარის დარაზმულობის დახასიათების შემხვედრი ფაქტების) მოძებნა შეიძლება „ვეფხისტყაოსანთან“ „აღლუზიანის“ რიგი სტროფების შინაარსობლივი სიახლოვის დასასაბუთებლად. მაგრამ, ვფიქრობთ, დამოწმებული მასალებითაც ნათელია, რამდენად ახლოსაა იოანეს პოემა შ. რუსთაველის ქმნილებასთან.

სხვათა შორის, ამ დაკვირვებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ „ვეფხისტყაოსანთან“ „აღლუზიანის“ სიახლოვე შეიმჩნევა არა მხოლოდ შინაარსობლივი მოცემულობით, არამედ ლექსიკური მასალების თითქმის ადექვატური დამთხვევითაც. ასე, მაგალითად, „ჰე, ღმერთო ერთო“, ვ. ტ., „ღმერთო დიდო და მალალო“. აღლ., „შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“, ვ. ტ., „არსებად ქვეყნის მქნელო“, აღლ., „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“, ვ. ტ., „ყოვლით ძლიერი ყოვლითა, ქვეყნისა ფერად მცველო!“, აღლ., „ცოდვათა შემსუბუქება“, ვ. ტ., „ცოდვათა კაცთა მომკვლელო“, აღლ., „აწ ენა მინდა გამოთქმად“, ვ. ტ., „ხელეყო წიგნების აღწერად“, აღლ., და სხვ.

ახლა იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იოანე თავის პოემაში იყენებს რუსთაველური შაირის ზომას და არა დავით გურამიშვილისა, სულხან-საბა ორბელიანისა და მამუკა ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელ სრულიად ახალ მეტრს. რაც ქართული ლექსის განვითარების აქტივში ითვლებოდა ამ დროს, მაშინ კიდევ უფრო მეტად გასაგები იქნება რა სულიერი, შემოქმედებითი სიახლოვე შეინიშნება „ვეფხისტყაოსანთან“ „აღლუზიანისა“.

დასასრულს, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იოანეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერილ 147 ფურცელზე დართული ანდერძისა და „აღლუზიანის“ მეორე სტროფის მეორე ტაეპში მოცემულმა ღმერთისადმი არსებითად ერთი და იგივე შინაარსის მიმართვამ. აი, ისიც, ანდერძში „ვეფხისტყაოსნის“ ღირსების გამო ნათქვამი: „დიდება ღვთისა ყოვლითა მსრულსა“, ხოლო „აღლუზიანში“ ვკითხულობთ, „ღმერთო ყოვლად ნეტარო და სრულო“. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ღმერთია ყოველთა სრულის, მოსაწონის შემქმნელი, პირველი მიზეზი, უფრო კონკრეტულად ანდერძის მიხედვით ღმერთია „ვეფხისტყაოსნის“, როგორც სრული და უზადო ნაწარმოების შთაგონებისა და შექმნის წყარო, ხოლო „აღლუზიანში“ იგივე ღმერთი, როგორც ყოველი სრული, აზრის „საუკუნეთა მათ მქმნელი“.

ჩვენი აზრით, ასეთი ლექსიკური და აზრობრივი დამთხვევა იოანესეული ანდერძისა და მისივე პოემის მეორე სტროფის ენობრივი მასალებისა არ არის შემთხვევითი (ამ საკითხზე უფრო ფართოდ ნაშრომის სხვა ადგილზე იქნება ლაპარაკი). ამ ფაქტით დასტურდება, რომ ავტორი ანდერძისა, რომელსაც ხელს აწერს იოანე იალღუზიძე 1811 წლის 21 აპრილს და პოემა „აღლღუზიანისა“ ერთი და იგივე პიროვნებაა. ეს მნიშვნელოვანი გარემოება კი თავისთავად ერთხელ კიდევ ნათელს ჰფენს აკად. კ. კეკელიძის იმ ფუნდამენტურ მოსაზრებას, რომ იოანე იალღუზიძეა „აღლღუზიანის“ ავტორი და არა სხვა ვინმე.

სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი აზიაროვის ეკვი სამართლიანად არ გაიზიარა მანანა თედეევამ წერილში „აღლღუზიანი და მისი ავტორი“.²⁵

იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობისა და მხატვრულ-მსთეტიკური შეხედულებების შესახებ

მართალია, იოანე იალღუზიძეს სპეციალური თეორიული შინაარსის ნაშრომები არ დაუწერია თავისი მსოფლმხედველობისა და მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებების შესახებ, მაგრამ ამის მიუხედავად, მისი, როგორც ოსი ხალხის დიდი განმანათლებლის, პოეტისა და მთარგმნელის, მსოფლმხედველობრივი და მხატვრული შეხედულებები ზოგად ხაზებში შესაძლოა სრულყოფილად შევისწავლოთ და გარკვეულ ფარგლებში კონკრეტული შეფასებაც მივცეთ.

ჩვენი აზრით, ამ მიზნით ერთ-ერთი პირველი წყაროა თვითონ იოანეს პოეტური, მთარგმნელობითი, ავტობიოგრაფიული და სხვა შინაარსის წერილობითი მასალები. აღსანიშნავია, რომ ამ მასალებში იგი ზოგჯერ პირდაპირ მიგვანიშნებს, სად აღიზარდა, ვისთან სწავლობდა ან რა სახის განათლება მიიღო. გვაცნობს, რა მოსწონდა მას მშრომელი გლეხობისა და თავადების ურთიერთობიდან, როგორ სურდა ამ ურთიერთობის შემდგომი სრულყოფა, და ბოლოს ზოგჯერ მხატვრული ჩანაფიქრით, გამონაგონით, თუ მწერლისეული რემარკებით მიგვანიშნებს თავის მსოფლმხედველობით შეხედულებებზე.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იოანე მართლმორწმუნეა. რაც

²⁵ გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“, 11 აპრილი, 1986 წ.

შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (კ. კეკელიძე, ძ. გუგაევი, ნ. ჯუსოიტი), მაგრამ კონკრეტულად საძიებელია ის, თუ მან რა შინაარსით მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება, ქართული ფილოსოფიური აზროვნების რომელ ტრადიციებს ეყრდნობა და, რაც მთავარია, როგორ გამოიხატა ყოველივე ეს მის მთარგმნელობით-პედაგოგიურსა თუ მხატვრულ შემოქმედებაში.

ჩვენ ვიცით, რომ მეფე ერეკლეს ბრძანებით იოანე მიაბარეს ქ. თბილისში ნათლისმცემლის მონასტრის არქიმანდრიტს „სასწავლებლად კითხვისა საეკლესიოთა წიგნთასა ქართულსა ენასა ზედა“... შემდეგ: „მისსავე (ე. ი. მეფე ერეკლეს — შ. ქ.) ნებით-ვე გაიგზავნა იგი შემდგომი ცოდნის ასამაღლებლად „დავით გარესჯის უდაბნოსა შინა ყოფილისა მუნ მღვდელი მონაზონისა იოანე ქარუმიძესადმი ვითარცა მცოდნისა ფილოსოფიისა, სასწავლებლად სიტყვიერებისა“²⁶.

ყველაფრიდან ჩანს, რომ დიდად ნაყოფიერი გამომდგარა იოანესათვის ქართული ეკლესიისა და სკოლის სწავლულ მამათა დამოძღვრა. მას კარგად შეუსწავლია აქ ქართული სიტყვიერებაც და ფილოსოფიაც. ქართველი სწავლული იოანე ბაგრატიონი, რომელთანაც დაახლოებული ყოფილა იოანე იალღუზიძე, თავის ენციკლოპედიურ შრომაში „კალმასობა“ იოანე ქარუმიძის ერთ-ერთ დამსახურებად სწორედ იმას მიიჩნევს, რომ „იგი იყო მშვენიერი მოუბარი და მამათა ცხოვრების მცოდნე. მან აღზარდა რაოდენიმე მოწაფენი და მათ შორის იოანე ოსყოფილი (იგივე იოანე იალღუზიძე — შ. ქ.), რომელმანაც მიიღო ფილოსოფია და სთარგმნა ოსთა ენათა ზედა კონდაკი და ლოცვანი“²⁷ (ხაზგასმა ჩვენია — შ. ქ.).

ამრიგად, იოანესათვის რომ ცნობილი იყო ქართული ფილოსოფიის ტრადიციული ხაზი, ეს დავას არ იწვევს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მას შეეძლო ქართული ფილოსოფიური აზროვნება კიდევ უფრო ღრმად გაეცნო იოანე ბატონიშვილთან კარგი ურთიერთობისას, რაც დასტურდება მისი გიორგი ბატონიშვილის კარზე ხშირი ყოფნითა და, განსაკუთრებით კი „კალმასობის“ ავტორის ოჯახთან, — კერძოდ, მის განათლებულ მეუღლესთან — ქეთევან წერეთლის ასულთან ახლობლური, აკადემიური დამოკიდებულებით.

²⁶ ო. თედეევი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 70.

²⁷ იოანე ბატონიშვილი, „კალმასობა“, ტ. 11, 1948, გვ. 197.

ამ საკითხთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე ის ფაქტიც, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე დიდი ინტერესით გაცნობია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, სპეციალურად გადაუწერია იგი და ორიგინალური შეფასებაც მიუცია. ცხადია, ყოველივე ეს იმას ადასტურებს, რომ იოანე ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან ერთად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსულ ტენდენციებსაც.

ასე რომ, იოანეს მსოფლმხედველობრივ საგანძურს არსებითად ორი უმნიშვნელოვანესი წყარო ასაზრდოებდა: ერთი — ქრისტიანული რელიგიური და ქართული ტრადიციული ფილოსოფიური აზროვნება (პეტრე იბერი, ეფრემ მცირე, იოანე პეტრიწი და სხვა) და მეორე — შოთა რუსთაველის მგზნებარე ჰუმანისტური შეხედულებები. მისი რენესანსული ასპექტი.

მაგრამ იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობის მხოლოდ ამ სარბიელზე ახსნა არ იქნება სრულყოფილი. აქ გარკვეულად უნდა გავითვალისწინოთ ის ახალი მოვლენებიც, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას და ამ პერიოდის დასაწყისის ოცდაათიან წლებამდე იოანეს მოღვაწეობას უკავშირდება.

კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1802 წელს სოფელ ვანათში შექმნილი იურიდიული ხასიათის დოკუმენტი ქართველი და ოსი ხალხის ცხოვრებისეული ურთიერთობის თაობაზე, იოანეს მასწავლებლად მუშაობა და, აგრეთვე, მისი მონაწილეობა მეფის სახელმწიფო სამხედრო აპარატთან მთიელ მცხოვრებთა ცალკეული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით.

რა ირკვევა ჩვენს მიერ პირობითად დაყოფილი იოანე იალღუზიძის ცხოვრებისეული მოღვაწეობიდან? პირველ რიგში ის, რომ 1802 წლამდე მისი მსოფლმხედველობა, რაც პოემა „აღლუზიანში“, ლექსებში და სხვა ნათარგმნი თხზულებებით ვლინდება, ერთსახოვანია, იგი ერთგულია ფეოდალური საზოგადოების ყოფისა და თითქოს ვერ ხედავს იმ სოციალურ სიმძიმეს, რაც კლასობრივი თვალსაზრისით სინამდვილეში არსებობს.

სულ სხვა შინაარსისაა 1802 წელს შექმნილი სასამართლო დოკუმენტის შინაარსი. აქ საზოგადოებრივ ურთიერთობაში დანახულია კლასობრივი სოციალური სინამდვილე, მშრომელი ხალხის მჩაგვრელად აშკარად დასახულია გაბატონებული კლასების წოდებრივი და უფლებბრივი მდგომარეობა და სხვა.

როგორც სამართლიანად აღნიშნა პროფ. ნ. ჯუსოიძე იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობის ეს მეტამორფოზა შეიძ-

ლება ახალი დროის ზემოქმედებით აიხსნას, ხოლო მისი ქრისტიანულ-აღმსარებლობითი იდეები კი, ჩვენი აზრით, — ძველი ქართული მწერლობისა და ფილოსოფიის იმ საერთო განსწავლულობით, რაც მან ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მიიღო.

რომ უფრო საფუძვლიანად გავერკვეთ, როგორ გამოიყენა იოანემ მხატვრულ და დიდაქტიკურ აზროვნებაში, ერთი მხრივ, ქრისტიანულ-აღმსარებლობითი ქართული ტრადიციული ფილოსოფიური ცოდნა და, მეორე მხრივ, რუსთაველის რენესანსული ნააზრევი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ გავიხსენოთ, როგორ განიხილავდა ქართული ტრადიციული ფილოსოფიური აზრი ღვთისა და მიწიერი სამყაროს ურთიერთ მიმართებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ღვთისა და მიწიერი სამყაროს ურთიერთ მიმართების განხილვისას რუსთაველამდე არსებულ მსოფლმხედველობასა და რუსთაველის ნააზრევი განსხვავებულ ასპექტებს ხედავენ. კერძოდ, როგორც მიუთითებენ რუსთაველამდე რელიგიური თვალსაზრისით თითქმის ხელშეუხებელი იყო ღმერთის სამპიროვნების საკითხი. ქრისტეს პიროვნება და მასთან დაკავშირებული ყველა დოგმა: ქალწულისგან შობა, მკვდრეთით აღდგომა, ამალეობა, სხვადასხვა სასწაულის ჩადენა ახალი რელიგიის პოპულარობისათვის და სხვა.

ასე, რომ აღებულ პერიოდში ღვთაება, მისი ფიზიკური თუ სულიერი შესაძლებლობანი მორწმუნეებისაგან მხოლოდ შეგრძნებით წარმოისახებოდა და ღვთის გონებით მიწვდომას, გააზრებას მკაცრი ტაბუ აქვს დადებული. ჩვენი აზრით, თანამედროვე მკითხველისათვის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით დიდად საყურადღებოა ეფრემ მცირეს მსმენელებისადმი მიმართვა: „ყოველთა შიდა და კუალად გესმოდინ რაა გელი და, ფერჯ ნი ღვთისანი, თუალნი და გული; უწყოდე ვითარმედ ამისსაცა გულის ჯმის ყოფასა სახის მეტყუ ღ ლებაა უ ჯმს და არა განმარტებაა“²⁸. ე. ი. ეფრემი აქ ამბობს: ღმერთი მხოლოდ უნდა შეიცნო, წარმოიდგინო და არა გონებით მისწვდეს, შეიცნო იგი. ამრიგად, ღვთის გონებით შეცნობა ამ პერიოდში დაუშვებელია.

მხედველობაში უნდა მივიღოთ აგრეთვე ის გარემოება, რომ იოანე ბატონიშვილს, რომელთანაც ახლოს იყო იოანე იალღუზიძე, ანალოგიურადვე აქვს ახსნილი ადამიანისა და ღვთაების

²⁸ „ძველი საქართველო“, ტ. 111, 1913—1914, გვ. 251, მუხ. 515.

ურთიერთობის საკითხი. აი, ისიც: „ისტოსმან: ფილოსოფიურისა გუარითა გკითხავ შენ, თუ ვითარითა ხატითა აღვიზევეთ ჩუ ო ნ საცნობელად ლეთისა?„

იონა: ყოველსა უკუ ო კაცსა შუ ო ნის აღსარებად, რომელ ზოგად ყოველნი ერნი არიან თითქმის უძღურ, ანუ უღუონონი, თ ჳ თულისა უკუ ო წამისყოფასა შინა თ ჳ სსა ყოველნივე ჳგრძნობენ მიღებასა შეუძლებლობისასა ანუ ქმნად მის, რაჲცა სწადნოდა მას და რომელ ბედნიერებად და თვით ცხოვრებაცა მისი დამოკიდებულ არს ყოველთა გარემოს მის მდებარეთა საგანთა ზედა“²⁹.

შემდეგ: ვინაჲდგან პირველი ესე მიზეზი შეიცავს ყოველსავე, მაშა, იგი არს ყოველგან არსება და ესრეთ იგი არს განაზომილი დიდი. ხოლო ვითარცა ესე არს მეყსი და პირველი მიზეზი, მაშა იგი არს დამოუკიდებელი, უკეთუ იგი დამოკიდებულმცა იყოს სხვასა ვითარსამე ზედა, მაშინ იქნებოდაცა სხუაჲ რაჲმე მიზეზი უწინარეს მისა. და ვინაჲდგან სრულიად საჭიროებისა ძლით ჳერ არს, რათამცა იყოს ვითარმე უკუ ო პირველი მიზეზი, ამას შეუდგების, რომელ იყოს იგი სხუათა ყოველთა ზედა დამოუკიდებელი.

ოდესცა ესე პირველი უკუ ო მიზეზი არს სხუათა ყოველთა ზედა დამოუკიდებელ, ყოველისა შემძლებელ და ყოველთა ზე უბრძანეს. მაშასადამე, იგი თთქმის ყოველსა მას, რაჲცა ნებავს, და ესრეთ იგი არს თავისუფალ“³⁰.

ჩვენ ვვარაუდობთ, რადგანაც იოანე ახლოს იყო: „კალმასობის“ ავტორის ოჯახთან, ამიტომ იგი, მეტად თუ ნაკლებად, გაეცნობოდა აქ წარმოდგენილ ფილოსოფიურ მსჯელობასაც ლეთების პირველობისა და შეცნობის შესახებ.

მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ. იოანეს მსოფლმხედველობის წყაროდ მოსჩანს „ვეფხისტყაოსანიც“, შოთა რუსთაველი XII — XIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარების გათვალისწინების მიხედვით გარკვეულად განსხვავებულად უდგება ქრისტიანული რელიგიის ცნობილი დოგმების გაგებას. უკანასკნელ ხანს ეს საკითხი ფართო მსჯელობის საგანი გახდა ქართველი ფილოსოფოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების

²⁹ იოანე ბაკრატიონი, ფილოსოფიური ნაწილი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გულნარა დედაბრიშვილმა, 1974, გვ. 52.

³⁰ იქვე, გვ. 54.

მიერ. დღეისათვის დაახლოებით ასეთი დებულებებია ჩამოყალიბებული: „რუსთაველი, XII საუკუნის ქრისტიანი აღმსარებელი, ახალი თვალთ უცქერის ქრისტიანული რელიგიის პრინციპულ პრობლემებს. თავისი ინტელექტუალური პოზიციის ფორმირებაში იგი პირველ რიგში ქრისტიანულ კულტურას, ქრისტიანულ ცივილიზაციას, ქრისტიანულ ლიტერატურას — ბიბლიას ემყარება. მაგრამ ახალი ეპოქა, ახალი ინტერესები, კაცობრიობის წინაშე დასმული ახალი პრობლემები რუსთველს ახლებურად უსახავს ქრისტიანული რელიგიის არსს. რუსთველს, თითქოსდა სურს ქრისტიანობაში უფრო სრულყოფილი რელიგია იპოვოს, რომელიც განსხვავებით ქრისტიანობის ფორმირებული სახისაგან გონებისათვისაც იქნება მისაწვდომი“³¹.

შემდეგ პროფ. ე. ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანზე“ ამ თვალსაზრისით დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ რუსთველი სწორედ გონების პოზიციებიდან განიხილავს ქრისტიანულ დოგმატიკას. მისთვის მისაღებია ის დოგმა, რომელსაც გონება ამტკიცებს. ხოლო ამ რელიგიურ დოგმებზე, რომლებიც გონებით არ მტკიცდება, რუსთაველი დუმს. ვეფხისტყაოსანი აღიარებს ძირითად რელიგიურ დოგმებს: ღმერთის არსებობა და სულის უკვდავება; მაგრამ არ აღიარებს სპეციფიკურ ქრისტიანულ დოგმებს; ღმერთის სამპიროვნება, ქრისტეს პიროვნება და მასთან დაკავშირებული ყველა დოგმა, ქალწულისაგან შობა, მკვდრეთით აღდგომა, ამალღება და სხვა. რა კანონზომიერება განსაზღვრავს რუსთველის არჩევანს? რუსთველის მიერ რელიგიური დოგმატიკა განხილულია ერთადერთი კრიტერიუმით — გონებით. აღიარებულია ის იდეები, რომლებსაც შუა საუკუნეთა ფილოსოფიის თვალსაზრისით გონება ამტკიცებდა, ასაბუთებდა. უარყოფილია (არ არის გაზიარებული), ნახსენები ყველა დოგმა, რომლებსაც ფილოსოფიური აზროვნება ვერ ასაბუთებდა. რომელთა გაზიარებასაც ქრისტიანული ეკლესია მხოლოდ რწმენაზე დაყრდნობით მოითხოვდა“³².

ამრიგად, დამოწმებული ამონაწერით ნათელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის შეხედულება ღმერთზე დიდად განსხვავდება ქრისტიანული საეკლესიო შეხედულებებისაგან და, მაშასადამე, იგი რენესანსული მოძღვრების საფუძველზე შეიძლება მხოლოდ მართებულად იქნეს გაგებული.

31 ე. ხინთიბიძე, მსოფლმხედველობითი პრობლემები ვეფხისტყაოსანში, 1975, გვ. 356.

32 იქვე, გვ. 358.

ახლა დაეუბრუნდეთ იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობის საკითხს: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალღუზიანის ავტორისათვის ცნობილია ღმერთისადმი ქართული ტრადიციული ქრისტიანული მართლმადიდებელი შეხედულებებიც და შოთა რუსთაველის დამოკიდებულებაც. ისმის კითხვა, რომელი ფილოსოფიური მოძღვრების ადეპტად გვევლინება იგი? როგორც პოემის შესწავლით ირკვევა იოანესათვის უცხო არ არის არც ქართული ტრადიციული ფილოსოფიური შეხედულებანი ღმერთის შესახებ და არც რუსთაველისეული რენესანსული მოძღვრება. ოღონდ ასე უნდა ითქვას, რომ იგი უფრო ერთგულია პირველი მათგანისა, ვიდრე რუსთაველის რენესანსულის შეხედულებებისა.

ეს გარემოება კი ჩვენთვის ბუნებრივია, რადგან იოანემ არსებობდა ფილოსოფიური აზროვნება შეისწავლა გარეჯის მონასტერში მღვდელ მონაზონ იოანე ქარუმძისთან, რომელიც თავის წიხივ უპირატესად მცოდნე იყო პირველ რიგში ტრადიციული ქართული ფილოსოფიური მოძღვრებისა და რელიგიურ დოგმებს განიხილავდა არა არისტოტელური ინტელექტუალური ხაზით, არამედ წარმოდგენებით.

გავეცნოთ კონკრეტულ მასალას, პოემის დასაწყისში იოანე ასე მიმართავს ღმერთს:

„ღმერთო დიდო და მაღალო, გონებით მიუწვდომელო!
ერთო სამპიროვნებითა, კაცთაგან გამოუთქმელო.
მამაო, ძითა, სულის წმინდით, არსებად ქვეყნისა მქნელო
ყოვლის დიდებით შემეკელო და სიბრძნით გამოუთქმელო (1)

აქ პირველი, რასაც სტროფით ვგებულობთ ისაა, რომ იოანესათვის ღმერთი გონებით მიუწვდომელია. ეს პირდაპირ არის ნათქვამი პირველ ტაეპში: „ღმერთო დიდო და მაღალო. გონებით მიუწვდომელო!“ ეს კი არსებითი მხარეა მისი აზროვნების კავშირისა ტრადიციულ ქართულ ქრისტიანულ აზროვნებასთან. აქვე, მეორე ტაეპში, ნათქვამია იმაზეც, რომ ღმერთი იოანესათვის ერთი სამპიროვანია „ერთო სამპიროვნებითა“. როგორც ვიცით, ეს დოგმა რუსთაველისათვის მიუღებელია. ერთადერთი, რაც იოანეს აკავშირებს რუსთაველის რელიგიურ შეხედულებასთან ისაა, რომ იგიც აღიარებს „ღმერთის არსებობისა და სული უკვდავების დოგმას“. მაგალითად, გავიხსენოთ პოემიდან ტაეპები: „ღმერთო დიდო და მაღალო“. „საუკუნეე. საუკუნეო. საუკუნეთა მქნელო“. „ყოველთა მორწმუნეთა შენთა სასუფეველ-

ში გამცდელი“, „ცოდვილ კაცთა შემწყნარებელი, მათ გვამთა ახლად სულის მდგმელი“ და სხვა.

მეორე მხრივ, იოანე იალღუზიძის ასე მკაცრად ჩამოყალიბებულ რელიგიურ-დოგმატიკურ შეხედულების გვერდით პოემაში ჩანს რუსთაველისებური რენესანსული შეხედულებებიც. კერძოდ, ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს ალღუზიანის გადაწყვეტილება და უშუალო მოქმედება კეისარ-ხანის ქალის ცოლად შერთვასთან დაკავშირებით.

როგორც ვიცით, ალღუზიანს მამა მისი რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე ნებას არ რთავს, შეირთოს კეისარ-ხანის ქალი, მაგრამ ეს უკანასკნელი ისე გატაცებულია არჩეულის ტრფიალით, რომ მამის წინააღმდეგ მოქმედებს:

„აღღუზონ მამას შემოსწყრა, გადმოიარა დიდ მთანი,
ამისთვის, რომ ნებას არ ჰყვა, ქალს აძლევდა კესარ-ხანი,
უარს ჰყოფდა მისთვის მამა, უსჯულოა მეფე ხანი,
მაგრამ ალღუზ არ იშლიდა ქალის მშვენით იყო მთვრალი“. (18)

ცხადია, ალღუზონი ამ შემთხვევაში მიწიერი ინტერესებით მოქმედებდა, შექმნილ სიტუაციაში მისთვის მთავარია სატრფიალო იდეალის შესრულება. ეს თავისთავად თავისუფლების მოყვარული ადამიანის თვისებაა. მას ასეთ სურვილს ჰუმანიზმის მაღალი სულისკვეთება შთააგონებს. ამასთან ალღუზონს სწამს, რომ ამ საქმეში თვით განგებაც მისი ხელის შემწყობი იქნება. ამიტომ იგი გაბედულად მოქმედებს, ნაკლებად ითვალისწინებს თავის ქვევაში რელიგიის მიერ დადგენილ ნორმებს. კრიტიკულ სიტუაციაში იგი ასე ამშვიდებს თავის რჩეულს:

„ღმერთი ჩვენი მოწყალე არს, მშვენს კი ფერი უკრთებოდა.
ნუ გეშინის ქელმწიფაო, ღვთით ვინ წინ აღგვიდგებოდა!
როდესაც მე ხმალს ხელს ვყოფდი, ვინ წინ დამიდგებოდა. (33)

როგორც ვხედავთ, შექმნილ სიტუაციაში აქტიური თითონ ალღუზონია. მეტიც: იგი თავის ნებას კარნახობს ზენაარსს. ეს კი უკვე სრულიად სხვა სახის აზროვნებაა, იგი დიდად განსხვავდება ღმერთისადმი ტრადიციული ქართული რელიგიური შეხედულებებისაგან.

ასევე რეალური, ზნეობრივად გამართლებული შეხედულებები აქვს იოანეს გამოთქმული იგავებში, რაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ იქნება გაანალიზებული, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ პოე-

მაში ალღუზონი თანმიმდევრულად ვერ იცავს რენესანსულ ქმედებას, მის პიროვნებაში მძლავრობს ღვთისადმი უსიტყვოდ დამორჩილების იდეა. ასე მაგალითად, როცა „მპყრობელი გახდა ფილთა ქვეყანათა“, ის ერთგვარი შინაგანი კრიტიკით, ბოდიშის მოხდის მსგავსად ამბობს:

„აღღუზონ დიდი ჯელმწიფე თვთმპყრობელი მილანქრის,
ბატონი დიდი ოვსთ, ჩერქესთ, ჩეჩენ, ქისტეთი, ნონთა კარის
გვარად დიდ ავღუსტიან პატრონთ მთისა და ბარის,
იაღბუზის, კავკაზის და მხარეთა მისთა გარის,
მართლ-მორწმუნე ქრისტიანი, დამლოცველი ცათა მტრის,
მხარგრძელი და მკლავმაგარი, მეფე ხლმისა ჩაჩქან ფარის
აღელდეს კაცი უშენოდ აღაღელოს გულით გული,
არ ვია უსმინოს თხრობანი, მით აღიძულოს თვს სული,
მშობელთ ღედ-მამა რჩევასა არ მისდევდე აღღუსული,
მათ სიტყვა-დარიგებასა, არ ისმენდეს, მოსჩაე სული.
ამით რომ ბრძანებს მეუფე ყოვლად ღმერთი სული,
პატივი ეც მამას შენსას და ღედას ეგრეთ სრული,
რომ მოგვეცეს კეთილ-ყოფა და ღღეთ ცხოვრება იგი სრული.
ესეც ათი მცნებათა შორის მოსეს ფიცრით მოსცა თქმული,
ეჲე მოცემული მცნება ყოველსა მოგვეცა მოსრული,
მოსეგან სინა მთაზედა ღვთისგან ჩვენდა ბოძებული,
განუსხვევებლად ყოველთოდ მეფეა თუ მეფედ წული,
ყოველსა უქს აღაარულოს ბრძანება ცისგან სული“.

აქ ნათქვამს მოსდევს ალღუზონის თვითკრიტიკა.

იგი თავისი მარცხის მიზეზს სწორედ ღვთის იმ საწინააღმდეგო მოქმედებაში ხედავს, რომელიც მან მამის წინაშე ჩაიდინა ცოლის შერთვისას. არ მოსწონს თავისი ასეთი ქცევა და ერთგვარი მონანიებით წარმოსთქვამს ღვთის საპატივცემულო სიტყვას, რომელიც, ჩვენი აზრით, შინაარსობლივად დიდაქტიკური ხასიათისაა:

„მარამ პირველთ თავად თქმულმა თუთ ხელმწიფე დიდებულმან,
არ მიხედა მცნებას ღვთისას, ალღუზონ დიდათ ქებულმან,
უარშიოდ ნებას ჰყოფდა მამისას და ოტებულმან,
მისთვის განერა მამას, ესრედ ჰქმნა შეწუთოებულმან.
მისთვისაც მართლ მსაჯულება ღმერთმან აჩინა მისზედა,
„მან არ გაახარა თვისნი მშობელთ იგი თუსზედა,
აგრევე ღმერთმან მეფე იგი სამეფოთაზე თუსზედა,
ძლიერი იყო ყოველთა, აწ ფერხს ადგამენ ზასზედა,
რომელი უყვარს უფალსა სწავლის დასტანჯვის მარადის,
მოსცა ამ გვარად სასჯელი მასა. ძეთაცა არ რიღის,
ამ გვარად რომ სულ გრძელია, ღმერთი შურსა არ ვიღედ ზადის,

არამედ მოელის მათგან მოქცევით იქმნას მარადის,
თავის უფლად კაცის შექმნა. სრული მისცა ხუთი გრძნობა,
მით იმეფოს ქვეყანაზედ, სიმდაბლით ჰქონდეს თმობა,
ღვთისა ყველა გულს ეწეროს და მასზედა ჰქონდეს ბრძნობა,
თორემ ბოლოს დაეთმობის ყველა ქვეყნის დიდი მკობა“. (281—289).

წარმოდგენილი სტროფების მისედვით აღლუქონა კვლავ ქრისტიანული მოძღვრების განუხრელ დამცველად გვევლინება. ამ შეხედულებებში რენესანსული იდეების ნიშანწყალიც აღარ ჩანს. ცხადია, ეს ყველაფერი პოემის ავტორის მსოფლმხედველობის უკუფენაა და ამიტომ ვამბობთ, რომ იგი არ არის რენესანსული მოძღვრების თანმიმდევრული დამცველი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანეს მსოფლმხედველობა კიდევ უფრო მეკეთრად შეცვლილი მოსჩანს 1802 წელს დაწერილ სოფელ ვანათში დაწესებულ სასამართლო დოკუმენტში. XIX საუკუნის დასაწყისის ახალ ისტორიულ პირობებთან შესაბამისად ამ დოკუმენტში იოანე უკვე კარგად ამჩნევს ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელ სოციალურ უსამართლობას. იზიარებს სასამართლო დოკუმენტის მოთხოვნას ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთ ნდობითა და არსებული კანონების ფარგლებში ნორმალურ ცხოვრებას და ურჩევს მათ:

„ომქმედოთ როგორათაჲ ახალი ხალხნი,
ეგრეთვე შეიწვიოთ სიტკბოებით და არა შეუშვათ უბრალოთ იასაულები და უსამართლობა არაჲის არ უყონ და ხალხი არ შეაწუხონ. შემდეგ: „რაც ჩივილი იყოს სიტკბოებით გაარჩიოთ თავთაჲ-ისს გზითა და არაჲის უყოთ უსამართლობა“.³⁴

აქვე მითითებულია, როგორ მოიქცენენ მამულის გამო ატეხილი დავის, ქურდობის და სხვა საკითხებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ დოკუმენტში ხაზგასმით არის გამოყოფილი „ტყვის საქმე“, რომლის გამო მოუწოდებენ ორივე მხარეს — „გაისარჯონ ნამეტნავათ და თუ უფრო „მძიმე საქმე იყოს, თქვენ ვერ გაარჩიოთ, უნდა გამოუტყხადოთ გორის ქალაქსა შინა განწესებულებით“³⁵.

იოანე იალღუზიძის სინამდვილესთან ასე ახლოს მისვლამ სრულიად მართებულად აფიქრებინა პროფ. ნ. ჯუსოითის, რომ

³⁴ Г. Ахведпани, Сборник Избранных работ по Осетинскому языку, 1960, стр. 103—104.

³⁵ იქვე.

იოანეს „აღლუზიანი“ უნდა შეექმნა 1802 წლამდე ბევრად ადრე, ქართველი მეფის კარზე ცხოვრების დროს³⁶

ამრიგად, იოანე იაღლუზიძის მსოფლმხედველობა არ არის ერთსახოვანი, რაც შეპირობებულია იმით, რომ მას ცხოვრება მოუხდა ორ სრულიად განსხვავებულ კულტურულ-საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ყოფაში და არ შეიძლებოდა ყოველივე ამას გავლენა არ მოეხდინა მასზე.

უფრო თანმიმდევრული მოსჩანს მისი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებები. ეს შეხედულებები, როგორც აღვნიშნეთ, ახლოსაა XVIII საუკუნის ქართული მწერლობის მხატვრულ-ესთეტიკურ მონაცემებთან. აშკარაა, იოანე იცნობს არჩილის, დავით გურამიშვილის და სხვების ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ცდილობს ცხოვრებისეული სინამდვილე ასახოს რეალისტური თვალთახედვით, სურს „აღწერილით“ თავის ხალხს სიკეთე მოუტანოს.

იგი პოემის მე-8 სტროფში ამბობს:

„აღწერო ყველა გონიერად, მართალ, არა რა შევეშალო,
რაც მომხდარა ჩვენში კარგი, ვიწყო და არ დავიშალო,
თუ როგორის ცხოვრებითა ჩვენმან მყოფობამან განვლო.
შეწევნითა ქრისტეს ღვთისა ყოფილი ესრეთ მოვთვალო“.

ამ სტროფში ცნება „ყველაფრის გონიერად აღწერა“, ვფიქრობთ, ავტორის მიხედვით რაიმე გადმოსაცემი შინაარსის სიმართლით დანახვასა და მხატვრულ ასახვას უნდა გულისხმობდეს. ცნების ასეთ გაგებას მხარს უჭერს იგივე სტროფის პირველი ტაეპის მეორე ნახევარი, სადაც ნათქვამია: „მართალ, არა რა შევეშალო“. ჩვენი აზრით სინამდვილისადმი იოანეს ასეთი დამოკიდებულება ერთგვარი გამოძახილი შეიძლება იყოს იმ მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებებისა, რისთვისაც თეიმურაზ პირველს ეკამათებოდნენ ეროვნულ-ნაციონალური სკოლის წარმომადგენლები XVII — XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში.

იოანე, ჩვენი დაკვირვებით, მეტად პრინციპულად ეკიდება მწერლობაში არჩეულ გზას. გავიხსენოთ მისი სიტყვები „რაც მომხდარა ჩვენში კარგი, ვიწყო და არ დავიშალო“. ანდა მისი მიმართვა ღმერთისადმი „ზე, ღმერთო! მარად მამყოფე ბოლომდის კარგის მღევანი“ და სხვა.

ეცნობა თანამედროვე მკითხველი იოანეს ამ საპროგრამო

³⁶ Н. Джусойты, История Осетинской литературы, I, 1980, стр. 54.

შინაარსის სიტყვებს კარგის მხარდაჭერისა და მის ბოლომდე ერთგულების შესახებ და ინტიუტურად მისთვის ნათელი ხდება, რომ სინამდვილეში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იოანეს ყველანაირი თემა არ აინტერესებდა. ის ეძებდა მხოლოდ თავისი ხალხის „ყოფობის“ რეალობას, აღნუსხავდა მას დიდი სიყვარულითა და „მოთვლით“ ე. ი. თნობით თანმიმდევრულად გადასცემდა მკითხველს.

ისტორიული სახეები „აღლუზიანში“

იოანე აღლუზიძის ცნობილი პოემა „აღლუზიანი“ თემატიკური შინაარსით, ამბავის გადმოცემის სარბიელით, მთავარი მოქმედი გმირის — აღლუზონის წარმომავლობით, მასში ასახული სხვა ისტორიული სახეების თვითყოფადობით, ენობრივ-სტილისტიკური თავისებურებებით ოსი ხალხის ცხოვრების გარკვეულ ისტორიულ პერიოდს ასახავს.

ჩვენი აზრით, ამ ნაწარმოებში ისტორიული ჟანრისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა პირობაა წარმოჩენილი. ამასთან ამ საკითხთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია თვით ავტორის დიდი სურვილი

„ხელ-ვპყო წიგნებს აღწერადა ვის გვარ ვართ შთამომავალი ვინ ვისგან იწვდის ყოფისა, ვის გვართა გამომავალი, ვინ ვის გვართაგან ძეობდეს, ვინ ვისგან არს მომავალი. და ვინ ვითარი გასწია მხნეობა ხმელეთს მავალი“³⁷. (ხაზი ჩვენი — შ. ქ.).

კარგად დავაკვირდეთ იოანეს სიტყვებს: მსურს მოგიტხროთ — მიმართავს იგი მკითხველს — ა) ვის გვარ ვართ შთამომავალი, ბ) ვინ ვისი გვარისაგან ძეობს, ე. ი. ვინ ვისი გვარისაგან არის წარმოშობილი, გ) ვინ ვისი გვარის გამარძელებელია. დ) ვინ ვისგან იწვდის ყოფისა ე. ი. არსებობას, თავის წარმომავლობას და დასასრულ, აღნიშნულია ის, თუ ჩვენი წინაპრებისაგან ვინ „გასწია მხნეობა ხმელეთზე“ ე. ი. ვინ გვასახელა ისტორიულად.

როგორც ვხედავთ, აქ მთელი სიცხადით მწერლის ჰერეტიკის საგანია თავისი ხალხის წარსული. მისი ერთმთლიანობაში მხატვრულად გადმოცემის იდეა. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია

³⁷ აღლუზიანი, პოემა, გამოცემული ნ. გამრეკელისაგან, 1885 წ. გვ. 4.

ცნობილი მკვლევარების: ა. ხახანაშვილის, მ. ჯანაშვილის, ლ. ლოპატინსკის და სხვათა შეხედულება იმის თაობაზე, რომ „აღლუზიანი“, პირველ ყოვლისა, ისტორიული ქანრის ნაწარმოებია“³⁸.

მეორეს მხრივ, ჩვენი აზრით, ერთგვარად დამაფიქრებელია აკად. კ. კეკელიძის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს პოემაში ფაქტიურად არაერთგვაროვანი ისტორიული სინამდვილე არ არის ასახული³⁹.

ეს მოსაზრება, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ვფიქრობთ, აკად. კ. კეკელიძის შეხედულება პოემაში ასახული ისტორიული სინამდვილის შესახებ უფრო ღრმად შესწავლას საჭიროებს, ვინაიდან თვითონ პატივცემული მეცნიერი იგივე ნაშრომში აღნიშნავს: იოანე იაღლუზიძე ოსი ხალხის დასახელებულ წინაპრებთან ერთად იცნობს ქართული ისტორიული მართიანების ცნობებს დავით აღმაშენებლისა და მისი ახლო წინაპრების შესახებ ქართველი ბაგრატიონებიდან (იხ. იგ. ნაშრომი გვ. 469).

გამოჩენილი მეცნიერის შეხედულების ეს მეორე ასპექტი დიდად საყურადღებოა, ვინაიდან ჩვენი გაგებით, დიდმა მეცნიერმა ერთგვარად სხვა კუთხით შეხედა თავისივე, პირობითად თუ ვიტყვით, პირველ შეხედულებას აღლუზიანში ასახულ ისტორიულ მონაცემებზე. ეს გარემოება კი ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობას უფრო ფართო პლანით გვიხატავს. რაც შეეხება თვით ნაწარმოებს, თუ კი მას ამ ასპექტით შევაფასებთ, იგი უფრო მეტ შინაარსობლივ დატვირთვას იძენს.

ეს დიდი და საპატიო საკითხია, რომელსაც, ალბათ, უფრო დაწვრილებით ჩვენი ისტორიკოსები შეისწავლიან.

ამჯერად ჩვენი მოკრძალებული მიზანია, ნათელვყოთ შესაძლებლობის ფარგლებში, როგორი შტრიხებითაა მხატვრულად წარმოსახული პოემაში დავით სოსლანისა და მისი ახლო წინაპრების მხატვრული სახეები. მაგრამ ვიდრე კონკრეტულად ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს შევეხებოდეთ, სასურველად მიგვაჩნია მკითხველს შევახსენოთ, როგორ არის გაგებული ძირითადად ისტორიოგრაფიაში ქართველი და ოსი სახელოვანი წინაპრების კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხი, სა-

³⁸ იხ. ო. თე დ ე ე ვ ი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1986, გვ. 8.

³⁹ Известия. Осетинского Научно-исслед. института краеведения (ОСНИК), вып. II, Владикавказ, 1926, стр. 468.

განგებოდ აღვნიშნოთ, პოემის ავტორი რომელი წყაროებით სარგებლობდა მისთვის საინტერესო ისტორიული სახეების ცხოვრების მხატვრულად გადმოცემისას.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მესამე ტომში ვკითხულობთ: „დავითის წარმომავლობაზე არ არსებობს ერთნაირი აზრი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია მოსაზრება, რომ დ. ს. იყო ოსეთში დამკვიდრებული ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი. მკვლევართა აზრით, ეს შტო მომდინარეობს გიორგი-ისა და ალანთა ტომის ასულის ალდე დედოფლის ვაჟის დემეტრესაგან. ვახუშტის ცნობით, დემეტრეს დარჩა ძე, რომელიც თავის ბებია ალდესთან ერთად ოსეთში გაიქცა. იქ იქორწინა ოსთა მეფის ასულზე და თვითონაც ოსთა მეფედ იწოდა. დ. ს. ბაგრატიონთ მიიჩნევს ლაშა გიორგის დროინდელი მემათიანეც. ზოგი მკვლევარის მოსაზრებით დ. ს. ცარაზონთა ოსურ საგვარეულოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობები საისტორიო წყაროებში არ ჩანს და ეს თვალსაზრისი ზეპირ ვარაუდად რჩება“⁴⁰.

უნდა აღვნიშნოთ, რომ პროფ. გ. თოგოშვილი თავის ადრინდელ შრომებში იზიარებდა დავით სოსლანის წარმომავლობის შესახებ ქართულ მათიანეებში შემონახულ ცნობებს, მაგრამ უკანასკნელ ხანს მკვლევარმა განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა⁴¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროფ. ვ. აბაევმა გაიზიარა პროფ. გ. თოგოშვილის მოსაზრება და ალღუზიანისა და დავით სოსლანის წარმომავლობის თაობაზე დიდად საყურადღებო შეხედულებები მოგვცა⁴².

ცხადია, საკითხის ამ პლანში ფართოდ წარმოჩენა, უფრო მეტად სპეციალისტების საქმეა, ჩვენ კი დავუბრუნდეთ საკითხს — მაინც რომელი წყაროებით სარგებლობდა იოანე იალღუზიძე პოემაზე მუშაობისას დავით სოსლანის და მისი ახლობლების ცხოვრებისეული ცნობების გადმოცემისას? პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ მხოლოდ ქართული ისტორიული წყაროებით და, რაც არსებითია, იგი ამ წყაროების სოლიდურ ცოდნას ამჟღავნებს. მიემართოთ კონკრეტულ ფაქტებს. ჩვენი და-

40 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, 1978, გვ. 344.

41 გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან უძველესი დროიდან XIV ს. დამლევამდე, 1958. გვ. 130.

42 Литературная Осетия, 1982, № 60.

კვირვებით ამ მხრივ საყურადღებოა პოემის პროლოგის მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 სტროფები, სადაც მხატვრულ ფორმაში გადმოცემულია ოსი და ქართველი ხალხების ისტორიული ცხოვრების არა ერთი საყურადღებო ფაქტი.

ავტორი ნაწარმოებში დავით სოსლანსა და მის წინაპარს, ერთი შემთხვევის გარდა პირდაპირ, პლაკატური დასახელებით კი არ გვაცნობს, არამედ მეტაფორულად, მიანიშნებით. მაგალითად, დემეტრე უფლისწული მიჩნეულია „შტო ერთ ვნებულად“. „შტოს მეტად ქადებულად“, ხოლო მისი გვარის გამგრძელებელის ე. ი. დავით სოსლანის მამა „კიდევ ერთ შტოდ“, რომელიც ძირზე ნამყნეული იყო, ხოლო დავით სოსლანი აღიარებულია თავისი ღირსეული წინაპრებისაგან წარმოშობილ „უმეტესად ხაფხე გულთან“ პიროვნებად და სხვა.

მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი გახდეს იოანე ალლუზიის მეტაფორული მეტყველების შინაარსი დავით სოსლანსა და მის ახლო წინაპრებზე, სასურველად მიგვაჩნია ერთიმეორეს შეეკუდართო ისტორიული წყაროებისა და პოემის ზოგიერთი მონაცემები.

1. დემეტრე უფლისწულის შესახებ მათიანეში ვკითხულობთ: „და ამისა შემდგომად სხუაცა ძე დარჩა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლისა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ეღვა ვერცაღა გამოინდევს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცაღა თავადთა დიდებულთა ამისა სამეფოსათა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა და წარუტანა თანა ანაკოფია. და მიერთგან წარუხდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქადამომდე“⁴³.

რა ირკვევა ამ ცნობით? პირველ რიგში ის, რომ დემეტრე უფლისწული ბაგრატის მოწინააღმდეგე ზვიად დიდებულებს თავისი ინტერესების დასაცავად სურდათ გამოეყენებინათ, მაგრამ ეს მცდელობა ჩაიშალა და ამით დიდად იზარალა თვით დემეტრემ.

დემეტრე უფლისწულის ეს ავბედითი ცხოვრებისეული ისტორია იოანეს პოეტურად ასე აქვს გადმოცემული:

„ხისაგან დავით მეფისა მოსწყდა შტო ერთი ვნებული,
იყო სუნითა სუნნელი და ედემს ზალსა ნერგული,

⁴³ ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 369, 8.

რომელ წარიღო იგ ქარმან ზღვის პირსა დასდო ქებული,
და მოზღუდინა კიდენი, ყველა ჯყო მათ ვალდებული.
აღმოსცენდა იგი მშვენად არვის ესმა განგებული,
აღორძინდა, აღმოსცენდა შტონი მეტად ქადებული,
ესრეთ რომ მხედს ელეოდა აქა მყოფთა მალე გული,
მაგრამ ერთმან ღრომან დასცა იგ ტოტებით დაჩაგრული“
(გვ. 4—5).

დავაკვირდეთ პირველ სტროფს: აქ გახსენებულია ის საერთო ძველი შეხედულება, რომ ვითომ ქართველთა მეფეები ბიბლიური დავითის მონათესავეები არიან და დემეტრე უფლისწულიც სწორედ ასეთი პიროვნებაა, ოღონდ „შტო ვნებულია“, ე. ი. ჭერ კიდევ არ არის თავის უფლებაში აღიარებული და ზღვის პირას მისთვის განკუთვნილ კარგად მოზღუდულ ადგილას — ანაკოფიაში ცხოვრობს. სარგებლობს სათანადო ავტონომიური უფლებებით.

მეორე სტროფით ვგებულობთ, რომ დემეტრე გაზრდილა. დამშვენებულა, საამაყო გამხდარა, იმედი გასჩენია ვილაც „მხედის“ ე. ი. მისი მზრუნველის დახმარებისა, შემზადებულა უფრო დიდ სარბიელზე გამოსასვლელად, მაგრამ „ერთ ღროს დაუცია იგი ტოტებით დაჩაგრული“. რას უნდა გულისხმობდეს ავტორი აქ „ერთ ღროში?“ ჩვენი აზრით, ბაგრატ მეფის მოწინააღმდეგეთა დამარცხებას, რაც არ იყო სასურველი დემეტრესათვის. აი, როგორ არის ეს ფაქტი შეფასებული: „ბაგრატ მეფეს ჰყავდა ნახევარ-ძმა — დემეტრე. ეს უფლისწული და დედა მისი აფხაზეთში, ანაკოფიის ციხეში იმყოფებოდნენ. ეს ციხე-ქალაქი და მისი ოლქი დემეტრეს საუფლისწულოდ ჰქონდა მიცემული გიორგი მეფის მიერ. აფხაზეთში არა ერთი დიდი აზნაური იყო, რომელსაც ამ უფლისწულის გამეფება და მისი ბაგრატიანთის დაპირისპირება სურდა.

ბიზანტიის კეისარი ფხიზლად უთვალთვალებდა საქართველოში შექმნილ ვითარებას, აქ საქმის გართულებას მოუთმენლად ელოდა და უფლისწულ დემეტრეს მფარველობით აიმედებდა.

კეისრის აგენტებს არაფერი გამოუვიდათ. მათ ვერ გაამეფეს დემეტრე, მაგრამ ვერც ბაგრატ მეფემ მიინდო გადამდგარი უფლისწული. დემეტრე ბიზანტიაში გაიქცა, კეისრის საფარველში შევიდა და ანაკოფიის ციხე ამ თავის მწყალობელს გადასცა“⁴⁴.

⁴⁴ ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი და სხვები, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 143—144.

2. დემეტრეს დარჩენია ძე. „რამეთუ დიმიტრის ანაკოფიას, აფხაზეთს დაშთა ძე და ივლტოდა ბებით ოვსეთს. მუნ შვილო-ბილმან იქორწინა ოვსთა მეფის ასულსა ზედა და ძე იგი მისი ოვსეთს მყოფი მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის-ძე დიმიტრისა“⁴⁵.

აღლუზიანის მე-12 სტროფში ეს ფაქტი ამგვარად არის გადმოცემული:

„იქ დაშთა კიდევ ერთი შტო, მხოლოდ ძირზედ ნამყნეული, ის აღორძინდა, რადგან იყო ძირით სავეს აღვსებული. ყოვლითა კეთილ საზარდელით, მხოლოდ მას ძიდას ძებულნი რომელ მუნით ინაყოფა, უმეტესად სავეს გული“ (გვ. 5).

ავტორს ამ სტროფის შინაარსი ერთგვარ ფონად სჭირდება დიდი პიროვნების წარმოსაჩენად. ვინაა ეს დიდი პიროვნება? იოანეს აზრით ეს დიდი პიროვნებაა დავით სოსლანი, რომელსაც იგი მეტაფორულად „სავსე გულს“ უწოდებს. მაგრამ ვიმეორებთ, აქ მეტაფორით ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი ნათქვამი. ეტყობა, ავტორი გრძნობს ამას და აი, მომდევნო სტროფში მას უწოდებს დიდი ტახტის მფლობელს, დიდ მეფეს, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანი კი არ იყო, არამედ ღვთისაგან იყო მოვლენილი.

„ამის გამო აღუშენა ტახტი ესრედ განგებელი, ჰსჯელის დებაზე ბერძენთა აღმოლვიდა რა ქებული, ტახტსა დასჯდეს მეფე დიდი თვით განგებით დიდებული სიტყვისაებრ ძლიერ ღვთისა, დავით მეფისა გებული“ (გვ. 5).

3. დავით სოსლანისა და ნაწილობრივ მისი წინაპრების შესახებ პოემაში მოცემული ეს მხატვრული მასალა ეხმიანება ვახუშტი ბატონიშვილის შემდეგ ცნობას: „მაშინ პოვეს ყრმა ეფრემის ძისგან ოვსთა მეფისა, რომელი აღეზარდა რუსუდან მამიდასა თამარისასა. არამედ ეს დავითი იყო მეფის გიორგის ძის დიმიტრისაგან... რამეთუ დიმიტრის ანაკოფიას, აფხაზეთს დაშთა ძე და ივლტიდა ბებით ოვსეთს, მუნ შვილებულმან იქორწინა ოვსთა მეფის ზედა და ძე იგი მისი ოვსეთს მყოფი მამულით იწოდა მეფედ ოვსთა და ძის-ძედ დიმიტრისა“⁴⁶.

პოემის მე-14 სტროფში იოანე პირდაპირ ასახელებს დავითს და მიმართავს:

⁴⁵ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, გვ. 176, 11.

⁴⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. IV, 1973, 11.

„შენგნით, დავით, გამოვიდნენ მეფენი დიდად ქებულნი,
საყდარსაზე სამჯავროსი, შეუძვრელად ქადებულნი,
ჰფუცოს და არ შეინანოს ღმერთმან იგი თვისნი თქმულნი:
„თესლი მისი განამრავლოს, ვით ქვიშანი ზღვის ურწყულნი!“

სტროფში დასახელებული დავით, რასაკვირველია, დავით სოსლანია, ხოლო „მეფენი დიდად ქებულნი“, რომელნიც „საყდარსაზე სამჯავროსი“ ე. ი. სამეფო-საბრძანებლო (სასამართლო) ტახტზე დამსხდარან და ყველას მიერ აღიარებულნი ყოფილან, ვფიქრობთ, უნდა იყვნენ დავითისა და თამარის შვილები რუსუდანი და ლაშა გიორგი.

დამახასიათებელია ისიც, რომ სტროფის მესამე ტაეპში რუსუდანსაც და ლაშა გიორგისაც იოანე ღმერთისაგან მოვლინებულ მეფეებად თვლის და ევედრება მას, რომ დავითის შვილებისათვის არაფერი შეინანოს, გადააფაროს თავისი კალთა და თესლი მისი განამრავლოს, ვით ქვიშანი ზღვის ურწყულნი.

დაახლოებით ასეთია ჩვენი დაკვირვებით, პოემა „აღლუზიანში“ ჩვენთვის საინტერესო ზოგიერთი რეალური ისტორიული მოღვაწის ავტორისეული მხატვრული გააზრება და წარმოჩენა.

12

12

ფოლკლორული მოტივები პოემაში

ხალხური სიბრძნე, ფოლკლორული მასალა არა ერთი მწერლის შემოქმედების შთაგონების წყარო გამხდარა. ამ მხრივ გამონაკლისი არც იოანე აღლუზიძეა. ჩვენი დაკვირვებით პოემა „აღლუზიანში“ ჭარბადაა გამოყენებული ფოლკლორული მასალა.

ამ მასალის შესწავლით ირკვევა, რომ იოანეს ჭერ კიდევ ბავშვობაში, სანამ თბილისში წაიყვანდნენ, თავის ოჯახში კარგად შეუთვისებია ეროვნული ხალხური ზეპირსიტყვიერება. უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ ამ მხრივ იგი შემდგომში, ქართულ კულტურულ გარემოში, ჭეროვნად გაიცნობდა, აგრეთვე, ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერებასაც. ისე, რომ პოემაში ასახული ფოლკლორული მასალების შესწავლისას ჩვენ მხედველობაში უნდა გვქონდეს, როგორც ოსური, ისე ქართული ხალხური ფოლკლორული მასალებიც და ამის მიხედვით ცხადვყოთ, რა მასალა შეარჩია ავტორმა მხატვრული ჩანაფიქრის წარმოსახავად და როგორ გამოიყენა იგი მიზნობრივად.

ვიდრე კონკრეტული მასალების ანალიზს შევუდგებოდეთ,

საჭიროდ მიგვაჩნია წინასწარ შევნიშნოთ, რომ პოემაში წარმოდგენილი ფოლკლორული მოტივები თუ ელემენტები ავტორს უბრალოდ სამკაულისათვის კი არ აქვს მოხმობილი, არამედ საგანგებოდ. კონკრეტული მხატვრული ჩანაფიქრის ფიქსაციისათვის. ვფიქრობთ „აღლუზიანში“ გამოყენებული ფოლკლორული მასალების უპირველესი მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულება ისაა, რომ: ა) ხელი შეუწყოს ტექსტში ასახული სიუჟეტური შინაარსის დინამიკურ განვითარებას და ბ) დამაჯერებლად გვიჩვენოს კონკრეტულ სიტუაციურ შემთხვევაში რა როლს ასრულებს ესა თუ ის ფოლკლორული მასალა ცალკეული პერსონაჟის ქცევაში, მისი ინდივიდუალური სახის დახასიათებაში.

ჩვენი დაკვირვებით იოანეს პოემაში მიზნობრივად გამოყენებია ისეთი ფოლკლორული მოტივები, როგორცაა სიზმრის ნახვით სასურველი მოლოდინის წინასწარ საორიენტაციოდ წარმოსახვა, ერთგული ცოლ-ქმრის ტრფიალის ტრაგიკული დასასრული, ფალავნების შერკინება, ცალკეული პერსონაჟების ძლიერი ხმიანობის ჩვენება და სხვ.

ქვემოთ პირველ რიგში განვიხილოთ კონკრეტულ ტექსტუალურ მასალაზე დაყრდნობით, როგორ არის პოემაში გამოყენებული დინამიკური შინაარსის ფოლკლორული მოტივები.

1. აღლუზონმა „ჩერქეზეთის ბატონობა და მეფობა დაიმკვიდრა“. ეს არ მოეწონათ ჩეჩენთ, „განუცხადეს აღლუზს ომი და წართმევა მშვენიის ქალის“. მდგომარეობა გართულდა, აღლუზონი განრისხდა, ხოლო მისი მშვენიერი მეუღლე ესთერი ძლიერ შეწუხდა.

„ამისთვის, რომ დაშვიდებას ჯარი ბევრი უნდებოდა,
ამ ჯაერით და შეწუხებით თითქმის მშვენი უკვდებოდა“.

აღლუზონი შეშინებულ მეუღლეს ამშვიდებს, ეუბნება, რომ ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს. მას დიდი იმედი აქვს ღვთის დახმარებისა და შემდეგ ნათქვამის დასადასტურებლად იხსენებს ნახულ სიზმარს:

„სიზმარიცა ვნახე კარგი: მტრედი თავუდან მაჭდა მე,
ოქროსოვანი ბისონი მეცვა ტანსა და მშვენდა მე,
მისი მეტად სიბრწყინვალე გონებასა მტაცებდა მე,
უმადლესს ქვეყნის გულს ტახტს მჯდომს თავს გვირგვინი დამედგა
მე. (35)

როგორც ვხედავთ, ეს სტროფი ფოლკლორულ მოტივებთან ერთად (სიზმრის ნახვა, თავზე მტრედის დაჯდომა) აღსავსეა ალლუზონის ოპტიმისტური განწყობილების გამომხატველი მრავალი საინტერესო სიმბოლიკითაც. ცხადია, ეს სიმბოლიკა უშუალო კავშირშია მოცემულ მოტივებთან და ალლუზონის შინაგანი განწყობილების საილუსტრაციოდაა აქ წარმოდგენილი.

პერსონაჟის (ამ შემთხვევაში ალლუზონის) მოქმედებისა და შინაგანი განწყობილების წარმოჩენის ეს ხერხი, რომელსაც პოემაში ვეცნობით, ფართოდ არის ასახული როგორც ოსურ, ისე ქართულ ფოლკლორში. მაგალითად, ოსურ მასალაში, რომელსაც „ღარიბი კაცის ზღაპარი“ ეწოდება, არზრუმს ჩასულ ღარიბ კაცს ერთი მედუქნე ეკითხება: აქ რატომ ჩამოხვედიო. ღარიბმა უპასუხა: „სიზმარში ერთმა კაცმა მითხრა, წადი არზრუმს და იქ ხიდის ყურში ისეთ რამეს იპოვი, რითაც შენს სიცოცხლეში უზრუნველყოფილად იცხოვრებო. იმიტომ ჩამოვედი. მაგრამ აქ მხოლოდ ერთი კვახის ქერქი ვიპოვე მეტი არაფერი“⁴⁷.

მედუქნემ დალოცა ღარიბი და უთხრა: „— მაშ, ჩემთანაც დაიარება სიზმარში ერთი კაცი და მეუბნება, წადი თოქაანთ სოფელში, იქ სამი თუთის ხეა, შუათანა ამოთხარე და მის ქვეშ იპოვი იმდენ ოქროს ფულს, რითაც შენს სიცოცხლეში ბედნიერად იცხოვრებო; რადგანაც შენი ჩამოსვლა უმიზნოა, მეც აღარ წავალ.“

ღარიბმა კაცმა კარგად დაიმანსოვრა ყოველივე ეს. როცა სოფელში დაბრუნდა, ამოთხარა შუათანა თუთის ხე და მის ქვეშ მართლა იპოვა ერთი ქვევრი ოქროს ფული“⁴⁸.

წარმოდგენილი მასალით ნათელია, რა როლს ასრულებს სიზმარი ღარიბი კაცის ცხოვრებაში. ასევე „ალლუზიანშიც“ სიზმარს ენიჭება ალლუზონის მოქმედების განვითარების შემდგომი მასტიმულირებელი ფუნქცია, ამრიგად. შეიძლება ითქვას, რომ იოანე ამ შემთხვევაში გარკვეულ შემოქმედებით კავშირს ამუღავნებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან.

2. „ალლუზიანში“ ასახული საერთო მოქმედების განვითარების ერთ-ერთი დიდად საყურადღებო ეპიზოდია ალლუზონის ვერაგულად სიკვდილის გამო მისი მშვენიერი მეუღლის ტრაგიკული სიკვდილი. ეს ეპიზოდი თავისთავად, სიუჟეტურად ერთი მთლიანი, დამთავრებული მონაკვეთის შთაბეჭდილებას სტოვებს.

⁴⁷ ოსური ზღაპრები და ლეგენდები. თარგმან მერი ცხოვრებოჟამ, 1972, 33-65.

⁴⁸ იქვე.

მას აქვს თავისი შინაარსის განვითარების ცალკეული საფეხურები, კერძოდ:

ა) ალღუზონის ვერაგულად სიკვდილის შეტყობინება ოჯახისათვის დროშითა დაწერილით,

ბ) ალღუზონის სახალხო დატირების სურათი,

გ) სამეფო ტახტის სამგლოვიაროდ შემოსვა,

დ) ესთერის მოკლულ მეუღლეზე დაკონება:

ე) ესთერის მიმართვა გარდაცვლილი მეუღლისადმი,

ვ) ესთერის სიკვდილი.

ამრიგად. შეიძლება ვთქვათ, ეს ეპიზოდი დამოუკიდებლადაც მკითხველისათვის მხატვრულად საყურადღებოა. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ პოემაში ალღუზონის საერთო მოქმედების სარბიელში ჩართვით იგი სიუჟეტურად მთლიანი ნაწარმოების ორგანული ნაწილის ფუნქციას ასრულებს. მეტიც. ამ ეპიზოდით მკითხველისათვის ლოგიკურად დამაჯერებელი მოსჩანს ალღუზონის სიკვდილთან ერთად მისი მშვენიერი მეუღლის ცხოვრების უშინაარსობაც. ამიტომ ესთერის სიკვდილს მკითხველი პოემაში ბუნებრივად აღიქვამს.

რით აიხსნება ეს ფაქტი? შეიძლება იმ გარემოებით, რომ გარდაცვლილი ქმრის ერთგულ მეუღლის მიერ თავგანწირვით დატირება და სიკვდილიც უცხო არ არის არც ქართული და არც ოსური ფოლკლორისათვის. ჩვენი აზრით, ამ მოტივის არსი ხალხური სიბრძნით ცოლქმრული სიყვარულისა და მტკიცე ურთიერთ დამოკიდებულების ჩვენებაა. ხალხს სწამდა, რომ ოჯახი მხოლოდ და მხოლოდ უებრო სიყვარულითა და ურთიერთ გაგებით უნდა სულდგმულობდეს და როცა კეთილშობილ ადამიანებს ძალით. ან ღალატით ერთმევათ ეს ურთიერთობა, ისინი ტრაგიკული სიკვდილით ამთავრებენ თავიანთ ცხოვრებას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ ქართული ფოლკლორიდან შეიძლება აბესალომ და ეთერის ტრაგიკული ცხოვრება დავასახელოთ, ხოლო ოსური ფოლკლორიდან ნაწილობრივ ნართების ეპოსში მოცემული სათანასი და ურუზმაგის ურთიერთდამოკიდებულება.

როგორც ვიცით. „ეთერისა და აბესალომის ამბავში“ აბესალომის მძიმე ავადმყოფობით შეწუხებულ ეთერს მარეხი წაიყვანს თავის ძმასთან. აბესალომი კმაყოფილია სატრფოს ნახვით, დიდ მადლობას მოახსენებს მას და კვდება. გარდაცვლილ აბესალომს ეთერი დაეკონა და ამოთქვა:

„აბესალომის დანაო,
 ჯიბეს მიძეხარ განაო,
 ამოგიღებ და დაგიცემ
 მარცხენა ძუძუსთანაო;
 პირი ჩემსკენ, ტარი შენსკენ,
 მეც დაგაკედები თანაო.
 ერთადაც დავიხოცებით,
 ერთადაც დაგვემარხიანო,
 მიწასაც მიგვალირებენ,
 ფოთოლთამც მოგვაყრიანო!
 თავს ვარდი ამოსულიყვეს,
 დილის ნიავე შლიდესო,
 ზედ მოდიოდნენ ჩიტები,
 ბუღობდნენ, ბარტყებს ზრდიდნენო,
 ფეხთითა წყარომც გამოვა,
 შიგ ოქროს თასი იღვესო,
 ყველა მუშა და მაშურალი,
 ყველა ჩვენ დაგვნატრიდესო!
 დაგვლოცდეს ამვლელ-ჩამვლელი,
 შენდობას შეგვიფთვიდესო.
 რა კარგი რამ დახოცილან,
 ისევამც ადგებთანო!“

ეთერისა და აბესალომის ამ ტრაგიკულ ხვედრს თუ შევეუ-
 დარებთ ესთერისა და ალლუზონის ტრაგიკულ სიკვდილს, რო-
 მელიც პოემაში მხატვრულადაა ასახული, ვნახავთ, რომ აქ არა
 მარტო თემატიკურ-შინაარსობლივი სიახლოვე შეინიშნება, არა-
 მედ ონომასტიკურიც: ხალხურ თქმულებაში ეთერი დააკედება
 გარდაცვლილ მეუღლეს და პოემაშიც ესთერი იგივე ეთერი თა-
 ვის მეუღლეს. ამ ორ ეპიზოდში სიახლოვე შეინიშნება, ჩვენი
 აზრით, სტრუქტურულადაც. ორივე ტრაგიკული ხვედრის ქალი
 სიკვდილს შეგნებულად ეგებება, დაუფარავად აღნიშნავენ ისი-
 ნი თავის განწირვის მიზეზს, ახასიათებენ მეტ-ნაკლებად მეუღ-
 ლეთა გმირულ საქციელს. ამ მხრივ ორივე ქალის მონოლოგები
 სამაგალითოა. თუმცა მათ შორის მკითხველი კარგად ამჩნევს სა-
 თქმელის გამოსახვის სხვადასხვა ასპექტსაც, კერძოდ, ხალხურ
 თქმულებაში ჭარბობს მითოლოგიურ-საგნობრივი და სიმბოლუ-
 რი მასალა, ხოლო ლიტერატურულ მასალაში ეს უკანასკნელი
 ნაკლებად არის წარმოდგენილი და უფრო მეტად რეალური ცხოვ-
 რებისეული მოტივები მოსჩანს, რაც ხათანადოდაა შეფერილი
 ხალხური ზეპირსიტყვიერი აზროვნებისათვის დამახასიათებელი
 სიმბოლიკით.

იმის ნათელსაყოფად თუ რაოდენ შინაარსობლივი და ფორ-
მობრივი ხასიათის სიახლოვე შეინიშნება ხალხური ეთერისა და
ლიტერატურული ესთერის ტრაგიკულ ხვედრს შორის, აქვე
კონკრეტულად გავეცნოთ „აღლუზიანიდან“ სათანადო მასალას:

„ქარხილანმა დაინახა დროშა ალამთა წერილი,
შემოქრა თავსა დიდი ვამე მოკვედი, რა წერილი,
რათა არის და რას მინიშნავს, მეც მოკვედები უჯერილი,
დამეკარგვის შავის სკიპტრა მარჯვენას ჯელსა ჰვერილი,

ეს ესთერმან გაიგონა დედოფალმან დიდებულმან,
რაიო შვილო ქარხილან, მას მიმართა მიგებულმან,
დანახა ალამ დროშანი შავნი წერილი ვებულმან,
იქიდგან ერთის ხშობითა შემოჰბღაველა თვით კრებულმან.

დაეცა ელდით ესთერი: თითქმის სული ამოჰქროდა,
ბიბორს რა ნახდა შავითა, ჰკითხავდა გულით ითქროდა,
როგორ ჰბრძანდება ხელმწიფე, ჩქარა მითხარ გულს ეზროდა,
სტიროდა უსაწყლესად, მის ცოდვით მიწა იძროდა.

შეჰხედეს ქალაქის ბოლოს ხმა მოისმა სამტირალე,
ქუხილ-ტირილის დიდი ხმა და ქოსტ ცემა სამყვირალე,
მოასვენეს ოქროს ეტლით დიდი იგი საკვირველე,
ყოველსა შავი ემოსა, მოდიოდნენ სულ მწყურვალე.

სამეფო ტახტი შემოსეს შავითა ძვირფას ღიბითა,
გარს ოქროს სასანთლეები შეიდ ტოტნი დასდგეს კილითა,
ზედ გვამი მეფის აღლუზის მოკლული საქმით ფლიდითა,
ზედ გადუქონა საბრალო ხელმწიფა პირსა მკილითა.

„აწ განიღვიძე ბატონო, რისათვის სცურაჲ შავსა ზღვასა,
„მიბრძანე კიდეუ, ვისმინო თქვენი ხმა, უბრძანო სხვასა,
რა გენებებათ მოგართმევთ, მიბრძანეთ ნუ მიმეცთ წვასა,
„თუ ხმას არ გამეცმთ, მოკვედები, მეც გულს დავიღებ დიდ ქვასა“.

„უთქვენოთ ველარ ვიციცხლებ სული ამომქრის ვაებით,
„ნეტამც მე წინ მომკვლარვიყავ და არა თქვენა სხვაებით,
„აწ უკვე საით წავიდე, ვის მიემართო მე დავებით,
„ვინ მიგვიღებს საწყალობელთ, უთქვენოდ მახვს გაეებით.

„კითარ დატმო დიდებულო, შენ უტკებსო ხელმწიფეო,
„ვის რაცხ საპატრონოდ ჩემად ნეტავ რასა ვეწიფეო,
„ეს ოდენი სამეფონი შეიძინეთ ხელმწიფეო,
„რათა გასურდათ ეს ოდენი ღუდის სწნოლი მესიფეო.

ამას მეტსა ველარ სთქმიდა, ნახეს სული ამოჰქრიყო,
შედეგად დიდ გულთა რწალა, ნახეს მეფაზედ მოჰკერიყო,

პირ თვისი დიდი ბრწყინვალე პირსა ედვა მომკედარიყო,
მასვე დღესა მზე და მთვარე ორივე ციდან მომწყდარიყო“ (გვ. 55).

ხალხური „აბესალომ და ეთერის თქმულებისა“ და „აღლუზიანში“ ასახული ესთერის ტრაგიკული სიკვდილის ეპიზოდების ასეთი შედარება გვაფიქრებინებს, რომ იოანეს პოემაზე მუშაობისას ესთერის ტრაგიკული ხვედრის დახატვისას შესაძლოა გარკვეულად გათვალისწინებული ჰქონდა მითოლოგიური და რელიგიური საღებავებით შემკული ქართველი ხალხის მიერ შექმნილი ცნობილი თქმულებაც.

ამასთან ერთად, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ ესთერისა და აღლუზონის მტკიცე სიყვარულისა და ცხოვრებისეული თანადგომის დახატვისას იოანესათვის სხვა მასალებთან ერთად სათანადო შთაგონება უნდა ჰქონებოდა ნართების ეპოსიდან სათანასი და ურუხმაგის ცოლქმრულ ურთიერთობას; მართალია, ეს ეპიზოდი ოსი ხალხის სიბრძნემ ტრაგედიაში არ მიიყვანა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც სათანას ფხიზელი გონებით შექმნილი ერთგვარი იუმორისტული და ჰუმანური ტონებით გამთბარი ცნობილი ეპიზოდი, სადაც შეუბღალავი ადამიანური გრძობა იმარჯვებს ბოროტებაზე, რასაკვირველია, პოემის ავტორისათვის უდაოდ მახლობელი და შთამაგონებელი იქნებოდა.

აი, ეს ეპიზოდიც:

„ურუხმაგი ერთხელ თავის ცოლს სათანას ძლიერ გაუბრაზდა და უთხრა:

— ღვთის გულისათვის, გამშორდი, წადი შენს სამშობლოში! რაც კი მოგწონს ამ სახლში, წაიღე. თუ რამ ძვირფასი განძი გავგაჩნია, სულ შენი იყოს, ოღონდ თავი დამანებე, აღარ შემოიძლია!

— ძალიან კარგი, — უთხრა სათანამ, — რაკი მეტი გზა აღარ დამრჩენია, უნდა დაგემორჩილო, კაცო. წავალ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს და ამისრულე. მე ნართების პურ-მარილი მიმიღია, ასევე ნართებსაც ჩემი ნახელავი უგემიათ. უკანასკნელად წვეულება გამომართე და ნართები დამიპატიე, პატივისცემის ნიშნად მინდა ნუაზანი მივართვა.

ურუხმაგი დაეთანხმა, გაუმართა წვეულება. სათანამ საუცხოო სუფრა გაშალა. საკუქნაოში აღარაფერი დაუტოვებია — რაც კი ნუგბარი სასმელ-საჭმელი ჰქონდა, სულ მაგიდებზე დაახვევა. ნართები შვიდი დღე და შვიდი ღამე ისხდნენ უხვ სუფრაზე, სვამდნენ და ღრეობდნენ. მერე სახლებში წავიდ-წამოვი-

დნენ. ბოლოს მარტო მერიქიფეები-ლა შემორჩნენ. სათანამ ამ ყმაწვილებს უთხრა:

— ოჯახის უფროსს კარგად მიმიხედეთ, სირჩები მიართვით.

მერიქიფეებმაც არ დააყოვნეს, ურუხმაგს რონგით სავსე სასმისები მიართვეს. ურუხმაგი ისედაც საკმაოდ ნასვამი გახლდათ, ხოლო ამდენი სირჩების დაცლის შემდეგ უარესად დაითრო. დაითრო და ღრმა ძილითაც დაეძინა. მერიქიფეებიც თავ-თავი ანთ სახლებში წავიდნენ.

სათანამ შეაბა ნაპატივები ხარები ურემში, ჯინში თომი ჩაუფინა, დააგო ზედ ლეიბი, გადააფარა ხალიჩა, ჩააწვინა მძინარე ქმარი შიგ და თავის სამშობლოსაკენ გაუდგა გზას. სახლიდან სრულებით არაფერი არ წამოუღია.

როცა გაივალს და ბარში ჩავიდნენ, ურუხმაგს გამოეღვიძა. ამ ხანში კიდევაც გამოფხიზლდა. ხედავს, გვერდით სათანა უზის, სახრით ხარებს ერეკება და ბორხვენას ფოთლით სახიდან ბუზებს უგერიებს.

„ეს რა საოცრებაა, რომ ვერაფერი გამიგია?“ — ფიქრობს. გულში ურუხმაგი.

— სად მივდივართ, ქალო? — ჰკითხა კაცმა ქალს.

— ალბათ, დაგავიწყდა, სახლიდან რომ გამომაგდე, არა? სამშობლოში მივდივარ, — უპასუხა ქალმა.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ეს გამაგებინე, მე სადღა მიგყევარ? — ჰკითხა ურუხმაგმა.

— როცა სამშობლოში მისტუმრებდი, ხომ მითხარი: „თუ რამ ძვირფასი განძი გაგვაჩნია, შენი იყოს. წაიღეო“. მე ცხოვრებაში შენზე ძვირფასი და საყვარელი განძი არაფერი გამაჩნია და წამოგიყვანე, სხვა განძისათვის ხელოც არ მიხლია.

— ეს რა ეშმაკს გადაეყვარეო! — თქვა ღიმილით ბებერმა ურუხმაგმა: რაღას იზამდა, შეურიგდა ცოლს, გამობრუნდნენ შინისაკენ და კვლავ სიყვარულითა და თანხმობით განაგრძეს ცხოვრება⁴⁹.

როცა პოემაში ასახული ესთერის და ალღუზონის ტრაგიკულ სიკვდილს ვუდარებთ აქ წარმოდგენილ ქართულ და ოსურ ფოლკლორულ მონაცემებს, გვგონია, რომ იოანე იაღღუზიძის მხატვრული ეპიზოდი როგორც შინაარსობლივად, ისე ფორმითაც უფრო მეტ სიახლოვეს აბესალომისა და ეთერის ტრაგიკულ თქმულებასთან ამჟღავნებს. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სრულ-

⁴⁹ ნ ა რ თ ე ბ ი, თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, 1988, გვ. 67-68.

ოდაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ნართებში ასახულ სათანასა და ურუზმაგის ურთიერთობას ან სხვა მსგავს მასალას ოსური ფოლკლორიდან სათანადო შთაგონება არ მიეცა მისთვის.

3. პოემა „აღლუზიანში“ გვხვდება, აგრეთვე, მეფეების, ვეზირების და სხვა მებრძოლთა ინდივიდუალური შერკინების ეპიზოდებიც. ვფიქრობთ, ასეთი ფალავნური შეტაკების ეპიზოდების დახატვისას ავტორს ჭეროვნად უნდა გაეთვალისწინებინა ხალხურ ფოლკლორში კარგად ცნობილი ფალავნების შერკინების ცნობილი მოტივებიც. ცხადია, ამ თვალსაზრისით მას არა ერთი ეპიზოდი ეცოდინებოდა როგორც ქართული, ისე ოსური ფოლკლორისაგან. ჩვენ ამ მოსაზრებას გვიკარნახებს ის ფაქტიც, რომ პოემაში მეფეთა შებრძოლებაც მოტივაციის თვალსაზრისით თითქმის ისეთივეა, როგორც საზოგადოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში:

„შესთვალეს: მეფევ, არა სჯობს ესოდენ სისხლთა ქცევანი,
მეფე მეფეზედ გავიდეს, გაშინჯეთ თქვენი მხნე ტანი,
ვეზირნი ვეზირთ შევებშით, ვის მიხედეს, ენახთ ელეტანი,
ვისაც დარჩება, მას დარჩეს, რათ გსურთ ხალხის ელეტანი“. და სხვ

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოემაში იოანეს ფოლკლორიდან დინამიკურ მოტივებთან ერთად საკმაოდ გამოუყენებია ეგრეთ წოდებული სტატიკური ხასიათის მოტივებიც. მხატვრული დანიშნულების მიხედვით სტატიკური მოტივების ფუნქცია ისაა, რომ გარკვეულ სიტუაციაში ინდივიდუალურად დაახასიათონ ან რელიეფურად წარმოგვიდგინონ მწერლისათვის საინტერესო ესა თუ ის მოვლენა, თუ პერსონაჟი.

ჩვენი აზრით პოემაში ასეთი შინაარსის სტატიკური მოტივები (თუ ელემენტებია): რომელიმე პერსონაჟის ძლიერი ხმა, ოქროს ქოჩორი, ქაჩეულნი, მტრედი და სხვა.

აღლუზონის სიძლიერეს ხმის ძალით ავტორი ასე გვიხატავს:

„მოდოდა ცოტას ჯარით სიხარულით სხვისა თანა,
გამოიარა სულ მთა-მთა და მოვიდა ჩერქეზთანა,
მთანი დიდნი კაკავისნი მას ეკართოდენ ხმლისათანა,
ხმისა ზარით მოვიდოდა, არსად თქმულა არს იმისთანა“. (28)

ასევე აღლუზონი მაღალი ხმიანობით ბრძოლაში ჩაბმას ურჩევს თავის ჯარს:

„აქ ბატონი აღლუზ მეფე მოიჭურვა საომართა,
აბჯრები და ჯაჭვ-ჩაჩქანი ტანთ ჩაიცვა სიჩქართა,

ერთი ბრძანა: მსწრაფლ გამოდით საომრად ხმის ზარითა,
შეიკრებით ჩერქეზნო და ოვსნო და გაძოდით თქვენ ქართთა“. (37)

აღლუზონმა „... ხმლითა და თავისის ხმითა ესრეთ დაი-
პყრო. დამწუნი“. სხვა ადგილას დამარცხებული ხატაჯი მოწინა-
აღმდეგეზე ამბობს: „უჟან მოგვდევეს დიდის ხმითა“ და სხვ.

გმირის სიძლიერის დასახატავად ძლიერი ხმის მნიშვნელობა
კარგად არის ცნობილი ფოლკლორში. აქ ჩვეულებრივ პერსო-
ნაჟის ძლიერი ხმიანობა მაგიურადაა გაგებული, იგი ყოვლის
შემძლეა. „ბებერმა ეს სამივე ხე გადაყარა ზღვაში, — ვკითხუ-
ლობთ ერთ-ერთ ქართულ ზღაპარში, — და დაჰკივლა. მთელი
წყალი იქით გაქანდა და სამი ლერწამი ხე გამოჩნდა წყალში“⁵⁰,
„გველესაჰმა მეორედაც დაიყვირა და კოშკი აზანზარდა“⁵¹.

ამასთან ერთად ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალური და-
ხასიათებისათვის გამოყენებულია ფოლკლორული ელემენტები,
ოქროს ქოჩრისა და ქაჯეულნის სახით.

ოქროს ქოჩორი კაირან მეფის გარეგნობის ერთ-ერთი მთა-
ვარი დამახასიათებელი ელემენტია.

„იგ კაირან მეფის გეამი, რომ მითაცა ვინუგეშო.

„არ დამეკარგოს ჩემი მზე მარად საგონი ვუგეშო.

„და მისი ოქროს ქოჩორი თავსა ზესა გაუეშო.

აქ ვ-ხილო სელ უთქმელი, მაჰინ თემცა არ რ-მეშო“ (107).

ხეტაჯთა უშიშარობისა და შეუდრეკლობის სიმბოლოდ შე-
სადარებლად პოემაში ნახსენებია „ქაჯეულნი“ — იგივე ქაჯები,
ეშმაკები.

„ხეტაჯთა არად იჩინეს მექარი მისის ხმისანი,

გეამი იყენენ ქაჯეულნი, სულთა ეშმაკისანი“.

აბრიალებდნენ თვალთ ვითა ცეცხლის ალი თორისიანი,

საგვემლად არ, რა მიუდგათ, კერპნი იყენენ ომისანი“ (59).

ახლა თუ მოკლედ შევაჯამებთ ჩვენს დაკვირვებას პოემა
„აღლუზიანში“ გამოყენებული ფოლკლორული მოტივებისა და
ელემენტების შესახებ, შეიძლება ვთქვათ, რომ მის ავტორს
საკმაოდ ფართოდ, შემოქმედებითად გამოუყენებია, როგორც

⁵⁰ ხალხური სიბრძნე, I ტომი შეადგინა, წინასიტყვაობა და შენიშვნები
დაურთო მიხეილ ჩიქოვანმა, 1966, გვ. 68.

⁵¹ ოსური ზღაპრები და ლეგენდები, თარგმნა მერი ცხოვრებოვამ, 1972,
გვ. 179.

ოსური, ისე ქართული ფოლკლორული მასალები და ამის საფუძველზე მკითხველისათვის ნათელია — რა როლს ასრულებს ეს მასალები, ერთი მხრივ, პოემის საერთო იდეურ-თემატიკური შინაარსის სიუჟეტურად განვითარებაში და, მეორეს მხრივ, ვგებულობთ ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალური სახის დასახატავად რაოდენ ტევადია ამა თუ იმ ფოლკლორული ელემენტის როლი.

და ბოლოს, იოანე იაღლუზიძის დამოკიდებულება ფოლკლორისადმი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მას ნაწარმოებში შტამპის სახით უცვლელად გადაეტანოს პოემაში ეს მასალა. პირიქით, პოემაში არის არა ერთი ეპიზოდი, სადაც ამა თუ იმ ფოლკლორულ მასალას ავტორი ამოკლებს, ან ავრცელებს და მასში შეაქვს ისეთი პასაჟები და შტრიხები, რომელიც ასე სისავსით არ არის დამახასიათებელი ზეპირსიტყვიერებისათვის. ჩვენი დაკვირვებით, ამ მხრივ საყურადღებოა ესთერის ტრაგიკული სიკვდილის ეპიზოდი და სხვ.

„აღლუზიანის“ იგავთმეტყველება

იგავს სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს: „იგავი (არაკი) ესე არს ორი სიტყვით მაგალითი, გინა საჩვენებელი, გინა მოსანიშნავი“. იგავის განმარტების მოცემულ მოსაზრებაში ჩვენს ყურადღებას ორი გარემოება იქცევს. პირველი — დიდი ლექსიკოგრაფი იგავს და არაკს სინონიმურ ცნებად მიიჩნევს, მეორე — საბა იგავს თვლის გარკვეული გადმოსაცემი შინაარსის „საჩვენებლად“, მაგალითად, საილუსტრაციო მეტყველებად.

საინტერესოა ისიც, რომ იმავე შრომაში ავტორი წარმოდგენილი მოსაზრების დასაზუსტებლად მოცემული განმარტებიდან ცალკე გამოყოფს ცნება „მაგალითს“ და წერს: „მაგალითი არს რომლისამე გენობის ქმნად: ტაძრისა, სახლისა, გინა კარვისა, ანუ ხატთა და ყვავილთა აჩვენნე და წინა დაუდვა იგი, რათა მსგავსი მისსა ყონ“.

ამრიგად, საბას აზრით, იგავის, ანუ იგავთმეტყველების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა, მსმენელს, მკითხველს დაეხმაროს სათანადო თეორიული ცოდნის შექმნასა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში. სხვანაირად შეუძლებელია გავიგოთ ლექსიკოგრაფის იმპერატული მითითება — „აჩვენნე და

წინა დაუდვა იგი, რათა მსგავსი მისსა ყონ“. ვფიქრობთ, იგავთ-მეტყველების ასეთ შეფასებაში გამჭვირვალედ მოჩანს ავტორისავე მხატვრული და, რაც მთავარია, დიდაქტიკური პოზიცია. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგავთმეტყველების დიდაქტიკური და მხატვრულ-ემოციური ასპექტო უცხო არ ყოფილა ჩვენი წინაპრების სულიერი ცხოვრებისათვის. ჩვენამდე მოღწეულ პირველ საკითხავ ძეგლებში აღნიშნულია: „და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისს“, „და თვნიერ იგავსა არას ეტყოდა მათ, ხოლო თვისგან მოწაფეთა გამოუთარგმნოს ყოველი იგი“. ბასილ დიდის (IV ს.) თხზულებაში „დაწყებისათვის სოლომონის იგავთისა, რომელიც, მკვლევარ თ. ჭყონიას მოსაზრებით, იოანე პეტრიწის „განმარტების“ ახალ წყაროს წარმოადგენს, ნათქვამია: „პირველად იცნობების იგავთა ამათ მიერ სიბრძნე და სწავლულებად“⁵².

შემდეგ პერიოდში იგავთმეტყველება კიდევ უფრო ფართოდაა წარმოდგენილი როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ წერილობით წყაროებში. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავასახელებთ „სიბრძნე ბალაჰვარისს“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“.

„ვეფხისტყაოსანში“ იგავის ნაცვლად არაკია ნახმარი. ეს ცნება პოემაში ყველგან, როგორც მოსალოდნელი იყო, სამაგალითო ზნეობრივი ნორმების საჩვენებლად გამოყენებული.

როგორც ცნობილია, იოანე იალღუზიძე აღიზარდა ქართული კულტურის სფეროში, იგი კარგად იცნობდა ძველ ქართულ მწერლობას. მეტიც, მან აქ დასახელებული ცნობილი ძველი თხზულებებიდან ზოგი თარგმნა ოსურ ენაზე, ხოლო ზოგიერთი კი გადაწერა რამდენჯერმე ქართულად და თავისი ცოდნისა და მხატვრული ესთეტიკური შეხედულებების გასამდიდრებლად იყენებდა მათ. ყოველივე ამის გამო ჩვენ სრულიად ბუნებრივად გვესახება ის გარემოება, რომ მას საკუთარი მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებებისა და სათანადო დიდაქტიკური მითითებებისათვის, რომელიც მისივე შეხედულებით ასე დიდად სპირდებოდა იმ დროისათვის ოს ხალხს, ფართოდ გაეთვალისწინებინა იგავთმეტყველების ის პრაქტიკა, რაც ქართულ მწერ-

⁵² თ ო რ ნ ი ძ ე ჭ ჭ ო ნ ი ა, იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის, იხ. წიგნი „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი“, 1985, გვ. 91.

ლობაში იყო წარმოდგენილი და ეს ასეც ხდება პოემა „აღლუ-
ზიანზე“ მუშაობისას.

საძიებელ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ გვინდა შევ-
ნიშნოთ, რომ აღლუზიანის, როგორც მხატვრული, ისე დიდაქტი-
კური იდეები ნათელია. პოემის ავტორს სურს თავის მოძმეებს
აუხსნას, ჩააგონოს რაოდენ ამახინჯებს ადამიანის სულს მკრე-
ხელობა. ქიშპობა, თავისივე შესაძლებლობის გაზვიადებულად
წარმოდგენა, შინაური ამბოხი, მხოლოდ თავისივე პიროვნულ
შესაძლებლობაზე დაყრდნობა, ცუდად ქცევა და ყოფნა. ერთი
სიტყვით, იოანეს ნაწარმოებში თავისი წინაპრების გმირული
ისტორიის წარმოჩენასთან ერთად არანაკლებ აინტერესებს მათი
ზნეობრივ-მოქალაქეობრივი მხარე და სწორედ ამიტომაც საგან-
გებოდ მსჯელობს ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხებზეც.

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია პოე-
მის პირველი თავის დასასრული, სადაც ავტორი გვაცნობს ჩერ-
ქიზეთში კეთილად მისულ აღლუზონს, რომელიც აქ თავისავე
„დედაქალაქში დაბრძანებულა“, გაუშართავს მეჭლისი, მოუწ-
ვევია ორივე სამეფოს წარმომადგენლები და მათთვის სპეცია-
ლური ზნეობრივი შინაარსის დარიგება მიუცია.

ეს ზნეობრივი დარიგება, თუ გარკვეული ცოდნის გადაცემა
მოცულობით ხუთ სტროფს შეადგენს. ამ მასალით, როგორც აღ-
ვნიშნეთ, ფაქტიურად მთავრდება პოემის პირველი თავი და ამ-
გვარად იგი შინაარსობრივად თითქოს ერთგვარად განსხვავდე-
ბა აღლუზონის გმირული თავგადასავლიდან, მაგრამ ეს მხოლოდ
ერთი შეხედვით, ფაქტიურად კი თხზულების ამ მონაკვეთშიც
ავტორს კვლავ თავისი ხალხის ბედი აინტერესებს და იმ გმი-
რული ისტორიულ წარსულთან ერთად, რაც მკითხველს გააც-
ნო, მსჯელობს ადამიანთა ისეთ ზნეობრივსა და მოქალაქეობრივ
ღირებულებებზე, რაც უნდა ამკობდეს და ამალლებდეს ხალხს.
შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მონაკვეთი უბრალო, ხელოვნური
ეპიზოდის ფუნქციას კი არ ასრულებს პოემაში, არამედ შინა-
არსობრივად ორგანულად ერწყმის ოსი წინაპრების გმირულ
ისტორიას და თავის მხრივ შესაძლებლობას გვაძლევს კარგად
გავითვალისწინოთ ისიც, თუ როგორ აფასებდა იოანე იაღლუ-
ზიძე ხალხის გმირულ საქმიანობასთან ერთად მათ ზნეობრივ-
მოქალაქეობრივ სახესაც.

ასე, რომ ოსი განმანათლებლის იდეალია არა მარტო გმირული
ისტორია, და თავისი წინაპრების სასურველი ზატება, არამედ მა-

თი მოქალაქეობრივი სული და ზნეობრივი ქცევა, რაც მისივე სიტყვებით „მოსაწონი გაზრდილობით“ უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

მეორე მხრივ, პოემის ეს მონაკვეთი სპეციფიკურია თხრობის თავისებურებითაც. კერძოდ, აქ მხატვრული თუ დიდაქტიკური მოძღვრება გადმოცემულია არა მშრალად, თუნდაც დარჩების სახით, არამედ თხრობის სრულიად განსხვავებული ქარგით — იგავებით და ამდენად ავტორისათვის უფრო გაიოლებული და დამაჯერებელია იმ ამოცანის გადაწყვეტა, რაც მას დაუსახავს თავისივე ხალხის „ყოფაქცევის“ გასაკეთილშობილებლად.

ჩვენი დაკვირვებით, ავტორისეულ პოზიციას ამ შემთხვევაში ხელსაყრელს ხდის ის გარემოება, რომ აქ მკითხველს ზნეობრივ საკითხზე სასურველი წარმოდგენა ეძლევა არა პირდაპირ, არამედ შემოვლითი გზით, მისთვის ადვილად მისახვედრი მაგალითებით. მეტაფორული აზროვნებით და ასეთი ხატოვანი — საილუსტრაციო მსჯელობით ნათელი ხდება სათქმელი.

ნათქვამის საილუსტრაციოდ კონკრეტულად გავეცნოთ იოანე იალღუზიძის იგავთმეტყველებას. როგორც აღვნიშნეთ. პოემიდან ჩვენი დაკვირვების ობიექტია ხუთი სტროფი, აქედან იგავებია ა) იგავი მკვებთა მკვებართა, ბ) იგავი მებალისა, გ) იგავი სხვის დასაღუპად ორმოს მთხრელისა, დ) იგავი მოქიშპეთათვის.

აქვეა ერთი შეგონებაც. რა არის უმჯობესი ვაჟაკისათვის?

გავეცნოთ შინაარსობლივად დასახელებულ მასალებს. იგავი მკვებთა მკვებართა: „ამბოხი მკვებთა მკვებართა წინ გაუგორდებათ ბურთი, თვისსა ძალზედ დაეპყრობა არსად ახსოვს დრო საწურთი, იტყვის ქვეყანა ჩემია, არ ვინ არის ჩემებრ უმრთი, ბოლოს ნახვენ თვისთ დამხობას უმსასოეთ ამათურთი“ (151).

შინაარსობლივად ეს იგავი აშკარა დაგმობაა მკრეხელობისა და სუბიექტივიზმისა ადამიანთა პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხატოვნად ნაჩვენებია სისუსტე პიროვნებისა, რომელსაც ვერ შეუტყვნია თავისი ადგილი საწუთროში და არც ის იცის, რომ ცხოვრებისეულ მარადიულ ცვალებადობაში მისი მკრეხელობა, ამბიცია უღლეურია.

ბუნებრივად, იგავის მორალია — ადამიანმა შეიცნოს თავისი თავი საზოგადოებაში, იყოს მისი ერთგული, აქტიური წევრი და საწუთროში მისთვის განსაზღვრულ ცხოვრების გზაზე მხოლოდ

მოსაწონი და ხალხისათვის საამო საქმენი აკეთოს. ჩვენი აზრით, იოანეს ეს მართებული ჰუმანური აზრი ეფუძნება ქრისტიანული მოძღვრების იმ შეგონებას, რომ ძმა ძმისთვის ძმა უნდა იყოს, ხოლო საწუთრო წარმავალია და რეალურ ცხოვრებაში ადამიანის სასიკეთო საქმენი დარჩებიან გაუხუნარი.

ამ საკითხთან დაკავშირებით იოანესათვის კარგად ცნობილ ქართულ წყაროებში ნათქვამია: „ხოლო მე გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისსა ცუდად თანამდებ არს სასჯელისა, და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა რაკა თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლუად და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისსა ცოფ. თანამდებ არს იგი გენიასა მას ცეცხლისსა“ „რასა წარბ მდლოი ჰოი კაცო? რასა ზეავობ, ჰოი მიწაო? დაიმზირე ქვე ფერხთა შენთა რომელთა ზედა მდგომარე ხარ და სტკეპნი! იგი ხარ და მისგან გამოსრული“⁵³.

ვფიქრობ, საკმარისია ერთი გადაკითხვით ერთიმეორეს შევადაროთ ზემოთ მოტანილი იოანესეულ იგავში ასახული შინაარსი აქ წარმოდგენილ მასალებს, რომ მათ შორის აზრობრივი და იდეური სიახლოვე დავადასტუროთ.

შინაარსობლივად „მკევეხთა მკევეხართა“ იგავთან ახლოსაა იოანეს მეორე იგავი „მოქიშპეთათვის“. აი ისიც:

„ერთი ესეც, გულის მძგერთათვის, ხანგრძლივ იყოს ჰიდილობა ერთი დასცემს თუ მეორე ორსავე აქვს წადილობა, თვისს ძალზედ მხოლოდ დამნდენსა აქვს ეშმაკისა შვილობა“. (155)

ამ იგავშიც ადამიანის უკეთური საქციელი. ურთიერთუნდობლობა და შური თითქმის ისეა გადმოცემული, როგორც „მკევეხთა და მკევეხართა“ იგავში, მაგრამ აქ ერთგვარი სიახლეცაა, კერძოდ, უზნეო და ეგოისტი ადამიანი ეშმაკის შვილადაა გამოცხადებული, და. ამრიგად, მთავარი სათქმელი აზრი ავტორმა მკითხველისათვის უფრო ნათლად გასაგებად მითოლოგიურ სარჩულში წარმოსახა.

რამდენადმე უფრო კონკრეტულ და რეალურ საგნობრივ ყოფასთან გვაქვს საქმე „მეხალისა“ და „სხვის დასაღუპად ორმოს მთხრელის“ იგავებში. მეხალის იგავში ნათქვამია:

„ერთსა ბალსა ვარდი იღჯეს. მას მეხალე თავს დავლიდეს გარს არტყმიდეს ლობეს მკვიდრსა და მარადის მასა ჰკვიდეს. აპყვავებდეს, ამუშკრებდეს, მერ სხვათ მოჰრას ასწავიდეს, ამისთანა უგუნურსა უნდა ქარი აღგავიდეს“. (ოქვე, გვ. 30).

ცხადია, ამ იგავს უფრო მეტი შინაარსობლივ-სინათლე აქვს.

⁵³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, III, 1963, გვ. 222.

ეს კი, ჩვენი დაკვირვებით, მიღწეულია არა მხოლოდ სტროფის შედარებითი მხატვრული სრულყოფილებით, არამედ სტროფში ცოცხალი ხალხური მეტყველების დამახასიათებელი ლექსიკუ-კური მასალის ჭეროვნად გამოყენებითაც. საინტერესოა სტროფის სტრუქტურაც. პირველსა და მეორე ტაეპებში წანამძღვარების სახით მებალის კეთილ საქმიანობაზეა მკითხველის ყურადღება გამახვილებული, მესამე ტაეპში ვითარება იცვლება — ჩნდება წინააღმდეგობა მებალის იმ საქციელში, რომელსაც აქამდე ვიცნობდით, დასასრულ. დასკვნის სახით წარმოდგენილია ავტორისეული სრულიად მართებული პოზიცია უგუნური მებალისადმი „ამისთანა უგუნურსა უნდა ქარი აღგავიდეს“. მსგავსი შინაარსისა და კონსტრუქციისა „სსვისათვის ორმოს მთხრელს“ იგავიც. „გზასაზე რომ მთხრებლს სთხრიდეს, სხვათა სწადდეს მას შთავარდნა. დაივიწყოს ყველა თვისი. წარვიდეს მის მთხრებლს დაბარდნად, უეჭვოდ თვით შავარდება და კარგად ჭურღმულსა ვარდნად, სული ჯოჯობეთს ეწევა. ხორცი მხეცთ ეცემის შთანთქმად“. (გვ. 153).

მოცემულ სტროფში გადმოცემული შინაარსის გაგება არ არის ძნელი. მკითხველისათვის ნათელია ავტორის პოზიცია — მუხანათი და ბოროტი ადამიანი თავიდანვე დასაღუპადაა განწირული, მაგრამ დასანანი ისაა, რომ იგავი მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით მოიკოკლებს, სასურველ აზრს არა აქვს გამოსახატავად შერჩეული სასურველი ენობრივი ფორმა, მაგალითად, დავაკვირდეთ სტროფის მესამე ტაეპს „უეჭვოდ თვით შავარდება და კარგად ჭურღმულსა ვარდნად“. რაოდენ დაშორებულია აქ სათქმელს მოცემული ენობრივი მასალა შინაარსობრივად და პოეტურადაც. ჩვენთვის საინტერესო მასალაში, როგორც აღვნიშნეთ. არის ავტორის პირდაპირი ზნეობრივი შეგონება — რა არის უმჯობესი ვაჟკაცისათვის?

„ვაჟკაც-სთვის უმჯობეს არს ცუდად ყოფნას ნადირობა. ამის შემდგომ ყოფა-ქცევა, მოსაწონი გაზრდილობა, იხილოს დღენი კეთილნი, საღამო და დილობა, თუ რომ მოყმენო თქვენც იტყვით გავათავოთ ნადირობა“. (გვ. 154).

ამჟამად. ეს სტროფი შინაარსობრივად ერთგვარი პასუხია ზემოთ ჩვენს მიერ განხილულ იგავში ასახული ზნეობრივი პრობლემეტიკისა, მაგრამ ვერ დავმაღავთ და ვიტყვი, რომ ეს შეგონება ნაკლებ ორიგინალურია, აქ კარგად მოჩანს რემინისცენცია არჩილის ცნობილი პოემისა „საქართველოს ზნეობანი“.

გავიხსენოთ ამ ნაწარმოების დასაწყისი: „აწ ეს მინდა სათქმელად რამდენი ზნეობა არის საღმთო და ანუ სამხედრო, მშვებლის და მოვეღალახარის. ლაშქრობის, ნადირობისა, რომელმან კაცი ახაროს. საქციელ სამსახურისა ვინც იცის ცოდნითაც კმარის“

რასაკვირველია, იოანე იალღუზიძის შეგონებაც ამ ტიპის ზნეობრივი შინაარსისაა, მაგრამ მასში ერთგვარი სხვაობაც შეინიშნება. კერძოდ, რაკი ავტორს ერთი სტროფის ფარგალში სურდა „მოსაწონი გაზრდილობის“ თაობაზე მიეცა მითითება თავისი მკითხველისათვის. პირველ რაიკში, მხოლოდ ნადირობას ახსენებს, როგორც სავაჟაკო ქცევის ნორმას, შემდეგ თავს იკავებს სხვა სასურველი ქცევების კონკრეტულად დახასიათებისაგან და ზოგადად მიუთითებს ისეთ ყოფაქცევაზე, რომელიც უნდა ამშვენებდეს ყველა პიროვნებას.

დასასრულ, მსჯელობა „ალღუზიანის“ იგავთმეტყველებაზე არ იქნება სრული. თუ არ აღვნიშნავთ იმასაც, რომ იოანეს აზრით, მაღალი ზნეობრივი ქცევები ვაჟაკებს უნდა ამკობდნენ გარკვეულ სივრცესა და დროში. ხელს უნდა უწყობდეს მათ სასახლო ცხოვრებასა და საქმიანობაში.

ფართომეტყველება „ალღუზიანში“

პოემის მხატვრული ფორმის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს ის ფერტა სამყარო, რომელიც იოანეს შეურჩევია ოსი ხალხის გმირული ცხოვრებისეული თავგადასავალის მხატვრულად წარმოსახვისას. ეს სამყარო ძალზე მდიდარია. მას პოეტი დიდი სიყვარულით იყენებს და ამის საფუძველზე შესამჩნევად ამდიდრებს ნაწარმოების მხატვრულ გამას.

სამყაროში არსებულ უამრავ ფერტა ტალღებიდან, რომელიც იოანეს პირველ რიგში ბავშვობაში უნდა გაეცნო, პოემაში კანონიერი ადგილი უპოვნია მხოლოდ იმ ფერტებს, რომლებიც მის პოზიციურ განწყობილებას შეეფერება და, რაც მთავარია, კონკრეტულ მხატვრულ სიტუაციაში შთამბეჭდავად გვაცნობს ნაწარმოების ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალობას.⁵⁴ ასე რომ, ფერტები პოემაში ამეტყველებულია ავტორის პოზიტიური თვალთახედვით, რასაც ქვემოთ უფრო უკეთ ვნახავთ.

ახლა კი მოკლედ იმის შესახებ, რა თანმიმდევრობით გვსურს ამ

⁵⁴ ამის შესახებ იხილეთ ფართოდ P. M. Фрумкина. Цвет, Смысл. Сходство, 1984.

საკითხის განხილვა: პირველ რიგში მოკლედ წარმოვადგენთ ფერთამეტყველების სემანტიკურ დახასიათებას, სოლო შემდეგ კი გავანალიზებთ როგორ გამოუყენებია ავტორს ფერების მრავალსახოვანი სპექტრი თავისი ჩანაფიქრის წარმოსაჩენად.

პოემაში ასახული ფერი შინაარსობლივად ორი სახისაა: აბსტრაქტული და კონკრეტული. აბსტრაქტული ფერის სახელებია: შავი, წითელი, ყვითელი, თეთრი, მწვანე.

კონკრეტული ფერის მატარებელი სახელებია: ოქროს მსგავსი, ოქროსფერი, ცეცხლის ფერი, ცეცხლის ალი, სისხლის ფერი, მზე ბობოქარი, ბალი სავსე, ალისფერნი კარნი, თვალთმოსალხინები, თვალთ-საჩინონი, აღმასებრი, ვერცხლისფერი, ბროლისა, შავი ჰაზრი, შუქნი მთვარისა, ქარვისებრი, ტუჩთავარდებ ფერიფერნი და სხვა.

თემატიკური შინაარსითა და ტონალობის მიხედვით პოემაში გვხვდება შემდეგი სახის ძირითადი ფერები: წითელი, შავი, ყვითელი, თეთრი, მწვანე ფერები.

წითელი ფერის მაჩვენებელი მასალებია: წითლად ფერი „სისხლის ღვრა ღრად შეიქმნა. შეიღება წითლად ფერი“. 93.3.

სისხლით შეღება ველი „გაუვიდა მსწრაფლვ მტერთ ჯარსა იქ სისხლით შეღება ველი“. 92,2.

სისხლად ფერი „მზემანცა შუბი ჩამართვა, ცამ იცვალა სისხლად ფერი“. 93.4.

სისხლის ცრემლნი „თვალთაგან სწვეთდათ სისხლის ცრემლნი“. 97.3.

სისხლითა შეფერილები „მოდიან ჯარნი საზარლად სისხლითა შეფერილები“, 98,3.

ლალნი „ლალნი, ზურმუხტნი, ოქრონი უხვად იქ დაუთლელელები“. 38,3.

ყვითელი ფერი — ყვითლად „შეტრუსულ იყვნენ შავ-ყვითლად თვალთ აქყეტდნენ მწიქარებით“, 44,3.

ოქროსოვანი ბისონი „ოქროსოვანი ბისონი მეცვა ტანსა და მშვენდა მე“. 35,2.

ოქროსოვანი თმა „თავიდგან იგლეჯდა თმასა ოქროსოვანს“, 273,2.

ოქროს ქოჩორი „და მისი ოქროს ქოჩორი თავსა ზედა გაუეშო“. 108,3.

ოქროსოვანსა შლილზედა „ოქროსოვანსა შლილზედა, მარგარიტ მშვენსა იქ სავსეს“. 111,2.

ცეცხლის ფერი „თვალთა აჭყეტენ ცეცხლისაფერ“. 54,3.
ალისფერნი „ალის ფერნი ჩარდახს კარენი, სასვენნი მწყობ-
რობითა“. 131,3.

ქარვისებრი „ქარვისებრ პირი მისი გარდაიქცა იქ მზიანი“. 223,3.

შავი ფერი — შავ ზღვის რაში „რაშასზე შავის ზღვისასა მჯდომს ეშიშოდენ ვაებით“. 63,8.

შავათ შეღებვა „აწ მიწას სახლი ჩაგიდგამს, შეგიღებავს იგი შავათ“. 112,2.

შავი ევა „მას წინ გამოეგება დედოფალი შავი ევა“. 110,2.
აქ შავათ ჩაცმული დედოფალი იგულისხმება.

კოკრნი შავათ „დავეყარე ობლად ყვავილნი ფურჩინილნი და კოკრნი შავათ“. 113,1.

შავი ჰაზრი „შავი ჰაზრი მის გონებას აბნელებდეს, აურვი-
დეს“. 170,3.

შავითა შემოსა „უბრძანა ანთის ვეზირსა მსწრაფლით შა-
ვითა შემოსა.“ 208,3.

შავიცა ემოსა „განცხადებად ძმის სიკვდილისა, თუმცა შავი-
ცა ემოსა“. 209,1.

შავი დროშა „შავი დროშა იქ გაშლილი და ყორანი მის ტარ-
ზედა“. 204,4

შავითა მგლოვარი „ამ დროს მოიჭრა შავითა ხელმწიფისა-
დმი მგლოვარი“. 221,3.

შავი ძაძა „შავ ძაძათ დაბურვილია“. 224,3.

შავით ბურვილი „შთაბრძანდა შავით ბურვილი“. 224,4.

შავი დროშები „შავისა დიდის დროშებით ფარს ახლდნენ
შექურვილია“. 225,1.

შავით თავს დახურვა „მიმართეს ამოსრის ქალაქს, შავით
თავს დახურვილია.“ 225,2.

შავის ჩაცმა „და თქვენი, ჩემო ხელმწიფევ! — გაიხლათ შა-
ვის ჩაცმითა“. 229,4.

შავით შემოსეს „შავათ შემოსეს გაგზავნეს დედოფლისადმი
მგზავრი“. 264,4.

შავით შემურვილი „აღმართვინებდა ძელსა შავით შემურ-
ვილს ვიდოდა“. 266,1.

შავი ალამი „ესევე შავსა ალამსა და ორსა დროშასა“. 267,3.

შავი სკიპტრა „დამეკარგვის შავის სკიპტრა მარჯვენას ხელ-
საჭერილი“. 270,4.

შავი წერილი „დაინახა ალამ დროშნი შავნი წერილი ვებულმან“. 271,1.

შავითა „ბიბორს რა წახდა შავითა, ჰკითხვიდა გულით ითქროლა“. 272.

შავით შემოსვა „ყოველსა შავი ემოსა, მოდიოდნენ სულ მწყურვალე“. 273,2.

შავი დიბა „სამეფო ტახტი შემოსეს შავითა ძვირფას დიბითა“. 273,2.

თეთრი ფერი — მარგარიტ მფენი, „ოქროსოვანსა მლილზედა, მარგარიტ მფენსა იქ საესეს“. 111,2.

თვალ-მარგალიტი „თვალ-მარგალიტის ოქროს კუბოთ სამარეს დადებით“. 121,4.

ბროლის ფანჯრები „ფანჯრები ჰქონდა ბროლისა ტურფად აფერადებულები“. 140,3.

ალმასებრ მოწანწკარებენ „ალმასებრ მოწანწკარებენ შუას მისსა წყაროს წყლები“. 134. 3.

მწვანე ფერი — მწვანეთა ხეთა“ მწვანეთა ხეთა ჩრდილთ ჩარდახი თერს საცხოვარ სამყოფთა“. 131,2.

მწვანე ყვავილთ „წინ მინდორი მშვენიერი მწვანეთ ყვავილთ ვარდებითა“. 132,2.

მწვანე ვაზი „ზედ ვაზი იყო მწვანეთა მშვენიერად ასულეზი“. 137,1.

მწვანე ავაღელ ველ „ბანხედ მწვანე ყვავილ ველი, ზედ ტახტები დადგმულები“. 139,3.

ზურმუხტი „ლალნი, ზურმუხტნი, ოქრონი უხვად იქ დაუთლელეზი“. 238,1.

ცალკე ჯგუფად გამოვყავით ისეთი სიტყვები, რომლებიც ზოგადი სინათლისა და ფერის ზოვლენებს ახასიათებენ.⁵² მაგალითად:

ელვა „ქერ მარტო ხლმისა ელვით და ხმით მტერი დამიფთხება“. 34.4.

ფერის ცვალება „კაირანმა დაუქნია ხმალი. მას ეცვალა ფერი“ 95,1.

სხივი „მოგვაშორე, მზეო სხივი და ჩახვლით ჩვენთვის-თავათ“ 113,3.

⁵² გ. ქვარაცხელია, ფერისა და სინათლის აღმნიშვნელი სიტყვები ვაჟა-ფშაველას ლექსიკაში „იხ. თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები, IV, 1974, გვ. 35.

დაბნელება „დაგვიბნელდა დღე მნათობი, სამყარო ცისა, არეო“. 116,1.

თეთრის შავად შემოსვა „მარამ აწ ესრედ უამბობს: თეთრი შავად შეგემოსა“. 209,1.

ფერის კრთომა „ღმერთი ჩვენი მოწყალე არს, მშვენს კი ფერი უკრთებოდა“. 32,2.

ავ-ყვითელი „შეტუსულ იყვნენ შავ-ყვითლად“. 44,3.

დაქცნობილი „ჩვენც ხომ დაქცნით, დავივცივდით, ვით ფურცელნი ხეთ და ყავათ“. 113,4.

აქამდე, როგორც ვნახეთ, ჩვენ ვიკვლევდით მხოლოდ ცალკეულ ფერთა სემანტიკურ ასპექტს, რამაც გარკვეული წარმოდგენა შეგვიმუშავა იმის დასადგენადაც, თუ იოანე იალღუზიდის ფერთა პალიტრა საგნობრივად და თემატიკური თვალსაზრისით როგორია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის არსებითია იმის ჩვენება, თუ დიფერენცირებული თვალსაზრისით საგნობრივად და თემატიკურად რამდენად დამაჯერებელი იყო კონკრეტულად ფერებისადმი ავტორისეული დამოკიდებულება. მაგრამ, როგორც ირკვევა, იოანეს მხატვრულ-ემოციური უნარი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ფერთა მრავალმხრივი სპეკალის შეცნობის სურვილი მხოლოდ ამ ფენომენის დიფერენცირებული მიდგომით როდესაცაა დაკმაყოფილდება. იგი ახერხებს ერთნაირად და მთლიანად აღიქვას, გაიაზროს და შესაფერისი მატერიალური, ენობრივი სამოსელით გამოხატოს ბუნებაში არსებული ფერთა მთელი კომპლექსი, დაეუფლოს ბუნების ფერთა სამყაროს და ერთ მთლიანობაში გვიჩვენოს სამყაროს მშვენნიერება.

ნონი მეფის ჯარზე გამარჯვებულ ალღუზონის მხედრობას ავტორი აწეული ტონით ასე გვიხატავს: „მოუძლოდნენ და მოკმდერდნენ ჯარის სხვადასხვა ფერები“. 149,2. ხოლო კაირან მეფის სასახლის მშვენნიერება კი ასეა გადმოცემული მეტყველების ზოგადი ასპექტით: „ფანჯრები ჰქონდა ბროლისა ტურფად აფერადებულლები“. 140,3. ამ მასალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მივხვდებით, რომ აქ ფერთა მეტყველების ზოგად პლანში წარმოდგენა ასასახავ საგნებს უფრო შთამბეჭდავად და გრანდიოზულად გვაცნობს და ამაშია სწორედ მისი შემეცნებითი და მხატვრულ-ემოციური ღირებულება. ახლა თუ დაეუშვებთ, რომ ალღუზონის მხედრობა და ნონთა მეფის სასახლის გარე ხედი გადმოცემული იქნებოდა სხვადასხვა ფერის შესატყვის ცნებებით, მაშინ, გვგონია, წარმოსაჩენ საგანს მთლიანობა დაეკარგებოდა და,

მაშასადამე, ჩვენი შთაბეჭდილებაც არა მთლიანი იქნებოდა.

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ ფერთა სამყაროს მთლიანობაში ასახვა იოანეს კარგად ეხერხება და ამის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშად მიგვაჩნია ტაეპები:

„მრავალ ფერნი და სხვადასხვა იგი წალკოტის ხილები.

„ტურფად სდგანან მრავალ-ფერად ყოველ თვალთ მოსალხინები“. 133,1 — 2.

რასაკვირველია, იოანეს ფერთა მეტყველების უნარისათვის უცხო არ არის სამყაროს ფერის შეცნობა ეგრეთ წოდებული ორგვარი ხერხითაც, კერძოდ, ანალიზური და სინთეზური ხერხებითაც. აი, ამის ერთი საყურადღებო მაგალითი:

„თვითოს კორდსა ზედა ჭგუფად ია იყვენ გაშლილები, „ვარდნი, ნარგიზნი, ზამბახნი, ფერად ყვაველ თვით შლილები“. 133,3—4.

აქ პირველ ტაეპში ჩვენი ყურადღება ყვავილთა ჭგუფზე მახვილდება, შემდეგ ამ ჭგუფიდან, როგორც მთელიდან ანალიზური აზროვნების წესით ავტორი გამოყოფს გაშლილ იებს, რასაც მეორე ტაეპში მოსდევს სინთეზური გზით ცალკეულ ყვავილთა დასახელება — ვარდნი, ნარგიზნი, ზამბახნი და ამის შემდეგ წარმოდგენილია ამ ყვავილთა შემკრებლობითი ფრაზა „ფერად ყვავილ თვით შლილები“.

აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე ფერთა ელვარებას ზოგჯერ ზოგად პლანში გვაცნობს არა თვით ამ ფერების აღმნიშვნელი სიტყვით, არამედ ესთეტიკური ღირებულების ისეთი შემფასებელი, საყოველთაოდ აღიარებული ცნებებით, როგორიცაა „მშვენიერი“ და „უმშვენესი“.

საყურადღებოა სტრუქტურულად ამ ცნებებისა და ტექსტში წარმოდგენილი ფერის, თუ ფერების ურთიერთ მიმართებაც. კერძოდ, აქ წინა ტაეპებში ჯერ მკითხველი ეცნობა რაიმე საგნისა თუ მოვლენის დასახატავად როგორი ფერთა პალიტრა შეურჩევია ავტორს და ამის შემდეგ ამ ფერების შემფასებელ ესთეტიკურ ცნებას. ერთი სიტყვით ცნება „მშვენიერი“ რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ ყვავილების თუ სასახლის მორთულობას ეხება — და არა სხვა მოვლენას, ამის გაგებაში წაკითხული ტექსტი ეხმარება მკითხველს. მეორე მხრივ ასეთი მხატვრული აზროვნებით ზოგადი ცნებით სიტყვის შინაარსი მკითხველისა თუ მსმენელის აღქმაში ადვილად მიესადაგება მისთვის სულ ახლახანს გაცნობილ ფერებს. მაგალითად:

„სახლნი, კარნი აღმასებით შემკობილნი კიდებითა,
წინ მინდორი მშვენიერი მწვანეთ ყვავილთ ვარდებითა,
საკსე მრავლითა სამოთხის უშვენეთ ყვავილებითა“. 132.

ახლა: კარნი ჰქონდათ გარეთ ვერცხლის ფერის ყალაბს ჩამოსხმულები,
შვიგით ოქრო დაფანჯრული მშვენად გამოსახულები“. 140, 1—2.

ფერთამეტყველების სემანტიკური სიმდიდრე თავის მხრივ ხელს უწყობს ავტორს დამაჯერებლად გვიჩვენოს მხატვრული ჩანაფიქრი. ამ მიზნით პოემაში ფერთამეტყველება, შეიძლება ითქვას, გამოყენებულია ჯეროვანი ოსტატობით. ავტორის საკმაოდ დიდი ფერთა პალიტრა ნასახრდობია ფოლკლორული და ვიტყვოდით, საერთოდ ცოცხალი ხალხური მეტყველების უხვი ფერადოვანი საზრდოთი.

სპეციალურ ლიტერატურაში ფერთა მრავალსახოვან ფუნქციას მხატვრულ ნაწარმოებში ძირითადად განსაზღვრავენ აზრობრივი, აღწერითი და ემოციური თვალსაზრისით⁵⁵. არის ფერთამეტყველების გამოყენების ისეთი მოდელიც, როცა მას (ფერების ელვარებას) უკავშირებენ სახეებს, საგნებს და თვით ფერებს⁵⁷.

და ბოლოს, ფერში თუ ფერებში ხედავენ მრავალპლანიან შინაარსიან პლასტს და, აგრეთვე, გარკვეულ ინგრედიენტს (რაც დამატებით სხვა ნაერთს), რომელიც, ცხადია გამოყენებულია მხატვრულ ნაწარმოებში სპეციფიკური დანიშნულებისამებრ⁵⁸.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ფერთა მეტყველებას ძირითადად აქვს გამოხატვის ორი პლანი. ერთი მიზნობრივი, უშუალო, რაშიც ვლინდება ნაწარმოების ავტორის მსოფლმხედველობითი პოზიცია და, მეორე, ამ პოზიციის გამოვლენის შუალობითი საგნობრივ-ყოფითი პლანი, რის მეშვეობითაც რეალიზდება მატერიალურად და მხატვრულად მწერლის ჩანაფიქრი.

ნაწარმოების საგნობრივ ყოფით პლანში შევა მხატვრული სახე (სულიერი და უსულო) პეიზაჟი, აღწერა, დიალოგი და, საერთოდ, ავტორისეული ჩანაფიქრის გადმომცემი ყველა დეტალი.

⁵⁵ И. К. Малинауспене. Некоторые особенности системы цветоозначения в языке Гомера. сб. წიგნი «Живое наследие античности», 1987.

⁵⁷ იქვე, გვ. 32.

⁵⁸ Р. В. Алимпева. Реализация компонентов семантической структуры слово красный в системе образно-поэтической речи, сб. წიგნი «Вопросы семантики», 1974.

თუ ამ პოზიციით განვიხილავთ „აღლუზიანში“ გამოყენებულ ფერთამეტყველებას, ვნახავთ, რომ აქ ოსი ხალხის წინაპრების გმირული სულის რელიეფურად გამოსახატავად, და, აგრეთვე, თავისუფლებისათვის ბრძოლაში მათი მოწინააღმდეგეების უარყოფითი თვისებების გასაცნობად ფერთამეტყველებით პირველ რიგში კონკრეტულად ხასიათდება ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალური თვისებები, მაგალითად, აღლუზიანის გმირული: ბუნების გასაცნობად ავტორი მიმართავს სხვადასხვა ფერს.

შავი ფერი: აღლუზიანი მოწინააღმდეგეთა შესაძლო თავდასხმის გამო ამბობს:

შავისა ზღვისა ვეშაპსა, ვით ექირვების ფრთხილობა?
ისევ თქვენ გამოგადგებათ, ეგ თქვენი კარგი ზდილობა“. 41, 1—2.
-განეთქმორა ვაჟაკობა აღლუზონ მეფეს სხვაებით,
რამსაზე შავის ზღვისასა მჭდომს ეშიშოდენ ჯაებით“. 63, 1 — 2.

ამ მასალების მიხედვით შავი ფერი მოხმობილია აღლუზიანის გმირული სახის დასახატავად.

უარყოფითი მოვლენების გასაცნობად პოემაში გამოყენებულია „სისხლის ფერი“. „ცეცხლის ფერი“. „სისხლითა შეფერილები“, შავ-ყვითელი ფერები და სხვა.

კაირან მეფესთან ბრძოლის სურათი ფერთა ელვარებით ასეა გადმოცემული:

„აღლუზი უკან დაბრუნდა, იარაღა ჭარში მტერი,
კვილის და ფეხის ხმისგან ზეცას აღიოღა მტვერი,
სისხლის ღვრა დიდი შექმნა, შეიღებ: წითლად ფერი,
მზემანაც შუბი ჩამართა, ცამ იცვალა სისხლად ფერი“. 93.
„მოდინ ჭარნი საზარლად სისხლითა შეფერალები“. 98,3.

კაირან მეფის მხედრობის აგრესიულ განწყობილებას და გარეგნულ შემზარავ სახეს ასე ვეცნობით პოემაში:

„შეტუსულ იყვნენ შავ-ყვითლად, თვალთ აქყეტდნენ მწიქარებით“ 44,3.

ჩვენი აზრით, მდიდრული ფერებით დახატა იოანემ ნონთა მეფის სასახლისა და წალკოტის სახეები. აი ისიც:

„სასლნი, კარნი გაწყობილნი კოშკნი გარს ვალაენებითა,
მწვანეთ ხეთა ჩრდილთ ჩარდახი თვის საცხოვარ სამყოფთა,
აღისფერნი ჩარდახ კარნი, სასვენნი მწყობრობითა,
სრულ მიირთვით სასაამოვნოდ და დამკვიდრდით მშვიდობითა“. 131.

„მრავალ ფერნი და სხვა და სხვა იგი წალკოტის ხილები.
ცერფად სდგანან მრავალ-ფერად ყოველ თვალთ მოსალხინები,
თვითოს კორდსა ზედა ჭგუფათ ია იყენენ გაშლილები,
ვარდნი. ნარგიზნი, ზამბახნი, ფერად ყვავილ თვით შლილები“. 133

ნონთ სასახლისა და წალკოტის ასეთი დიდებული სპეკალის შექმნის შემდეგ იოანე მოკრძალებულად ამბობს, „ესრეთ იყო ნონთ წალკოტი, მაგრამ ენას ვესაწყლები“. პოეტის ეს მოკრძალება, ვფიქრობ, აქ პირდაპირი მნიშვნელობით, მთლიანად არ შეიძლება გაეიზიაროთ.

როგორც სამართლიანად მიუთითებენ, სიტყვა სემანტიკურად შეიცავს მრავალ პლანიან პლასტს, ამასთან სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის შემადგენლობაში მქლავნდება ავტორისეული თუ ნაწარმოების პერსონაჟთა ექსპრესულ-შეფასებითი მომენტი. თავისთავად ცხადია, რომ სიტყვათა სემანტიკური პლასტიდან რომელიმე ფენის გამოყოფასა და მის მიხედვით სუბიექტურ-ემოციური ღირებულების შექმნაში მკითხველს განსაკუთრებით ეხმარება ის სიტუაციური მომენტი, რომელსაც ვეცნობით და, რაც არსებითია, ის ტექსტი რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვაა წარმოდგენილი.

ისე რომ, ფერთამეტყველების მთლიანი ალგორითმის გათვალისწინებით შესაძლოა ერთი ძირითადი ფერის ტონალობის სიტყვა სხვადასხვა კონტექსტსა და სიტუაციაში აკოტხველსა სხვადასხვა შინაარსობრივი ასპექტით შეიცნოს. მაგალითად, ავილოთ სიტყვა შავი. პირდაპირი მნიშვნელობით ეს სიტყვა ნიშნავს: 1. ყველა ფერზე მუქი, ნახშირის, გიშრის ფერი. 2. (სამგლოვიარო) ტანისამოსი ამ ფერისა. 3. შედარებით მუქი (იოქმის ადამიანის სხეულის ფერზე). 4. შედარებით მუქი ფერისა, ისეთი რამ, რაც შეიძლება ღია ფერისა იყოს. 5. შავები მუქი ფერის ფიგურები. გადატანითი მნიშვნელობით: 1. უსიხარულო, ცუდი. 2. ბოროტი, ავი, ცუდი. მძიმე, დაუნდობელი, 3. უბედური, ბედშავი, ბედკრული და სხვ. (ქეგლ. 604, 605).

პოემა „ალღუზიანშიც“ სიტყვა შავი ფერის შინაარსი წარმოდგენილია ასევე სხვადასხვა ასპექტით:

შავი ფერი: 1. ძლიერი, გამირული ბუნების ადამიანის დამახასიათებელი. 63, 2, 270, 4.

2. მწუხარების გამომხატველი, 112,2.

3. უიმედობის მაჩვენებელი, 110,2.

4. ძალიან საწყენი, არასასიამოვნო აზრის შემცველი, 170,3.
5. მგლოვიარე რიტუალის (სიტუაციის) აღმნიშვნელი, 208,3.
6. ცუდი განზრახვის მაუწყებელი, 170, 3, 271, 1 და სხვა.

პედაგოგიკური ტერმინოლოგია იოანე იალღუშიძის ნააზრებში

(წინასწარი შენიშვნები)

იოანე განათლებით, მოქალაქეობრივი მოწოდებით პედაგოგი იყო. მან სწორედ განათლებით შეძლო საკუთარი ნიჭისა და უნარ-ჩვევების განვითარება და ამიტომაც სურდა თავისი მოღვაწე განათლების მეშვეობით გონებრივად სრულყოფილი ყოფილიყო.

ეს კეთილშობილური სურვილები კარგად არის წარმოჩენილი საერთოდ, მის მთლიან შემოქმედებასა და მოღვაწეობაში, რომელიც ჯერჯერობით სრულყოფილად შესწავლილი არ არის⁵⁹. და, კერძოდ, თანამემამულეებისადმი მისივე ფრიად საყურადღებო მიმართვაში. აქ, ამ დოკუმენტში მგზნებარე მამულიშვილი სწავლისადმი თავის დამოკიდებულებისა და გარკვეული გამოცდილების გაზიარების მიზნით შთამომავლობას უჩვენებს გონებრივი განათლებისა და ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევის საიმედო გზას.

იგი წერს: „... მე, ჩემი ძალების მიხედვით ვცდილობდი შესწავლა და ოდნავ ამეხილა თვალები ჩემი ახალგაზრდა გონებისა... დავიწყე წერა-კითხვის სწავლება ქართულ ენაზე და მივხვდი, რომ ხალხი, რომელსაც არ ააქვს წიგნები (დამწერლობა), მოკლებულია სწორ გაგებას, არ იცნობს, როგორც საჭიროა, საკუთარ თავს.

ყველა ხალხს შორის მე გხედავდით თქვენ, ჩემო თანამემამულენო. რომლებიც მოკლებული ხართ ამ უდიდეს ბედნიერებას. თქვენ არ გქონდათ დამწერლობა და, ვფიქრობდი რა ამის

⁵⁹ ამ თვალსაზრისით საყურადღებოა პროფ. ტ. სარიშვილის შრომა „ოსეთის გამოჩენილ მოღვაწეთა პედაგოგიური შეხედულებანი“, 1968, გვ. 140.

შესახებ, მე ვცდილობდი მომეხდინა ცდა წიგნის შექმნისა ოსურ ენაზე... შევექმენი მე თქვენთვის ეს წიგნი... მასზე დღე და ღამ სამი წელი ვმუშაობდი... ასე მე შეძლებისდაგვარად ვმუშაობდი იმისათვის. რომ თქვენ, ჩემი თვისტოები ოსები, არ დარჩენილიყავით უწიგნოთ (უმწერლობოთ) და ახლაც ვცდილობ და ვემუდარები ყველას, რომ შემდეგში თქვენ და თქვენი ბავშვები მოდგმიდან მოდგმამდე უფრო ნათლდებოდეთ გონებით“.⁶⁰

1820 წელს მაღალყოულად უსამღვდელოეს მეუფე მწყემს მთავარს იოანე თავის დიდი ხნის განზრახვას ოსებისათვის ქართული ენიდან სასულიერო და, ალბათ, სხვა შინაარსის წიგნების გადათარგმნის თაობაზე მოახსენებს: „მიზიდულ ვიყავ რა ადრითგან წადილითა ენისადმი განუხათლებელთა ერთქვეყნიერთა ჩემთასა, რომელთაცა დაუშენებიათ უმეტესი ნაწილი კავკასიის მთათ ოვსთა, რათა გარდამელო რ~ლნიმე სასწაულონი და სასულიერონი წიგნნი, გარნა არა მაქუნდარა არცა განმამხნობელი მისდა, არცალა საჭირონი ღონენი, ვერ ვიკადრე მე თვით თავით თვსთ დაწყება არა მცირედ ჩინებულთა ამისა საქმისა“.⁶¹

ორი წლის შემდეგ იოანეს მოუხანავს „საჭირონი ღონენი“, მიუღია დავალება უწმინდესი სინოდისაგან ქართულიდან ოსურ ენაზე სათანადო წიგნების გადათარგმნისა, ეს ამოცანა მას კარგად შეუხსრულებია და აი, 1822 წლის 7 ივლისს მისს მაღალ ყ~დ უსამღვდელოებას არხიეპისკოპოს იოანეს უგზავნის წერილობით რაპორტს. ეს რაპორტი ჩვენთვის საყურადღებოა მრავალმხრივ. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქ საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ჩვენთვის საჭირო ცნობები: „ჩუკ ბ-სა წელსა ივნისის 7-სა რიცხვსა, ე. ი. 1822 წლის 7 ივნისს მივიღე ნება თქნის ც~დ უსამღვდელოესობისა გამართვისათვს და გაგონებისა წმიდისა სახარებისა ახალ ნათელ ღებულთა ოვსთადმი. რ — ლიცა არს თარგმნილ ქართულით ოსთა ენასა ზედა. ამა ჰაზრისა მქონებელ წამოვედ და მოვედ სახლსა უფლისა კოლეესკისა სეკრეტარის თავადისა შალვა რევაზის ძის ერისთავისასა, რომელიც არის დუშეთის უეზდსა სოფელ ოძის. აქა დავეყავით დღე ორი განზრახვით გამომეძიებია თუ რა რ~ლი უსარგებლეს არს წარსამართებლად ამ საღმრთოთა ჰაზრისა. და ესრეთ სამჯობი-

⁶⁰ Дз. Гугкаев, О жизни и деятельности Ивана Ялгузидзе, Известия ЮОНИИ. вып. VII. 1955, стр. 313.

⁶¹ ი. თ. დ. ე. ვ. ი., პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 75.

ნრად შემრაცხნი წარუ ცმართენით ამიერ, რომელთა წარგვიძღვა თავადი შალვა ერისთოვ დეკანოზისა გიორგი ბიბილუროვით. და მივედით ამასთავე სამფლობელოთა ახალ ნათელღებულთა ოვსთა სოფლებთადმი. მახლობელ პატარასა ლიახვისა მცხოვრებთა. გარნა აქა გამოაჩინა მოქმედება კეთილი და სათნო ღთისა თავადმნ შალვა ერისთოვმან. შემოკრიბნა მუნ მცხოვრებნი ყმანი თვისნი უფროს-უფროსნი კაცნო სმენად შემძლებელნი. და სხვა-ნიცა ხალხნი. და პირველად დაუდებდა კეთილ მომზიდთა წინა-დადებითა. ამ საცხოვრებელთა ჰაზრთა გულს მოდგინეთ სმენისათვის. განამახვილებდა, განაღვიძებდა და წინათ განამზადებდა მას ერსა. და წ~დ ვრწყებდ~თ ესრეთ. უფალი გიორგი დეკანოზი წარიკითხავდა ქართულსა ერთსა მუხლსა. ამასვე მე წარვიკითხევდი ოსურად. და რუსული სახარება ეპყრა თვით თავადსა შალვა ერისთოვსა. უკეთუ საჭირო იქმნებოდა ურთიერთის შესწორებისათვის. და უკეთუ დასჭირდებოდა გამართვა ვეცდებოდით რაოდენ ძალ გვედვა. და უკეთუ არა მათსა გაგონებასა ვაკმარებდით. და ესრეთ სრულ ვპყავით ს~დ ოთხით თავი სახარებისა სოფლებთა ამათ შ~ა ზონკარს. ლეკოვანს და წრფორს“.⁶²

როგორც ვხედავთ, იოანეს ამ რაპორტში არის წარმოდგენილი სამ ენაზე — ქართულზე, ოსურსა და რუსულ ენაზე დაწერილი ტექსტების მსმენელთა წინაშე კითხვა. ტექსტების კითხვა სამივე ენაზე ერთდროულა და კითხვის დამთავრებისთანავე მომხდარა მსმენელთათვის შესაძლო გაუგებარი ენობრივი მასალების ახსნა-განმარტებაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მსმენელთა გაგებინების უნარს ამ შემთხვევაში დიდად აფასებენ და როცა შეუნიშნავთ, რომ წაკითხული ტექსტი გაუგიათ მსმენელებს. მაშინ წასაკითხავი მასალის გამართვისათვის ხელი აღარ მიუყვიათ.

კითხვის ასეთი მეთოდი ახსნითი კითხვის სისტემაში შედის და მას, როგორც სასწავლო მეთოდს, ამ პერიოდში აქტიურად იყენებდნენ. ასე რომ, ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი იოანე იალღუზიძის რაპორტი საინტერესო ცნებებს შეიცავს საშენოვანი საკითხავი ტექსტის ახსნით კითხვით სწავლებისას. ეს კი, უდაოდ. საყურადღებო ფაქტია ქართული და ოსური მეთოდიკური აზროვნების ისტორიისათვის.

ასე რომ, მეთოდიკური თვალსაზრისით იმის ფართოდ შესწავლა, თუ როგორ იყენებდა იოანე ქართულ ენაზე დაწერილ

⁶² თ. თე დ ე ე ვ ი, პირველი ოსური ხელნაწერების ენა, 1985, გვ. 82.

ტექსტის ოსურ ენაზე გადათარგმნისას თარგმნისათვის დამახასიათებელ მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ მიდგომას — ეს ცალკე თემაა და მომავალ მკვლევარს ელის.

ამჯერად ჩვენი ასპექტი უფრო შემოზღუდულია. იგი ითვალისწინებს ზოგად მინიშნებას იოანეს პედაგოგიურ შეხედულებებზე და უფრო კონკრეტულად კი იმ პედაგოგიური ტერმინოლოგიური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მასალების ჩვენებას, რომელიც მის მიერ დაწერილ პოეტურ ნაწარმოებში და ნაწილობრივ სხვა მასალებში მოიპოვება.

ა

არაცნობარობა აქ: რაიმეს არ ცოდნა. „თვითვე პირის-პირ მობრძანდა, არ მცნობვარ, რისთვის წყენითა“. ალ. 204,1.

აღვზნებული ყოფაქცევა აქ: ამაყი ქცევა, დაუღვეარი მოქცევა: „ბოლოს ჰკითხა მეფათ მისი ყოფაქცევა აღვზნებული“. ალ. 259,4.

აღორძინება აღზრდა, განვითარება. „ის აღორძინდა, რადგან იყო ძირით სავსე აღვსებული“. ალ. 12,2.

ბ

ზრძენთა მობრძნე აქ: მცოდნეთა, გონიერთა მასწავლებელი. „ბრძენთ მობრძნემან, ბოროტთა განმამძემან“. ლ. 1.

გ

გაგონებისა კმარება აქ: წაკითხული ტექსტის მსმენელთა გაგებინების შესაძლებლობის დადასტურება. „და უკეთუ არა მათსა გაგონებასა ვაკმარებდით“. მ. 8,4.

გაზრდილობა აღზრდა, მოქალაქეობრივი კულტურის შექმნა. „ამის შემდგომ ყოფაქცევა, მოსაწონი გაზრდილობა“. ალ. 154,2.

გამართვა აქ: წაკითხული რაიმე აზრის გასაგებად გადმოცემა. „და უკეთუ დასჰირდებოდა, გამართვა ვეცდებოდით რაოდენ ძალ გვედვა“. მ. 8,3.

განსწავლა რაიმე ცოდნის შექმნა; აქ: ქართული წერა-კითხვის შესწავლა. „განვისწავლეცა მასთანა და ვიმყოფებოდი ხსენებულსა მონასტერსა შინა“. მ. 1,11.

გონების ფრენა — ფიგურალური თქმა; აქ: სასურველი აზრის გაჩენა, შემუშავება. „ფრენად გონებას ფრთითა საცნაურითა“. ლ. 1.

გონების მოტაცება აქ: დაინტერესება, მოწონება. „მისი მეტად სიბრწყინვალე გონებას მტაცებდა მე“. ალ. 134,1.

გონების მიპყრობა აქ: რაიმეს საფუძვლიანად გაგება. „აწცა გონება მივაპყრათ, თუ რა მოხდა ნონთა შორის“. ალ. 129,1.

გულისმოდგინედ სმენა ყურადღებით მოსმენა, რაიმეს კარგად გაგება. „ამ საცხოვრებელთა ჰაზრთა გულის მოდგინეთ სმენისათვის“. მ. 8,16.

ღ

ღარიგება — ღარიგება, სწავლების ერთ-ერთი ხალხური პედაგოგიკის ხერხი, რჩევა. „ბრძანებლი ღარიგებასა, არ ვის, არ დაიშარებლი“. ალ. 119,2.

ე

ერის (მსმენელის) წინა გამზადება აქ: სახარებ-ს შინაარსის გაგებისათვის მსმენელის წინასწარ მომზადება, დაინტერესება. „... განამახვილებდა, განალვძებდა და წინათ განამზადებდა მას ერსა“. მ. 8,18.

ზ

ზნეობის სწავლა „ზნე ჩუ შულებით რამც საქმე სკირდეს კეთილი თუ ბოროტი ზნე იგი არს“ (საბა), „ზნე ხასიათი, ბუნება, თვისება“ (ქეკელ. 159). აქ: საქრისტიანო კატეხიზმოს რელიგიური მნიშვნელობის აღნიშვნა, განმარტება. „მარწმუნა მე თარგმნად, — ამბობს იოანე, — საქრისტეანო საკატეხიზმოსისა მოვლითა მასთანა ზნეობითისა სწავლითურთ“. მ. 1,9.

თ

თვისივე ცნობაზე მოგება ცნობიერებაზე მოსვლა. „რა მოეგო თვისივე ცნობა“. ალ. 214,3.

კნინი ხმა აქ: პატარა, მცირე დონის მოაზროვნე. „ამად ვიმრთელებ მე ამა კნინთა ხმითა“. ლ. 1.

კეთილ მომზიდთა წინადადება მსმენელთათვის საამოდ მოსამენი აზრის (წინადადების) შერჩევა. „პირველ დაუდებდა კეთილ მომზიდთა წინადადებათა“. მ. 8,15.

კითხვის სწავლება აქ: იგულისხმება წერა-კითხვის სწავლება. „ბრძანა მიცემა ჩემი... სასწავლებლად კითხვისა საეკლესიოთა წიგნთასა ქართულსა ენასა ზედა“. მ. 1,7.

მ

მსმენელთა გამახვილება,

განღვიძება აქ: მსმენელთა დაინტერესება, ყურადღების მობილიზება. შალვა ერისთავი სახარების წაკითხვისას „განმახვილებდა. განაღვიძებდა... ერსა“ მ. 8,17.

მწვრთნელი აღმზრდელი. აქ: უზენაესი, ღმერთი. „ინება კეთილ დღეობა, ჩვენგან მართლ მწვრთნელმან და სხვისამ“. აღ. 16,2.

მცირე ხმანი აქ: მცირე, პატარა აზრის, შეხედულების გამოთქმა. „ეს მცირე ხმანი თუმცა ჩემგანვე ხმანი“. ლ. 1.

ნ

ნამდვილი გამოღება აქ: ქართულიდან ოსურ ენაზე სათარგმნი ტექსტის სრული შესაბამისობით გადმოღება, გადმოთარგმნა. „არარა დამიტევებიეს შესაძლებელი ჩემდა უმახლობელესისა და ნამდვილისა გამოღებისათ ს ნამდვილითა ოსურსა ენასა ზედა“. მ. 3,15.

ო

ოვსთა ბუნებითი ენა ოვსთა მშობლიური ენა. „სასწავლებლად ოვსეთისა ჭაბუკთა ბუნებითსა ენასა“. მ. 3,9.

ოსური წერილის დასაბამობა აქ: ოსურ ენაზე სწავლების, ოსურ

ენაზე სასწავლო წიგნების დასაწყისი. „ესრეთითა სახითა დაესდე რა დასაბამობითი საფუძველი წერილისა ოსურისა ენისა“. მ. 3,5.

ს

სასულიერო წიგნი რელიგიური მოძღვრების შემსწავლელი წიგნი. მ. 3,3.

სასწავლო წიგნი აქ: რაიმე ცოდნის შემსწავლელი წიგნი. მ. 3,3.

სამეფოს განათლების აქ: ქვეყნის განათლება, სამეფოს ქვეშევრდომთათვის რაიმე ცოდნის მიცემა. „თვით სამეფოთ განათლება და გამოსცა მან ბრძანება“. აღ. 253,1.

საწადილო აზრი „წადილი, სურვილი, ნდომა, გულის-სიტყუა, გულის თქმა“ (ილია აბულაძე). აქ: სასურველი, მოსაწონი, კარგი აზრი. „მიმიყვანა აწ ჰაზრმან საწადილომან“. ლ: 1.

სახარების ოთხი

თავის სრულყოფა აქ: სახარების ოთხი თავის ქართულ, ოსურსა და რუსულ ენაზე დაწერილი ტექსტის წაკითხვა და მსმენელთათვის გაგებინება. „და ესრეთ სრულ ვყავით ოთხი თავი სახარებისა სოფლებათ ამათ შ~ა ზონკარს, ლეკოვანს და წიფორს“. მ. 8,4.

სიტყვიერების სწავლება სიტყვიერების სწავლება ე. ი. „ლაპარაკის უნარი, მეტყველება“ (ქეგლ, 1086). აქ: აზროვნების განვითარება, მისი კანონების სწავლება. „მისისა ნებითავე მეფის ირაკლისათა ვიყავ წარგზავნულ დავით გარესჯის უდაბნოსა შინა ყოფილსა მუნ მღვდელ მონაზონისა იოანე ქარუმიძისადმი. ვითარცა მცოდნისა ფილოსოფიისა. სასწაულელად სიტყვიერებისა“. მ. 1,12.

სმენად შემძლებელნი აქ: ვისაც წაკითხულის მოსმენა, გაგება შეუძლია. „შემოკრიბნა მუნ მცხოვრებნი ყმანის თვისნი უფროს-უფროსნი კაცნი სმენად შემძლებელნი“. მ. 8,13.

სიბრძნით გამოუთქმელი აქ: გონებით, ჰკუთით მიუწვდომელი, შეუმცნებელი „ყოვლის დიდებით შემკულო და სიბრძნით გამოუთქმელი“. აღ. 1,4.

სწავლება სწავლება. რაიმე ცოდნის გადაცემა. „აჰყავებდეს, ამუშკრებდეს, მერ სხვათ მოჰრას ასწავიდეს“. აღ. 152,3.

სწავლის მატება აქ: სწავლების, ცოდნის მატება, შეძენა. „გო-

ნებასა ჩემს კმატო სწავლა, სულისა ჩემის ნათელო“. აღ.
6,4.

ტ

ტკბილი უბნობა — საამო, მოსაწონი საუბარი. „მუხლთა გეხვე-
ვი, მეფეო, მადირსე ტკბილი უბნობა“. აღ. 261,3.

უ

უაღრესი განვითარება უაღრესი, უდიდესი, უმაღლესი განათლე-
ბის მიღება. „რა ღონითა ამით განემზადოსთ მათ გზა უაღ-
რესისა განვითარებისადმი“. მ. 3,9.

უწვრთნელი გონება აქ: უცოდინართათვის რაიმე აზრის გასაგე-
ბად გადაცემა. „ისწრაფის ამაღ უწვრთნელთა გონებად“.
ლ. 1.

ქ

ქართულ ასოთგან მოხმარება ქართული ასოების პრაქტიკულად
გამოყენება. „ქართულ ასოთგან საეკლესიოთა ძალუმსთ
მოხმარებულ ყოფად საეკლესიოთა წიგნთა“. მ. 3,2.

ყ

ყოველთა გულთ მეცნაერი ყველას დამხმარე, ყოვლის შემძლე,
მცოდნე. „ყოველთ მეცნაერო, მართალო მართალ გულთა
მცდელო“. აღ. 2,3.

ყრმაებული „თხუთმეტის წლითგან ვიდრე ოცამდე ვაჟსა ყრმა
და ქალსა ყრმად ეწოდების“ (საბა). აქ: ყრმის მსგავსი,
ყრმადქმნილი. „იყავნ დიდებული იგი ჩვენთვის ყრმაებუ-
ლი“. ლ. 1.

რ

რეგონება: აქ: დარწმუნება, დაჯერება. „საკუთრად რეგონებასა“.
მ. 1,5.

შესმენა აქ: გაგება, შეწყნარება. „და შეისმენ ჩვენსა თხოვნას და ცრემლთა ამა თხრობას“. აღ. 129,2.

ფ

წადილ მაჩენი აქ: რაიმე სურვილის გამომჩენი, გამომხატველი. „წადილ მაჩენნი, გარნა არად საჩენნი“. ლ. 1.

წადილთ მიზიდულობა აქ: რაიმე დიდი სურვილის ქონება, გაჩენა. „მიზიდულ ვიყავ რა ადრითგან წადილითა ენისადმი განუნათლებელთა ერთქვეყნიერთა ჩემთასა“. მ. 3,1.

წერა და კითხვა აქ: იოანე ამბობს: წიგნი (წიგნები) შევადგინე ოსი კაბუკების წერა-კითხვის შესასწავლად. „მაშინ არა კეთილინებებთა დაბეჭდვად რაოდენთამე წიგნთა ანბანთასა სასწავლებლად ოვსეთისა კაბუკთა ბუნებითსა ენასა ზ ~ ა წერისა და კითხვისათვის“. მ. 3,8.

წვლილად თქმა დაწვრილებით რაიმეს თქმა. „დაჯექ, მითხარ ყველა წვლილად, გაგისტუმრებ ღვთით ღზინებით“. აღ. 157,3.

წიგნის გადმოღება წიგნის ერთი ენიდან მეორე ენაზე გადათარგმნა. „რათა გარდამელო რომელნიმე სასწაულონი და სასულიერნო წიგნნი“. მ. 3,3.

წინათ მცნობა ადრე, წინათ რაიმეს გაგება, შეტყობა. „მარამ მან გველმან ეშმაკმან წინათ იმცნო უწყებული“. აღ. 262,1.

ძ

ძე სქემებრ ამაღლებული „სქემა საბერო ფორმა ჩასაცმელი“ (საბა). აქ: ვნახო შენი ძე დაწინაურებული, პატივდებული. „ვნახოთ თქვენი ძე სქემებრ ამაღლებული“. ლ. 1.

ჭ

ჭკუით უხუცნი აქ: გამოცდილი, დაბრძენებული. „ჭკუით უხუცნი მეგონეთ, მარ გქონიათ ყმაწვილობა“. აღ. 41,3.

აშკარაა, აქ წარმოდგენილი პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მახალეები ერთი ნაწილია იმ ენობრივი საგანძურისა, რომელსაც

იოანე იალღუზიძე ფლობდა. ამ მასალებით, ჩვენი აზრით, ნათელი ხდება, რომ იოანეს როგორც პედაგოგსა და, რაც მთავარია, განმანათლებელს თავისი მოწინავე საგანმანათლებლო იდეების შესატყვისი პედაგოგიური ტერმინოლოგია ჰქონია ათვისებული. ამასთან ისიც საყურადღებოა, რომ ეს ტერმინოლოგია ფაქტიურად ძველი ქართული დიდაქტიკური და მეთოდოლოგიური ცოდნის უკუფენაა, რომელსაც იოანე იალღუზისძე კარგად იცნობდა.

იოანე იალღუზიძის ენის ზოგი საკითხი

როგორც ვიცით, იოანე იალღუზიძე საქართველოში სწავლობდა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სასწავლებლებსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამასთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ იგი გარკვეულ განათლებას ღებულობდა გიორგი მეფის კარზეც.

ამ პერიოდში ჩვენში ფაქტიურად კანონმდებლობდა ანტონ პირველის სკოლა⁶³. ს. ავალიანის შეხედულებით „ანტონის სკოლის. მისი მოწაფეების ძირითადი თავისებურება ის იყო, რომ ისინი მტკიცედ იცავდნენ და კიდევ აძლიერებდნენ ანტონის ტრადიციებს. ეს შეეხება ანტონის მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროს... მიუთითებენ სპლიტერატურო სტილზე, რომელიც ზელოვნურობითა და სირთულით გამოირჩევა. ანტონის მოწაფეებმა არა მარტო იოლად შეითვისეს ეს სტილი, არამედ კიდევ განამტკიცეს. ამიტომ იყო, რომ ანტონის გზა მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა სკოლამ განაგრძო და ეს ტრადიციები ქართულ აზროვნებას თითქმის XIX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულამდე მოჰყვა⁶⁴. (ხაზგასმა ჩვენია — შ. ქ.).

იოანე იალღუზიძე მოღვაწეობდა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ყოველივე ამის გამო მის წერილობით მემკვიდრეობაში, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, ფართოდ ასახულია სწორედ ის ენობრივი ნორმები, რომლებიც არსებითად გამოყენებული იყო მოცემული ხანის ქართულ მწერლობაში.

⁶³ არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 023.

⁶⁴ ს. ავალიანი, ანტონ პირველი, 1984, გვ. 97;

იოანეს ენის ათვისებულებების შესწავლისას ჩვენ ვეყრდნობით მის პოემა „აღლუზიანს“, ლექსებსა და ზოგიერთ სხვადასხვა სახის წერილობით მასალას, კერძოდ, ავტობიოგრაფიას, ოფიციალურ წერილებსა და მიმართვებს საქართველოს სასულიერო თუ საერო ხელისუფლებთან, სოფელ ვანათის სასამართლო განჩინებას.

საანალიზო მასალების დამოწმებისას პოემიდან ნაჩვენებია „აღლუზიანის“ მოკლე დასახელება, სტროფი და ტაეპი. მაგალითად, სარდარი ალ. 49.1 ეს ნიშნავს: სიტყვა „სარადარი“ გვხვდება პოემა აღლუზიანის 49-ე სტროფის პირველ ტაეპში. ლექსები დაეყავით: 1 და მე-2 ნომრებად. დასახელება ასეთია: უწვრთელთა ლ. 1,4 ეს ნიშნავს: სიტყვა „უწვრთელთა“ დასახელებულია პოეტის პირველი ლექსის, პირველი სტროფის მე-4 ტაეპიდან. სხვა წერილობითი მასალა დანომრილია 1-იდან მე-11 ნომრამდე. აქ დამოწმება ასეთია: გარდამელო მ. 3,3 ეს ნიშნავს: მოტანილი ზმნა „გარდამელო“ ამოღებულია მე-3 ნომერი მასალის, მე-3 ბეჭდური სტრიქონიდან.

წინასწარ გვინდა შევნიშნოთ, რომ იოანე იაღლუზიძის ენა არსებითად მიჰყვება ძველი ქართული ენის ნორმებს. ჩვენი დაკვირვებით, ორთოგრაფია, ლექსიკა, წინადადების აგების სტრუქტურა და ზოგი სხვა ძირითადად ძველი ქართულიდან მომდინარეობს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ძველი ქართულის გავლენა ძალზე იგრძნობა ლექსებში, ავტობიოგრაფიასა და სხვა წერილობით მასალებშიც. თუმცა ამ თვალსაზრისით არის გამოხატული; რატომღაც ძველი ქართულის ნორმები თითქმის არა ჩანს ვანათის სასოფლო-სასამართლო გარიგებაში, რის გამოც აკად. გ. ახვლედიანმა თავის დროზე სპეციალურად აღნიშნა „Язык грузинского текста (გულსახელება ვანათის განჩინებაში) настолько слаб, что вряд ли составителем и писцом его мог быть сам Ялгузидзе ибо, известно, что он отлично знал грузинский язык“⁶⁵.

როგორც აკად. ა. შანიძე მიუთითებს „იოანე იაღლუზიძის მოწაფეობისას „ქართულ სალიტერატურო ენაში ჭერ კიდევ იყო ხმარებაში ე. წ. ძველი ასოები: *შ. ზ. ჯ. ჳ* და ამათ გარდა *ფ*, რომელიც შემოიღეს ევროპული ენებიდან მომდინარე კბილბაგისმიერი ლათინური ბგერის (*f*) გამოსახატავად და,

⁶⁵ Г. Ахведянни, Сборник избранных работ по осетинскому языку, I, Тб., 1960. стр. 94.

უკანასკნელ, უმარცვლო უნის გამოსახატავად მიღებული დიაკრიტიკულ ნიშანია უბრჯგუ (უ)⁶⁶.

იოანე იალლუზიძის ნაწერებშიც ცერაფებმა მხოლოდ ებგერის გამოსახატავად მოხმობილი უბრჯგუს შემდეგ: ეგრე-
ნა ც მ. 1,31. თქუენის ბ. 3,31 წარუ ცმართენით ბ. 8,9.

ა ძველ ქართულში ჩვეულებრივ, არ იყო მარცვლიანი. მიუხედავად ამისა იოანე მას მარცვლიანი ი-ის ადგილზე იყენებს. საკმაოა ს საზარდო ასა მ. 1,20. მხნე ა ალ. 89,3; ვა ა ალ. 31,2; და ა ალ. 230,2 წ; გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ა-ის ნაცვლად ჩვეულებრივი ი-ა გამოყენებული: სიტყვაი ლ. 1,6; შობაი ლ. 1,11 და სხვ.

ვ იოანეს ნაწერებში იხმარება ვი-ს გამოსახატველად. თუთვე ალ. 204,1 თუსსა ალ. 210,2...

შენიშნულია, რომ მე-16 საუკუნიდან ქართულ სალიტერატურო ენაში ჯ და ხ გრაფემათა ხმარება არეულია. ანალოგიური ვითარებაა იოანეს ნაწერებშიც: ჯ ელმწიფეს ალ. 87,2; კელმწიფისა ალ. 89,3; მაგრამ დასტურდება ასეთი ფორმებიც: ხელმწიფე ალ. 129,1; ხელმწიფედ ალ. 130,2; ხელი ალ. 95,3 და სხვა.

ჟ იოანესთან ერთად გვხვდება პოემაში და იგი წოდებით ბრუნვაში დაყენებული სახელის წინ ჰო-ს უდრის:

„ ჟ დროვ! დროვ რათ არ ვარ მაზედ დიდად განცვიფრებული“ ალ. 244,3.

ასევე ფ გვხვდება ერთჯერ. ისიც ავტობიოგრაფიულ მასალაში:

ვითარცა მცოდნისა ფ-ლოსოფიისა მ. 1.13.

ანტონის სკოლის გავლენა ფართოდ ჩანს იოანესთან ჰ-ს გამოყენებისას.

ა. შანიძის აზრით, ხშირად ანტონთან ჰ-ს გამოყენებას ცალკე ან ს-თან ერთად არავეითარი მორფოლოგიური დანიშნულება არა აქვს. მისთვის იგია „რალაც სამკაული, რომელიც საჭიროა აკუსტიკური მნიშვნელობის გასაძლიერებლად“.⁶⁷ ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე იოანესთანაც. აქ ჰ ისეთ ფორმებთანაც გვხვდება. სადაც არ უნდა იყოს; ჰსცნა მ. 1,7; ჰსტიროდენ ალ. 43,4, ტახტსა დასჰჯდა ალ. 30,2; ჰრწვეთდათ ალ. 56,4, ჰამბორა ალ. 167,3. შეჰკრბით ალ. 37,4; ჰფიქრდა 259,2 და სხვა.

66 ა. შანიძე, ბარათაშვილის ენა, „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 126.

67 ა. შანიძე, ნ. ბარათაშვილის ენა, გვ. 137;

ერთდღიანვე სიტყვასთან ძველი, ამოსავალი ფორმაცაა დაცული, მაგალითად, სარდარი ალ. 49,1. სარდარი 84,1, მარგარიტი ალ. 111,2 და მათგან დისიმილაციით მიღებული ვარიანტები, სარდალი ალ. 168,2, მარგალიტი ალ. 139,4.

საანალიზო მასალებში შეიმჩნევა მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების ორგვარი სახე — სრულიცა და მოკვეცილიც. მართალია იოანე უმეტესად იყენებს მოთხრობითი ბრუნვის სრულ სახეს (საწადილომან ლ. 1,1 ლომმან ლ. 1,9, მოწყალემან ლ. 1,12, ხმალმან ალ. 16,3; ჭრამან ალ. 16,4, თუმცა გვხვდება ბრუნვის შემოკლებული, მოკვეცილი ფორმებიც — (ყოველმან კაცმა ალ. 215,7; კაიჩანმა ალ. 95,1; მეფემ ალ. 79,3 და სხვა).

იალღუზიძის ნაწერებში III სუბიექტური პირის ნიშანი მრავლობით რიცხვში — ნენ მეტწილადაა წარმოდგენილი: აჰყეტდნენ ალ. 44,3; გაფრინდნენ ალ. 219,1; მოვიდნენ ალ. 219,2, იჯდნენ ალ. 44,2. თუმცა ამასთან ერთად — ნენ-ის ნაცვლად დასტურდება — ენ მორფემაც: მორბოდენ ალ. 43,2; მოდიოდენ ალ. 44,4; იტყოდენ ალ. 9,1; მოუხდენ ალ. 56,3 და სხვა.

მრავლობითი რიცხვი იალღუზიძის ნაწერებში გვხვდება როგორც ძველებური, ისე ახლებური ფორმით. ჭარბობს ძველებური ფორმა: აჰედან ნარიანი მრავლობითობის ნიშანი ორი სახითაა წარმოდგენილი — დნენ და დენ: აჰყეტდნენ ალ. 44,3; გაფრინდნენ ალ. 219,1; მოვიდნენ ალ. 219,2; იჯდნენ ალ. 44,2. მეორე მხრივ არის ასეთი ფორმებიც: მორბოდენ ალ. 43,2; მოდიოდენ ალ. 44,4; იტყოდენ ალ. 9,1; მოუხდენ ალ. 56,3 და სხვა.

ჩვეულებრივია სახელთა თ ა ნ ი ა ნ ი მრავლობითის ფორმები, საეკლესიო წიგნთა მ. 1,9; ცოდვილ კაცთა ალ. 5,4; ნონთა ჯარი ალ. 1,5; წყულთ ხატაჯთ ალ. 57,1 და სხვა. შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც არის მრავლობითობის მწარმოებელი ახალი ფორმა: ფრინველები ალ. 133,1; წყლები ალ. 134,3; მერცხლები ალ. 134,4.

მ ა გ რ ა მ კავშირი იოანესთან ოთხი სახით დასტურდება: გ ა რ ნ ა, მ ა რ ა მ და მ ა გ რ ა მ:

გარნა მე ამით ვერ ძალ ვიდევ სარგებლობად მ. 1,20, გარნა ოდესცა საქართველო შევიდა ქვეშერდომობას. შინა რუსეთისასა მ. 1,2: მარამ მეტად ამას სწუხდა. რომ მის გვამს ვერას ჰპოვებდა ალ. 103,4: მარამ ალღუზ ძირს გადმოხდა მსწრაფლვე შეჭდა მისა მფერი ალ. 95,2...

იშვიათად, თუმცა მაინც გვხვდება მაგრამ კავშირი ღლეჯანდე-

ლი ფორმითაც. მუქარას გვერდით. მაგრამა, ოხრად გიმყოფებთ ადგილსა ალ. 180,4; როგორც დამოწმებული მასალიდან ვხედავთ „გარნა“, „მაგრამ“ კავშირის ძველი ფორმაა, ხოლო „მარ“ და „მარამ“ დიალექტური ფორმებია.⁶⁸ მაგრამ კი — სალიტერატურო.

იალღუზიძის ნაწერებში ხელმწიფე ალ. 128,1, მეფე ალ. 233,3; ფორმათა გვერდით დასტურდება ხელოვნური ხელმწიფა ალ. 210,3, მეფას ალ. 298,4, მეფასკენ (აქვე) და სხვ. ცნობილია, რომ ასეთი ხელოვნური დაყოფა — ხელმწიფე — (მამაკაცი), ხელმწიფა (ქალი)... ქართულში გრამატიკული სქესის არქონის კომპენსაციაა. დიალექტური ჩანს შალავათი ალ. 50,2, შახტი ალ. 66,4 და სხვ.

იოანე ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს იცავს ზმნისწინთა გამოყენებისას. მაგალითად:

აღ. აღმო: აღუშენა ალ. 13,1; აღვასრულოდ ალ. 213,3; აღუსრულონ ალ. 109,3; აღორძინდა ალ. 11,2; აღმოცენდა ალ. 11,2; აღმოვლიდა ალ. 13,2.

გან განმიმთელო ალ. 6,3; განამრავლოს ალ. 14,9; განერა მამასა ალ. 285,3; განაპო ალ. 14,4; განუკვეთა ალ. 71,4; განიკვეთა ალ. 75,4.

გარდა: გარდმოხტა ალ. 94,2; გარდაეკონა ალ. 227,3; გარდაქცევდა ალ. 242,1;

შთა: შთაიბარა ალ. 19,2, შთაბრძანდა ალ. 224,4.

წარ: წარიღო ალ. 10,3; წარგზავნა ალ. 39,1; წარსულ არს ალ. 121,2; წარვიდეს ალ. 153,7.

პოემაში ფართოდ არის თავჩენილი სასაუბრო მეტყველების კვალიც; ამტელი ალ. 26,2; ჯერე ალ. 34,4; გონების მიტაცება ალ. 35,3; შელესილნი (შეიარაღებულნი) ალ. 56,2, ხიზარმოვანი ალ. 57,2; საგონისანი ალ. 58,1, გაფაციცდა ალ. 87,1; ამავობა ალ. 129,1, ჭიდილობა ალ. 146,1, წადილობა ალ. 155,2.

იალღუზიძის ნაწერებში ენის არქაულობის მაჩვენებელია არაერთი გრამატიკული ფორმა:

არს: წარსული არს ალ. 121,2; წარმოება ჩემი არს მ. 1,2; ბოძებულ არს მ. 1,26 და სხვა.

ზედა: საყდარზედა ალ. 14,2; კუბოსაზედა ალ. 110,3; შლილზედა ალ. 111,2 და სხვა.

⁶⁸ შუკლ. ტ. V, 1958, სვ. 53, აგრეთვე ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, შედგენილი ალ. ღლონტის მიერ, თბ., 1974, გვ. 344;

იოანე იალღუზიდიშ ლექსიკაში ბევრი ქართული სიტყვა ძველი მნიშვნელობითაა ფიქსირებული:

ა

არმარი ალ. 85,1, „ესეცა სარკმელი არს“ (საბა).
აღმოცენება ალ. 11,1 დაბადება.
აღორძინება ალ. 11,2 აქ: გაიზარდა.
აჯა ალ. 156,4 თხოვნა, ვედრება.

ბ

ბახტი ალ. 66,2, „ბახტი უცხოებთა მროკაენი“ (საბა), მოცეკვავე.
ბევრი, ბევრები ალ. 148,1 ათი ათასები.
ბირება ალ. 159,3 „უცნობი კაცი გაათვისოს“ (საბა) აქ: უცნობ კაცს მიენდოს.
ბრძნული ალ. 15,1 გონიერი, აქ: ჩამომავლობით ბიბლიური სოლომონისავით გონიერი.
ბუმბა ალ. 65,2 „შაეცეცხლა“ (საბა).

გ

განოუთქმელი ალ. 1,4, უთქმელი. ის, რის თქმაც ძნელია.
გამოხდა ალ. 43,1 გამოვიდა, გამოცვივდა.
გაცემა ალ. 241,2 აქ: რაიმეს მიცემა, დასაჩუქრება.
გრძნეული ალ. 15,2, „ეშმაკეულების მოქმელი“ (საბა), აქ: მცოდნე, გაგებუღი.
გხადით ალ. 205,3 გხეღავთ.

დ

დამწყსუღები ალ. 139,2 შეწუხებუღები, დამწუხრებუღები.
ღაშთა ალ. 12,1 ღარჩა.
ღიღისაწერი ალ. 229,1 „საწერი წერად მღებარე“ (საბა), აქ: შესაქები, სახოტბო.

დიდებულთა უხუცესი ალ. 106.1 დიდებულთა უფროსი, მბრძანებელი.

ე

ედემი ალ. 10,2 „ესე გამოითარგმანების შუა ცბა, გინა ქუე-
ყანა წითელი (საბა).

ეაჯა ალ. 164,3 „დიდად ევედრა“ (საბა).

ზ

ზაობა ალ. 26,4 შერიგება.

ზოვანი ალ. 224,1 ძვ. „ზოგი ზომა, სახე, „მოხაზულობა“, „ოდენი“ (ი. აბულაძე). აქ: ტანი ჰქონდა ალვის ოდენა.

ზაკვა ალ. 159,2 „ზაკუა არს პირით სიყვარულსა „ჩემებდეს და გულითა ბოროტი დაიმარხოს მზაკუარი ეშმაკი არს (საბა) აქ: მეფესთან ბოროტებით დამაბეზლა, მიმტრო.

ზარადი ალ. 53,3 „ზარადი ზუჩის ჯაჭვი“ (საბა).

თ

თავის დაკვრა ალ. 31,2 აქ: დამორჩილება.

თლილი ალ. 136,2, „რაც თალეს, — თლით გამოყვანილი (ქეგლ) გარკვეული ფორმამიციემული. აქ: ნონთ სახლები გათლილი ქვით იყო აშენებული.

ო

ოხნა ალ. 248.2 ძვ. ოხა შველა, გინა მო ჯ მარება (საბა), აქ: წუთისოფელმა ბოლომდე არავის არ დააცალა სურვილის (ნების) შესრულება.

პ

პაზმი ალ. 49,2 მორთულობა. აქ: იარადი, საქურველი.

პერპნი ალ. 59,4 „აჩრდილი არსებისა. გინა წარმართთ ცრუ ღმერთი, გინა ჰელითქმნილი“ (საბა).

კიდევ. კიდით ალ. 46,1 ნაპირი, ცალკე. აქ: ალღუზი სთხოვს ღმერთს, ნუ გამწირავ ასე განმარტოებულს, ცალკე მყოფს.

ლ

ლარვა, ლარი ალ. 105,2 „გაჭიმული ბაწარი (თოკი, ძაფი...) სხვადასხვა დანიშნულებისა. აქ: მოკლულ კაირან მეფეს არავინ პატრონობდა.

ლახტი ალ. 66,1 „უმკვწველო საცემი საომარი“ (საბა).

მ

მეოხი ალ. 4,3 შეშწე, დამხმარე.

მესისხლე ალ. 53,4 სისხლის აღებით შურის — მაძიებელი (ქეგლ):

მეშვა ალ. 242,4 გამიჩნდა, დამებადა.

მიმდარი ალ. 171,2 „მიმღები ღლე, ყოველ დაუცადებელი“ (საბა), აქ: ყოველდღე ვინმეს მოთვალთვალე.

მკული ალ. 233,1 შემკული.

მომსვლელი ალ. 3,4 აქ: ძის ე. ი. ღმერთის დამბადებელი.

მისრა ალ. 22,2 დახოცა.

მოწინარება ალ. 43,3 მომარჯვება, აქ. შვილდ-ისარი საბრძოლო მდგომარეობაში ეჭირათ.

მნათველი ალ. 3,1 მშველელი, დამხმარე.

მტევი, მტევებარი ალ. 99,4 წამგლეჯი, წამრთმევი. აქ: დედოფალს ამცნონ სიკვდილი კაირან მეფისა, რომელიც თავგახეთქილია.

მუნ ალ. 42,2 იქ.

მუქათა ალ. 204,2 „საპასუხო“ (საბა).

მღერი ალ. 95,3 — „ძნელი მუნი“ (საბა). აქ: ალღუზონი ხმლით თავს ისე იცავდა, როგორც მუნით, მღერით გაწმაგებული კაცი. მყვირალნი.

მშვეები ალ. 165,4 დამხმარე. აქ: დახმარებისათვის მოგმართავეთ.

მცდელი ალ. 2,3 გამგები, შემტყობი.

მცველი ალ. 2,4 აქ: ქვეყნისათვის ფერის ე. ი. სულის მიმცემი.

მცნება ალ. 285,4 „მცნება არს ლუთისამიერ შჯულისდება, გი-

ნა მეფეთა და უადრესთაგახ ბრძანებული“ (საბა), აქ: სასულიერო სწავლა, დარიგება.

მწე ალ. 235,3 „მეშველი, გინა მომხმარო“ (საბა).

მწვრთნელი ალ. 16,2 აღმზრდელი, მასწავლებელი.

მხელი ალ. 11,3 დამხმარე, ხელის შემწყობი.

ნ

ნეტარი ალ. 2,2 მეტისმეტად სასიამოვნო, დიდად სასურველი, სანეტარო.

ნეტარ ალ. 28,1 ნეტავი.

ნეტარძი ალ. 121,1 „ნატრა რასმცა“ (საბა).

ნუკავ (მენუქვი) ალ. 157,2 თხოვნა, ხვეწნა.

ო

ორფოთება ალ. 24,2 ფოთება (ფოთებისა) ძვ. შინება, ფრთხობა, ფეთება (შუშან.). აქ: ალღუზონი გაორმაგებული დამაფრთხობელი ძალით (ან სახით) ჩაება ბრძოლაში.

ოტება ალ. 21,1 გაქცევა, დევნა. აქ: შეშინებული მოპირისპირე მხარის მებრძოლები დაიფრინა, გააქცია.

სავანე ალ. 167,4 ვნება, აქედან სავანე. „ვნება ითქმის ვნებად ჳ ორციელიცა, ვითარ იგი სნეულებაჲ და წყლულებაჲ ითქმის ვნებაჲ სულიერიცა, რომელ არს გულის თქმა, გულის წყრომა და ეგე ვითარნი“ (საბა). აქ: თუ გაჭირვებაში ვნახავ, თავს დავდებ საზრდელი ალ. 12,4 საზრდო, საქვები.

სალამათი ალ. 78,3 ჯანმრთელი. ჯანმრთელობა. აქ: მისალოცი მიმართვა.

სამპიროვნება ალ. 1,1 სამი სახის მქონე, სამგვარად გამოვლენილი. აქ: რელიგიური მცნება — მამა ღმერთი, ძე ღმერთი, სულე წმინდა.

სამშვენელი ალ. 4,2 „სამშვენელი უტყუ სული“ (საბა).

სარჩევა ალ. 110,4 „სარჩვლად, წუხილი სხუამის მაგიერ ჩიოდეს“ (საბა). აქ: კაირანს დასტროდენ მწუხარებით მისნი ასულნიც.

სასუფველი ალ. 5,2 „ესე არს სამყოფი ანგელოზთა, სად წმიდანი არიან (საბა).

საძირე ალ. 23,3 აქ: საძირკველი.

სრული ალ. 2,2 „გასრულებულსა ჰქვიან, უნაკლულოსა“ (საბა)

აქ: იგულისხმება რელიგიური გაგებით განგების ყოველმხრივ თავისთავადობა. მისი ყოვლისშემძლეობა.

სული ალ. 4,3 სულიერი: ვისაც ან რასაც სული უდგას, — ცოცხალი არსება სულდგმული (საპირისპირო — უსულო), ადამიანის შინაგან ფსიქიკურ სამყაროსთან დაკავშირებული, არახორციელი (ქეგლ).

სული წმიდა ალ. 6,1 „სულიწმიდა სული ღუთისა, რომელი მოგუც ცემის ძისა მიერ აღთქმა იგი მამისა; ხოლო წმიდასული არს სული ანგელოზი და წმიდათა სულნი (საბა).

სქემა ალ. 1,15 საბერო ფორმა ჩასაცემელი (ი. აბულ.) აქ: ვნახო შენი შვილი სასულიერი სფეროში ამადლებული, პატივდებულნი.

სწავლა ალ. 287,4 „სწავლა არს რაიცა არა იცოდეს, უთხრას და სწვართოს, სწავლა არს ქადაგება. ხოლო სხვა სწავლა არს საკანონოდ შოლტის მიღება“ (საბა). აქ: დასჯა.

უ

უარშიო ალ. 286,1 „კაცის გაუწყობელი“ (საბა). „ძნელად შესაგუებელი ხასიათისა, — გაუგონარი, ჭიუტი, ურჩი (კაცი)“ (ქეგლ). აქ: ალღუწონი ჭიუტად არ ასრულებს მამის სურვილს.

უოხებ ალ. 211,1 აქ: მოუხმარებლობა.

ურწულნი ალ. 14,4 უწყლო ადგილი, ადგილები.

უხუცნი ალ. 41,3 აქ: დაბრძენებულნი, ცხოვრებისეული გამოცდილების ასაკოვანი კაცი.

ფ

ფრიდ ალ. 1 ფრიად.

ღ

ღინი, ღინთილა ალ. 59,2 „ღინთილა ელენთა არის, ღინთილას ამოგაცლი ცემის მუქარაა“ (ქეგლ).

ღირება ალ. 196,1 დაპირება.

შ

შემასმენელი ალ. 159,1 მამბეზლარა (საბა).
შნო ალ. 60,2 „მოკდომილობა“ (საბა).

ძ

ძებული ალ. 12,3 მოცემული, კუთვნილი.
ძევა ალ. 109,2 მოძებნა, პატრონობა.
ძნიალ ალ. 48,1 ძლიერ.

ჭ

ჭიკი ალ. 54,2 თითისტარი (ქეგლ). აქ: ალღუზ მეფისადმი სიტყვიერად გამოთქმული მუქარა.

ხ

ხადილობა ალ. 42,4 წვეულება, ლხინი, შექცევა (ქეგლ). აქ:
არ ჰქონდეს მოსვენება.
ხელი ალ. 242,1 „ხელი არს, რომელ უცნობოდ გარბოდეს და
არც თ~თ იგვემდეს და არცა სხუათა ავნებდეს“ (საბა).
ქ ელობა ალ. 260,2 აქ: ბოროტად ქცევა.

ჯ

ჯაჭვები ალ. 52,4 აქ: ტანზე მხედრებს ეცვათ ჯაჭვის თავდასა-
ცავი ჩასაცმელი.

ჟ

ჟფერდა ალ. 103,1 აქ: რას აკეთებდა, რას მატებდა.

დასასრულ ორიოდ სიტყვა გვსურს ვთქვათ იოანეს ორ ლექსზე, რომელიც პირველად პროფ. ტრ. რუხაძემ აღმოაჩინა და გამოაქვეყნა⁶⁹. ეს ლექსები იამბიკონია. იგი ბერძნულ-ბიზანტიური პოეზიის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული სახეობაა. ასეთი საზომით ლექსები უწერიან ქართველ პიმნოგრაფებს. თავდაპირველად იამბიკო ურითმო ლექსი იყო. შემდეგ, აღორძინების ხანაში, იამბიკოს საზომით დაწერილ ლექსებს რითმაც უჩნდებათ.

პირველი ლექსი მიძღვნილია იოანე ბატონიშვილის მეუღლის ქეთევანისადმი.

ლექსის პირველ და მეორე სტროფში გამჟღავნებულია ავტორის „საწადილო“ აზრი — ხოტბა შეასხას იოანე ბატონიშვილის მეუღლეს ქეთევან წერეთლის „ყოველსა ფეროს სისრულეს“, მის კეთილშობილებას.

მესამე სტროფში იოანე ქეთევანის მოწყალე პიროვნებას ღვთიური წარმომავლობით სახავს და იგი მიჩნეული ჰყავს „აღსავსე ნებით“ და ორგულთა მომაკვდინებელ პიროვნებად. აქვე გამჟღავნებულია იმის სურვილიც, რომ ქეთევანის ძეც ისეთივე ამაღლებულ და სრულ იყოს, როგორც მისი მშობლები. „ვნახო თქვენიძე სქემებრ ამაღლებული“.

მე-4 სტროფში კვლავ დადასტურებულია იოანეს ნატვრა ქეთევანის ყოველი „ნების სისრულით“ შესრულებისა და მისი ღიბხანს ჯანმრთელად ცხოვრებისა.

ლექსის ბოლო სტროფში იოანე ერთგვარად ბოდის მოხდით თავის წადილს „არად საჩენს“ უწოდებს. მაგრამ დასიენს, რომ საწადილოს ლექსად თქმა შინაგანი მოთხოვნით ნაკარანახევია, მისი სათაყვანებელი ოცნებაა და ერთხელ კიდევ აღნიშნავს ქეთევანის „ორკეც ცხოვრებას“, რაც, ჩვენი აზრით, ერთი მხრივ, ქეთევანის საერო-საოჯახო ცხოვრებისა და, მეორე მხრივ, სასულიერო მოძღვრების ცოდნის ასპექტი შეიძლება იყოს.

ერთი სიტყვით, ლექსში კარგად ჩანს იოანეს დიდი პატივისცემა ქეთევან წერეთლისადმი, რაც შეიძლება აიხსნას იმ სიახლოვეთ, რომელიც იოანეს თბილისში ჩამოყვანისთანავე უნდა დამყარებულიყო იოანე ბატონიშვილის ოჯახთან — ხანგრძლივი ურთიერთობით.

მეორე ლექსი „შობისათვის თქმული იამბიკო“ წმინდა რელიგიური შინაარსისაა.

⁶⁹ ტრ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1939, გვ. 199-200.

„აღლუზიანის“ მხატვრულ-მსთებიკური საკითხები (მოკლე დასკვნები)

1. მართალია, ოსი განმანათლებლისა და პოეტის იოანე იაღლუზიძის შემოქმედებისა და, კერძოდ, მისი პოემის „აღლუზიანის“ შესახებ არა ერთი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ მაინც ამ ცნობილი ნაწარმოების ლიტერატურული ფორმირების საკითხი, ჩვენი აზრით, ჯერჯერობით სრულყოფილად არ არის შესწავლილი.

ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით პირველ რიგში გასათვალისწინებელია აკადემიკოს კ. კეკელიძის ფუნდამენტური გამოკვლევა, ხოლო კერძო კვლევა-ძიების შედეგებით პროფ. ტ. რუხაძის შრომა „აღლუზიანი“ და ცნობილი ოსი მკვლევარის ნ. ჯუსოათის მოსაზრებანი. აქედან ჩვენ ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება პროფ. ტ. რუხაძის კატეგორიული მტკიცება, თითქოს „პირველი თხზულება. რომლის გავლენა აღლუზიანის ავტორს განუცდია, არის ბესარიონ გაბაშვილის პოემა — ხოტბა „რუხის ბრძოლა“.

აქვე მითითებულია ისიც, რომ „აღლუზიანში“ რუხის ბრძოლიდან შემოსულა ეპიზოდი ელჩის წვევისა და ჯარის დახასიათების შესახებ, მაგრამ რატომ მაინცდამაინც რუხის ბრძოლიდან და არა სხვა ნაწარმოებიდან, ამაზე არაფერია ნათქვამი.

საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ბევრად ადრე, ვიდრე პროფ. ტ. რუხაძე თავის ნაშრომს გამოაქვეყნებდა, აკად. კ. კეკელიძემ სპეციალურად აღნიშნა, რომ იაღლუზიძემ პოემა „აღლუზიანში“ გამოიყენა „ამირანდარეჯანიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნიდან“ ზოგიერთი სტილისტიკური და ლექსიკური არქაული მასალა.

ამრიგად, სპეციალურ ლიტერატურაში „აღლუზიანის“ ლიტერატურული ფორმირების თაობაზე ორი სხვადასხვა აზრია: ერთი მოსაზრებით იოანეს პოემის შექმნისას უპირველესად უნდა გამოეყენებინა ბ. გაბაშვილის პოემა — ხოტბა „რუხის ბრძოლა“ და სხვ. ხოლო მეორე მოსაზრებით „აღლუზიანი“ ლიტერატურული ფორმირების თვალსაზრისით სიახლოვეს ამჟღავნებს შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ და „ამირანდარეჯანიანთან“.

უფრო მართებულად მიგვაჩნია მეორე მოსაზრება, რომელიც ზოგად პლანში ჩვენი დაკვირვებით, უფრო მეტად „აღლუზიანის“ იდეურ-თემატიკური შინაარსისა და გამომსახველობითი საშუალებების სიახლოვეს „ვეფხისტყაოსანთან“ ვარაუდობს.

2. შესადაარებლად შევარჩიეთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი და „აღლუზიანის“ შესავლიდან 15 სტროფი, რომელსაც პირობითად ამ ნაწარმოების პროლოგად ვთვლით. გაიჩკვა, რომ „აღლუზიანის“ პროლოგშიც, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიურ მონაკვეთში გარკვეული ადგილი ეთმობა ღვთისადმი მიმართვას: „აღლუზიანის“ ავტორის აზრით, ღვთაება „მაღალი და გონებით მიუწვდომელია“, ქვეყნის შემქმნელია, „ყოველთა გულთა მეცნიერია“ და სხვ. ასეთივე შეხედულებებია გამოხატული რუსთაველის პოემაშიც.

ასევე შეიძლება ითქვას ღმერთის, როგორც აბსოლუტის, სამყაროს პირველი მიზეზის, შემოქმედის დახასიათების შესახებაც. შემდეგ: როგორც რუსთაველის, ისე იოანეს ღმერთისათვის უცხო არ არის ადამიანის მიწიერი ინტერესები. ისინი მოწოდებულ არიან „ადამიანთა მფარველად“, „ცოდვათა შესამსუბუქებლად“ და ყოვლის ვლახ კაცისათვის მეოხად. ღმერთის გაგების ასეთი შინაარსი კარგად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ მე-2 სტროფში. ხოლო „აღლუზიანში“ კი იგივე საკითხი ფართოდაა გამოხატული მე-3, მე-4 და მე-5 სტროფებში.

3. „ვეფხისტყაოსანთან“ ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოები ახლოსაა ძირითადი თემის გაცნობითაც. როგორც ვიცით, შ. რუსთაველი პროლოგში აღნიშნავს ვის საქებრადაა დაწერილი პოემა, ვისი ქება უბრძანეს მას და როგორ შეხვდა იგი ამ დავალებას; „აღლუზიანშიც“ ავტორი პოემის მთავარ საკითხს შესავალშივე გვაცნობს: „ხელჰყო წიგნების აღწერად. ვისგან ვართ შთამომავალი. ვინ ვისგან იწვდის ყოფასა. ვის გვართა გამომავალი“.

დიდად საყურადღებოა, აგრეთვე „ვეფხისტყაოსანსა“ და „აღლუზიანში“ ძირითად ამბავთა განმავითარებელი საკონფლიქტო მომენტების ურთიერთმსგავსებაც. კერძოდ. ინდოეთში მომხდარი ამბის, მთავარი საკონფლიქტო ეპიზოდი ტარიელისა და ნესტანის ბუნებრივი ტრფილის საწინააღმდეგო აქციებს უკავშირდება: ფარსადანი წინააღმდეგია ნესტანისა ოა ტარიელის შეუღლებისა, იგი ფორმალურად ტარიელის თანდასწრებით ვითომ ერთსულოვნად წყვეტს სასიძოს მოწვევის საკითხს. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობენ ახალგაზრდები. ამგვარადვე აღლუზონიც მამას შემოსწყურა იმის გამო, რომ იგი მას არ აძლევს ნებას შეირთოს კესარ-ხანის ქალი. აღლუზონის მამა უფრო მეტად სარწმუნოებრივ მხარეს აქცევს ყურადღებას, ვიდრე შვილის ბუნებრივ სამიჯნურო განწყობილებას. შვილი არ ემორჩილება მამის კონსერვატულ შეხე-

დულებას და უშუალო სამიჯნურო გრძნობების დაცვის გამო მამასა და შვილს შორის კონფლიქტი ყალიბდება.

კიდევ სხვა მასალების (მათ შორის ელჩის მოწვევისა და ჯარის დარაზმულობის დახასიათების შემხვედრი ფაქტების) მოძებნა შეიძლება „ვეფხისტყაოსანთან“ „აღლუზიანის“ რიგი სტროფების შინაარსობრივი სიახლოვის დასასაბუთებლად. მაგრამ, ვფიქრობთ, დამოწმებული მასალებითაც კარგად ჩანს, რამდენად ახლოსაა იოანეს პოემა შ. რუსთაველის ქმნილებასთან.

4. ამასთან ერთად, ჩვენს დაკვირვებას ადასტურებს ის ფაქტიც რომ „ვეფხისტყაოსანთან“ „აღლუზიანის“ სიახლოვე შეიმჩნევა არა მხოლოდ შინაარსობრივი მოცემულობით, არამედ ზოგიერთი ლექსიკური მასალის თითქმის ადეკვატური დამთხვევითაც. მაგალითად, „ჰე, ღმერთო ერთო“ (ვ. ტ.). „ღმერთო დიდო და მალალო“ (აღლ.), „შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“ (ვ. ტ.), „არსებად ქვეყნის მქმნელო“ (აღლ.), „ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერთა“ (ვ. ტ.), „ყოველთ ძლიერო. ყოვლითა, ქვეყნისა ფერა მცველო! (აღლ.). „ცოდვათა შემსუბუქება“ (ვ. ტ.), „ცოდვათა კაცთა მომკვლელო“ (აღლ.), „აწ ენა მინდა გამოთქმად“ (ვ. ტ.), „ხელეყო წიგნების აღწერად“ (აღლ.) და სხვ.

5. ზემოთ აღნიშნულთან ერთად ჩვენი ყურადღება მიიპყრო იოანეს მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერილ 147 ფურცელზე დართული ანდერძისა და „აღლუზიანის“ მეორე სტროფის მეორე ტაეპში ღმერთისადმი არსებითად ერთი და იგივე შინაარსის მიმართვამ. კერძოდ, ანდერძში რუსთაველის პოემის ღირსების აღსანიშნავად ნათქვამია: „დიდება ღვთისა ყოვლითა მსრულსა“. ასევე „აღლუზიანში“ ვკითხულობთ: „ღმერთო ყოვლად ნეტარო და სრულო“. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში ღმერთია ყოველთა სრულის, მოსაწონის შემქმნელი. პირველი მიზეზი. უფრო კონკრეტულად: ღმერთია ანდერძის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“, როგორც სრული და უზადო ნაწარმოების შთაგონებისა და შექმნის წყარო, ასევე „აღლუზიანშიც“ ღმერთი, როგორც ყოვლითა სრული არის „საუკუნეთა მათ მქნელი“, „ყოვლად ნეტარი და სრული“.

ჩვენი აზრით, ასეთი ლექსიკური და აზრობრივი დამთხვევა იოანესეული ანდერძისა და მისივე პოემის მეორე სტროფის ენობრივი მასალებისა არ არის შემთხვევითი. ამ ფაქტითაც დასტურდება, რომ ავტორი ანდერძისა, რომელსაც ხელს აწერს იოანე იაღლუზიძე 1811 წლის 21 აპრილს და პოემა „აღლუზიანისა“ ერ-

თი და იგივე პიროვნებაა. ეს გარემოება კი თავისთავად ერთხელ კიდევ ნათელს ჰფენს აკად. კ. კეკელიძის იმ ფუნდამენტურ მოსაზრებას, რომ იოანე იალღუზისძეა „აღღუზიანის“ ავტორი და არა სხვა ვინმე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც (ა. ბიზროვი, გ. ბესთაუთი), რომელიც. ჩვენი აზრით, სამართლიანად არ არის გაზიარებული მ. თედევის წერილში „აღღუზიანი და მისი ავტორი“.

6. გამოკვლევაში მოცემულია ცდა იოანე იალღუზისძის მსოფლმხედველობის გაგებისა. ვფიქრობთ, იოანეს მსოფლმხედველობით საგანძურს არსებითად ორი მნიშვნელოვანი წყარო ასაზრდოვებდა: ერთი—ქრისტიანული რელიგიური და ქართული ტრადიციული ფილოსოფიური აზროვნება, რომელსაც იგი სპეციალურად სწავლობდა ქართულ სკოლებში, და მეორე — შოთა რუსთაველის ჯგონებარე ჰუმანისტური შეხედულებები. მისი რჩენასანსული ასპექტი და აგრეთვე, ის ხალხური სიბრძნე, რომელსაც ბავშვობაში და შემდეგ იგი უნდა გააცნობოდა ოსი და ქართველი ხალხის ფოლკლორიდან.

მაგრამ იოანე იალღუზისძის მსოფლმხედველობის მხოლოდ ამ სარბიელზე ახსნა არ იქნებოდა საკმარისი. აქ უნდა იქნას გათვალისწინებული ის ახალი მოვლენებიც, რაც საქართველოს რუსეთთან შეერთებას და ამ პერიოდის დასაწყისის ოცდაათიან წლებამდე იოანეს მოღვაწეობას უკავშირდება. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1802 წელს სოფელ ვანათში შექმნილი სამენოვანი იურიდიული დოკუმენტი ქართველი და ოსი ხალხის ცხოვრებისეული ურთიერთობის შესახებ. იოანეს მასწავლებლად მუშაობდა და, ბოლოს, მისი მონაწილეობა სახელმწიფო სამხედრო აპარატთან მთიელ მცხოვრებთა ცალკეული საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებით.

7. ჩვენს ხელთ არსებული მასალების შესწავლით ნათელი გახდა ის ფაქტი, რომ იოანე იალღუზისძის მსოფლგაგება 1802 წლამდე ერთსახოვანია: იგი ერთგულია ფეოდალური საზოგადოების ყოფისა და თითქოს ვერ ხედავს იმ სოციალურ სიმძიმეს, რაც კლასობრივი თვალსაზრისით სინამდვილეში არსებობს.

სულ სხვა შინაარსისაა 1802 წელს შექმნილი სასამართლო დოკუმენტი. აქ საზოგადოებრივ ურთიერთობაში დანახულია კლასობრივი სოციალური რეალობა, მშრომელი ხალხის მჩაგვრელად აშ-

კარად დასახულია გაბატონებული კლასების წოდებრივი მდგომარეობა.

ჩვენ ვიზიარებთ მკვლევარ ნ. ჯუსოითის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იოანე იალღუზიძის მსოფლმხედველობის ეს მეტამორფოზა შეიძლება ახალი ეპოქის ზემოქმედებით აიხსნას, ხოლო მისი ქრისტიანულ-ალმსრულებლობითი იდეები კი, ჩვენი აზრით, შედეგია ძველი ქართული მწერლობისა და ფილოსოფიის იმ განსწავლულობით, რომელიც მან ქართულ კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში მიიღო.

იოანე იალღუზიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირველი პერიოდის მსოფლმხედველობა ფართოდაა ასახული პოემა „აღღუზიანში“. აქ ჩვენ მხატვრულად ვეცნობით ოსი ხალხის გმირულ ცხოვრებას, აღღუზიანის წარმომავლობას, ოსი ხალხის მეზობელ ხალხთა ისტორიულ სახეებს, საერთოდ, იმ ისტორიულ ყოფას, რომელიც თავისუფლებისათვის მებრძოლ ოს ხალხს ჰქონია გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში.

8. ჩვენ პრინციპულად არ ვიზიარებთ იმ შეხედულებას თითქოს პოემაში არავითარი ისტორიული სინამდვილე არ იყო ასახული. ეს ფართო კვლევის საგანია, ამჯერად მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ იოანე მხატვრულად ოსი ხალხის ისტორიულად ცხოვრებასა და ისტორიულ პირებთან ერთად გვაცნობს ქართველი ხალხის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც გარკვეული ურთიერთობა ჰქონიათ დავით სოსლანთან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოეტი დავით სოსლანთან დაკავშირებულ ქართველი ისტორიული პიროვნებების მხატვრულად წარმოჩენისას ხელმძღვანელობს ქართული ისტორიოგრაფიული მატრიანებით და უნდა ითქვას, ამ ძეგლების კარგ ცოდნასაც ამჟღავნებს.

ამ მხრივ საანალიზოდ შევარჩიეთ ნაწარმოების მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 სტროფები, სადაც, ჩვენი დაკვირვებით, მხატვრულად გადმოცემულია ოსი და ქართველი ხალხების ისტორიული ცხოვრების არა ერთი დიდად საყურადღებო ფაქტი.

9. პოემაში ასახულმა ძირითადმა ამბავმა ბუნებრივად განაპირობა პოეტის შემოქმედებითი დამოკიდებულება ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან. ეტყობა, იოანე იალღუზიძეს ჯერ კიდევ ბავშვობაში, სანამ თბილისში სასწავლებლად წაიყვანდნენ, თავის ოჯახში კარგად შეუთვისებია ოსური ფოლკლორი, ამასთან ერთად იგი შემდგომში ინტერესით გაცნობია ქართულ ზეპირსიტყვიერ-

ბასაც. ასე. რომ პოემაში ასახული ფოლკლორული მასალების შესწავლისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს, როგორც ქართული, ისე ოსური ფოლკლორული სიბრძნე.

სათანადო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „აღლუზიანში“ წარმოდგენილი ფოლკლორული მასალები თუ ელემენტები ავტორს უბრალოდ სამკაულისათვის კი არა აქვს მოხმობილი, არამედ საგანგებოდ მხატვრული ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის. უფრო კონკრეტულად: ჩვენი დაკვირვებით, პოემაში გამოყენებული ფოლკლორული მასალების უპირველესი მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულება ისაა, რომ ა) ხელი შეუწყოს ტექსტში ასახული სიუჟეტური შინაარსის დინამიკურ განვითარებას და ბ) დამაჯერებლად გვიჩვენოს კონკრეტულ სიტუაციურ შემთხვევაში რა როლს ასრულებს ესა თუ ის ზეპირსიტყვიერი მასალა პერსონაჟის ქცევაში, მისი ინდივიდუალური სახის დახასიათებაში.

10. ძირითადად პოეტს „აღლუზიანში“ მიზნობრივად გამოუყენებია ისეთი ფოლკლორული მოტივები, როგორცაა: სიზმრის ნახვით სასურველი მოლოდინის წინასწარ წარმოსახვა, ერთგული ცოლ-ქმრის ტრფილის ტრაგიკული დასასრული, ფალანგების შერკინება, ცალკეული პერსონაჟების ძლიერი ხმიანობა, როგორც მათი სიმკაცრისა და დაუნდობლობის დახასიათება. ზღაპრული პერსონაჟის ოქროს თმა და სხვ.

შინაარსობლივი და მხატვრული თვალსაზრისით პოემაში გამოყენებული ფოლკლორული მასალები დინამიკური და სტატიკური მოტივების ფარგლებში ერთიანდება.

11. ამასთან დიდად საგულისხმოა ის გარემოება, რომ პოეტს უცვლელად. შტამპის სახით კი არ გადააქვს პოემაში ფოლკლორული მასალა, არამედ, შემოქმედებითად ამუშავებს მას, ხან ამოკლებს, ან ავრცობს და მასში შეაქვს ისეთი პასაჟები და შტრიხები, რომელიც უფრო შთამბეჭდავად და დამაჯერებლად დაგვიხატავს ამა თუ იმ პერსონაჟის ქცევას, მაგალითად, მრავალთა შორის, ამ მხრივ საინტერესოა ეთერის ტრაგიკული სიკვდილის ეპიზოდი და სხვ.

12. კიდევ უფრო საინტერესოა პოემის მთლიანი მხატვრული პალიტრა, რომელსაც პოეტი მიმართავს როგორც თავისი წინაპრების გმირული ისტორიის საჩვენებლად, ასევე მათი ზნეობრივი სახის წარმოსაჩენადაც.

ამ საკითხთან დაკავშირებით გვსურს შევნიშნოთ, რომ „აღლუზიანის“ მხატვრული იდეები ნათელია. მას სურს თავის მოძ-

მეებს აუხსნას, ჩააგონოს რაოდენ ამახინჯებს ადამიანის სულს მკრეხელობა, ქიშპობა, თავისივე შესაძლებლობის გაზვიადებულად წარმოდგენა, შინაური ამბოხი, მხოლოდ თავისივე პიროვნულ შესაძლებლობაზე დაყრდნობა, ცუდად ქცევა და ყოფსა.

ამ თვალსაზრისით დიდად მნიშვნელოვანია პოემის პირველი თავის დასასრული. აქ ავტორი გვაცნობს ჩერქეზეთში კეთილად მისულ ალღუზონს, რომელიც თავისავე „დედაქალაქში დაბრძანებულა“. გაუმართავს მეჭლისი, მოუწვევა ორივე სამეფოს წარმომადგენლები და მათთვის სპეციალური ზნეობრივი შინაარსის დარიგება მიუცია.

13. ეს ზნეობრივი დარიგება მოცულობით ხუთ სტროფს შეადგენს. ამ მასალით ფაქტიურად მთავრდება პოემის პირველი თავი. იგი შინაარსობლივად თითქოს განსხვავდება ალღუზონის გმირული თავგადასავლისაგან, მაგრამ, მხოლოდ, ერთი შეხედვით. ფაქტიურად კი ავტორს თხზულების ამ მონაკვეთში კვლავ თავისი ხალხის ბედი აინტერესებს და იმ გმირულ წარსულთან ერთად, რაც მკითხველს გააცნო, მსჯელობს ადამიანთა ისეთ ზნეობრივსა და მოქალაქეობრივ ღირებულებებზე, რაც მისი აზრით უნდა ამკობდეს და ამალლებდეს ხალხს. ამასთან ერთად თხზულების ეს მონაკვეთი სპეციფიკურია თბრობის თავისებურებითაც. კერძოდ, აქ მხატვრული თუ დიდაქტიკური მოძღვრება გადმოცემულია არა მშრალად, თუნდაც დარიგების სახით, არამედ თბრობის სრულიად განსხვავებული ქარგით — იგავებით და ამდენად ავტორისათვის უფრო გაიოლებულია და დამაჯერებელია იმ ამოცანის გადაწყვეტა, რაც მას დაუსახავს თავისი ხალხის „ყოფაქცევის“ გასაკეთილშობილებლად.

14. პოემიდან იგავთმეტყველების საილუსტრაციოდ შეირჩა: ა) იგავი მკვეხთა კვეხართა, ბ) იგავი მებალისა, გ) იგავი სხვის დასალუჰად ორმოს მთხრელისა, დ) იგავი მოქიშპეთათვის. აქვეა განალიზებული ერთი შეგონებაც, რა არის უმჯობესი ვაჟკაცისათვის.

15. პოემის მხატვრული ფორმის ორგანული ნაწილია ფერთა სამყარო, რომელიც პოეტს შეუერჩევია ოსი ხალხის გმირული ცხოვრებისეული თავგადასავლის მხატვრულად გასაცნობად. ეს სამყარო ძალზე უხვია. მას იოანე დიდი მონდომებით იყენებს და ამის საფუძველზე შესამჩნევად ამდიდრებს ნაწარმოების მხატვრულობას.

სამყაროში არსებულ უამრავ ფერთა ტალღებიდან, რომელიც

პოეტს პირველ რიგში ბავშვობაში შეიძლებოდა გაეცნო, ნაწარმოებში კანონიერი ასახვა უპოვნია მხოლოდ იმ ფერებს. რომლებიც მას პოზიციურ განწყობილებას შეეფერება და კონკრეტულ მხატვრულ სიტუაციაში შთაბეჭდვად გვაცნობს პოემის ცალკეულ პერსონაჟთა ინდივიდუალობას.

16. პოემაში ასახული ფერები შინაარსობლივად ორგვარია: აბსტრაქტული და კონკრეტული. აბსტრაქტული ფერების სახელებია: შავი, წითელი, ყვითელი, თეთრი და მწვანე ფერები.

კონკრეტული ფერის მატარებელი სახელებია: ოქროს მსგავსი, ოქროსიერი, ცეცხლის ფერი, ცეცხლის ალი, სისხლის ფერი, მზე მოშუქარი, ბალი სავესე, ალისფერნი კარნი, თვალთ-მოსაღხინები, თვალთ-საჩინონი, აღმასებრი, ვერცხლისფერი, ბროლისა, შავი ჰაზრი, შუქნი მთვარისა, ქარვისებრი, ტუჩთა ვარდებრ ფენოვანი და სხვ.

თემატიკური შინაარსისა და ტონალობის მიხედვით პოემაში გვხვდება შემდეგი სახის ძირითადი ფერები: წითელი, შავი, ყვითელი, თეთრი, მწვანე ფერები.

17. როგორც აღვნიშნეთ, სპეციალურ ლიტერატურაში ფერთა მრავალსახოვან ფუნქციას მხატვრულ ნაწარმოებში ძირითადად განსაზღვრავენ აზრობრივი, აღწერითი და ემოციური თვალსაზრისით. არის ფერთა გამოყენების ისეთი მოდელიც, რითაც ფერების ელვარებას უკავშირებენ სახეებს, საგნებს და თვით ფერებს (ნ. კ. მალინაუსკენე) დაბოლოს, ფერში თუ ფერებში ხედავენ მრავალპლანის შინაარსიან პლასტს (რ. ვ. ალიმპიევა).

18. ჩვენი დაკვირვებით მხატვრულ ნაწარმოებში ფერთამეტყველებას ძირითადად გამოხატვის ორი პლანი აქვს: ერთი — მიზნობრივი, უშუალო. რაშიც ვლინდება ნაწარმოების ავტორის მსოფლმხედველობითი პოზიცია და მეორე, ამ პოზიციის გამოხატვის შუალობითი საგნობრივ-ყოფითი პლანი. რის მეშვეობითაც რეალიზდება მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი.

თავისთავად ცხადია, რომ სიტყვათა სემანტიკური პლასტიდან რომელიმე ფენის გამოყოფასა და მის მიხედვით სუბიექტურ ემოციური ღირებულების შექმნაში მკითხველს განსაკუთრებით ეხმარება ის სიტუაციური მომენტი, რომელსაც ვეცნობით და რაც არსებითია, ის ტექსტი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სიტყვაა წარმოდგენილი.

19. ასე, რომ ფერთამეტყველების მთლიანი ალგორითმის გთვალისწინებით შესაძლოა ერთი ძირითადი ფერის ტონალობის

სიტყვა სხვადასხვა კონტექსტსა და სიტუაციაში მკითხველმა სხვადასხვა შინაარსობლივი ასპექტით შეიცნოს. მაგალითად, პოემაში ცნება შავი ფერის შინაარსი წარმოდგენილია შემდეგი განსხვავებული გაგებით:

- შ ა ვ ი ფ ე რ ი: ა) ძლიერი, გმირული ბუნების ადამიანის დამახასიათებელი (63, 2, 270, 4)
ბ) მწუხარების გამომხატველი (112,2)
გ) უიმედობის მაჩვენებელი (116,2)
დ) ძალიან საწყენი არასასიამოვნო აზრის შემცველი (170,3)
ე) მგლოვიარე რიტუალის აღმნიშვნელი (208, 3)
ვ) ბოროტი, ცუდი განზრახვის მაუწყებელი (170, 3)

20. საყურადღებოა საერთოდ პოემის ენა. ჩვენი აზრით, იგი არსებითად მიჰყვება ძველი ქართული ენის ნორმებს. კერძოდ, ორთოგრაფია, ლექსიკა, წინადადების აგების სტრუქტურა და ზოგი სხვა ძირითადად ძველი ქართულიდან მომდინარეობს, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ძველი ქართულის გავლენა ძალზე იგრძნობა ლექსებში, ავტობიოგრაფიასა და სხვა წერილობით მასალებში, შედარებით ნაკლებად პოემაში და თითქმის არ ჩანს ვანათის სასოფლო-სასამართლო განჩინებაში. ამასთან ერთად, ნაკლებად გასაზიარებელია ის მოსაზრება, თითქოს — „აღლუზიანის“ ენა XVIII საუკუნის ქართული მწერლობის ენაზე უფრო არქაულია და მისი სტილი უფრო დამახასიათებელია XIV—XVI საუკუნეების მწერლობისათვის.



ლექსები
და
პლემბა

**(მიძღვნილი იოანე ბატონიშვილის მეუღლე ქეთევანისადმი)
იამბიკონი**

მიმიყვანა აწ პაჭრმან საწადილომან,
ერაბამების ვინადგან ამა დღესა,
ფრენად გონებას ფრთითა საცნაურითა,
ისწრაფის ამაღ უწურთველთა გონებად.
სიხარულითა და ნიშანთა წარმოჩენა.

სიტყვაი ღმერთი ჩვენდა მოსული ზეცით.
ძალთა ბოროტთა სრულად დამხოვილ ჰყოფ,
ამაღ ვიმრთელებ მე ამა კნინთა ხმითა,
ლომმან იუდას პირთაგან აღმოსრულმან.
ყოვლისა ფეროს სისრულე თქვენთა ნები.

ქრისტეს შობაი ვითარ ყოვლად მანუგეშ არს,
ეგ სახეთ თქვენა გუჟაროს მოწუალემან,
თქვენდა ერთ ზორციო. უჯანათლებულესით
აღსაესე ნებით, ორგულთა მოკუდუნებით,
ვნახო თქვენი ძე სქემებრ ამაღლებული.

ანგელთ დასთაგან უვენებლად დაცულნი,
ნებათა თქვენთა სისრულეთა წვევათა,
ბრძენთა შობრძანებამ, ბოროტთა განმაძემან,
ამას საჩინოს ნამდვილ საღმრთოსა დღესა,
სიხარულთ სრული გაგოსთ მრავალთა წელთა.

წადილ მაჩენნი, გარნა არად საჩენნი,
იცნო ჩემ შორის პაჭრმან სათანადომან,
ორკეც ცხოვრებით: სანებოდ ღვთისა მუოფნი,
სუფევეითამცა ხართ თვით და ყოველთ თქვენით,
ეს მცირე ხმანი თუმცა ჩემგანვე ხმანი (2130, გვ. 12);

ზოგისათვის თქმული იამბიკო:

**დღეს საიდუმლო უცხო და დიდებული,
დღეს ქუაბი მცირე ცათა მიემსგავსების,
დღეს ყოვლად წმინდა ქალწული ხერუვიმობს,
დღეს ბედთა სახით სამყაროდ აღმოსჩნდების,
იყავნ დიდებული იგი ჩვენთვის ყრმაებული (იქვე).**

ქველი მწარლობა

აღღუზიანი

პოემა

გამოცემული
ნ. გამრეკელისაგან

თბილისი

არ. კალანდაძის სტამბა ლ-მელიქოვის ქ. მესხიევის შენ.
1885

წინასიტყვაობა

პოემა „აღლუზიანი“ წარმოდგენს იშვიათ და განსაკუთრებით მაგალითსა ქართულ პოეტიკურ ლიტერატურაში. ამას საგნათ აქვს არა თუ დამალული, ან დახშული სხვათ ფერადებთა შინა სიყვარული და განუცხადავი, ან აუხსნელი მოქმედება, ალაგი და პირნი მოქმედებისა; ხოლო ეს არის სრული თავის მნიშვნელობით ეპიური პოემა, რომელიცა გადმოგვცემს ისტორიულ მოთხრობას, ე. ი. უცნობ ქართული მატრიანებისათვის მამაცობასა ქელმწიფას შვილისა აღლუზონისასა.

ამ პოემაში წარმოდგენილია სურათი აღლუზისა, „მოტაცება ძისგახ თავისი მიჯნურისა, განშორება თავის მამისაგან, გასვლა კავკასიის მთებში, ბრძოლა მრავალთა მთის ხალხთა, ამას აქვს ნამდვილი ისტორიული ნიადაგი, რომელიც არის აღნიშნული ქართულ ისტორიაში. ბალათარები იყვნენ რამდენიმე და მოხსენებულნი არიან ქართლის ცხოვრებაში გამოცემული ს. კბ. ფურც. 118 და 437. ერთი ოს ბალათარი დიდის მძლავრული სურათით გვეხატება საქართველოსი ვახტანგ ძე დიმიტრი მეფის ბაგრატიონის დროს. ბრძოლა ამისი სწერია „ქართლის ცხოვრებაში“; „მაშინ ბალათარ წარულო გამრეკელსა, კახას ძესა, ციხე რამისა⁷⁰“. ვგონებ ეს სხვა არის.

გვარი გამრეკელი არის მთავართა გვარი (გეოგრაფია ვახუშტისა ს. კბ. 1842, ფურცელი 30), გამოჩენილი მოუწყვეტელი მოქმედებითა, აღმოსავლეთის ისტორიაში, როგორც სჩანს „ქართლის ცხოვრებაში“ 229, 283, 296, 295, 297, 362, 371, 375, 377, 378. 442. 444 ფურც.; აგრეთვე ამ გვარს მოიხსენიებენ ვიზანტიის ისტორიკოსნი და სომხებისაც: სუმბათ სპარაპეტ, მათეოს ედესკელი, ახოლიკი და მრავალნი სხვანი.

ამ პოემაში ასლან გამრეკელი იწოდება „გმირადა“ და „ლომ-

⁷⁰ ეხლანდელი სურამი.

გმირად“. ეს წოდება არ აიხსნება მოლექსის ალტაცებითა, რადგან ის როგორც ჩამომავალი ალღუზონისა უნდა გამრეკელზე ყოფილიყო გულნაკლული. მაგრამ რახან ამ გვარს, გამრეკელს, ამ სახით (ლომათ, გმირათ) წარმოადგენენ ძველი ისტორიკები ჩვენ გარდა გარეშე ხალხისა და თვითცა სომხისანიცა — სუმბატ სპასპეტი გამრეკელს უწოდებს ზორ-ქაჩიკი (გამოუთქმელ ვაჟაკად) მათეოს ედესელი ასოლიკი და უწოდებენ გამრეკელებს ლომებად. (მაშინ ახალციხელნი გამრეკელნი მესხელები ძმანი ბრძოდნენ ვითარცა ლომნი, ისინი შავარდნენ გულში ჯარის გუნდის და ვისცა დაარტყამდნენ მახვილს, ჰკვეთდნენ შუა-შუა), ამის გამო, როგორც დიდ ნასწავლმან დავიდ სოსლანმა აღარ მოინდომა დამცირება ისტორიული ღირსების გვარისა ხალხის ხსოვიარებაში არი ეს მეტი წოდება დანერგული: დიდმა პოეტმა გრიგორ ორბელიანმა თავის ლექსებში „სადღეგრძელო“ მოიხსენა, რო დროშას თამარისას მოსდევს გამრეკელი ლომებრ ბრძოლელი; ამავე ლექსში არის ერთოდე ისტორიული შეცდომა. რახან ეს გვარი ბოლოს არის ნახსენები, როდესაც ის იყო პირველი, მაგრამ ეს არის პოეტიკური ალტაცება. ამ პოემას ვბეჭდამთ როგორც ისტორიულ მასალას ოსეთისა და მისი დიდი მეფის ბაღათარისა, რომელიც ჯერ კიდევ ხსოვნაშია ხალხისა, იხილვ: Сборник о Кавказских горцах, выпуск 4-ый материал для истории Осетии. ეს პოემა გარდა დიდ მის მნიშვნელობისა საქართველო პოეტიკური ლიტერატურისთვის აძლევს ახალს ნათელს დახშულ ისტორიას ოსეთის სამეფოსი და ვგონებ რო ეს არის დაწერილი თვით მეორე ქმრისაგან თამარ დედოფლისა, დავიდ სოსლანისაგან იმ დროს, როდესაც მას უნდოდა მიეღო ნება დართვა დედოფალ თამარისაგან ქმრობისა: ამ პოემით დაუმტკიცა სარწმუნოება, ჩამომავლობა და თვისი განათლება.

ვხდი საჭიროთ მიუმატო: პირველად, რომ ეს პოემა არის ნაპოვი მღვდელი იოანე რუსიევისაგან ნარ ნუზალის ეკლესიაში და როგორც შეგვიტყვია მისგან ჰქონდა სათაური აღუსტიან-ალღუზო-რუსიანი. სარაგონ ჭახილონი და მეორედ, რახან ეს პოემა იბეჭდება არა დედნისაგაა ნამდვილი რომ უნდა გამოჩნდნენ ზოგიერთი დამახინჯებული სიტყვები.

ნ. გამრეკელი.

აღსანი

1. ღმერთო დიდო და მაღალო, გონებით მიუწდომელო
ერთო საშვიროვნებითა, კაცთაგან გამოუთქმელო,
მამაო, ძიო, სულის წმინდით, არსებად ქვეყნისა მქნელო,
ყოვლის დიდებით შემკულო და სიბრძნით გამოუთქმელო.
2. საუკუნევ საუკუნეთ, საუკუნეთა მათ მქნელო,
ყოვლად ნეტარო და სრულო, საქმით გამოუკვლეველო,
ყოველთა გულთ მეცნიერო, მართალო მართალ გულთა მცდელო,
ყოვლად ძლიერო ყოვლითა, ქვეყანისა ფერად მცველო.
3. წყაროვ ყოვლის კეთილისა დაცემულ კაცთა მნათველო,
მრავალი მოწუალებითა, ცოდვთა კაცთა მომკვლელო,
კაცთ მოუვარებით უენითა, ძიოთა უენითა მომხელელო,
მსახურებითა უენითა, წყევისა ჩვენისა მშლელო.
4. ამა ყოვლით ნებით უენით, სრულო, დიდო და მფარველო,
ყოველნი უენნი საქმენი საკვირველ არს სამუენელო.
ყოვლის გლახაკ კაცისათვის მეოხო, მათ სულთა მშველო,
ყოველთ კაცთა გულთა მცდელო, გარე შემოუწერელო.
5. ჭვარცმულის ძისა სიკვდილის სიხარულადა შემცვლელო
ყოველთ მოწრმუნეთა უენთა სასუფეველში გამცდელო,
ცოდვილთ კაცთა შემწუნარებელ, მათ გვაშთ ახლად სულის
მდგმელო,
შემიწუალე მე ცოდვილი ცათ და ქვეყნის მფლობელო.
6. ქვეყნის ნუგეშის საცემლად სულის წმიდის მომვლენელო,
შეკრულ, შებილწულ ქვეყნისა ახლად განმანათლებელო,
გაქვს ყოველი ძალი. ღმერთო, წულულებანი ვანმიმთელო.
გონებას ჩემს ჰმატო სწავლა, სულისა ჩემის ნათელო.
7. ხელ-ვპყო წიგნებს აღწერადა ვის გვარ ვართ შთამომავალი
ვინ ვისგან იწვდის ყოფისა, ვის გვართა გამომავალი,
ვინ ვის გვართაგან ძეობდეს, ვინ ვისგან არს მომავალი
და ვინ ვითარი გასწია მხნეობა ხმელეთს მავალი.

8. აღწერო ყველა გონივრად, მართლად, არა რა შეეშალო, რაც მომხდარა ჩვენში კარგი, ვიწყო და არ დავიშალო, თუ როგორის ცხოვრებითა ჩვენმან მყოფობამან განვლო. შეწვევითა ქრისტეს ღვთისა უოფილი ესრეთ მოვთვალო.
9. ო ს თ მ ე ფ ე ს ძ ლ ი ე რ ს ი ტ უ ო დ ე ნ : ფრანგნი, ხაზარნი, ვლახელნი, სახელს უღებდენ ბაყათრად, ფავოკეთ მგზავის მნახველნი შეენებით, ძალით, მხნეობით, უოველთ აკვირვა მნახველნი ეს სწერა პირშო მის ძემან სოსლან აცდუნა სხვა მთქმელნი.
10. ხისაგან დავით მეფისა მოსწულა შტო ერთი ვნებული, იყო სუნითა სუნნელი და ედემ ბაღსა ნერგული, რომელ წარილო იგ ქარმან ზღვის პირსა დასო ქებული, და მოაზღუდინა კიდენი, ყველა ჰყო მათ ვალდებული.
11. აღმოსცენდა იგი მშვენად არვის ესმა განგებული, აღორძინდა, აღმოსცენდა შტონი მეტად ქადებული, ესრეთ რომ მხედს ელეოდა აქა მყოფთა მალე გული. მაგრამ ერთმან დრომან დასცა იგ ტოტებით დანაგრული!
12. იქ დაშთა კიდევ ერთი შტო, მხოლოდ ძირზედ ნამყნეული ის აღორძინდა, რადგან იყო ძირით სავე აღვსებული, უოველითა კეთილ საზრდელით, მხოლოდ მას ძიდას ძებული რომელ მუნით ინაყოფა, უმეტესად სავედ გული.
13. ამის გამო აღუშენა ტახტი ესრედ განგებული, მსჯულის დებაზე ბერძენთა აღმოლვიდა რა ქებული, ტახტსა დასჯდეს მეფე დიდი თვით განგებით დიდებული სიტყვისაებრ ძლიერ ღვთისა, დავით მეფისა გებული.
14. შენგნით, დავით, გამოვიდნენ მეფენი დიდად ქებულნი, საყდარსაზე სამჯავროსი, შეუძვრელად ქადებულნი, ჰფუცოს და არ შეანანოს ღმერთმან იგი თვისნი თქმულნი. „თესლი მისი განამრავლოს, ვით ქვიშანი ზღვის ურწყულნი!“
15. იესოვან დავითიან გვართაგან სოლომონ ბრძნულნი, იყვნენ ძენი და ძის ძენი დიდნი გვამნი და გრძნულნი, ესრედ შემდგომად თბრობანი, ჩვენ მისნი გვარნი ქებულნი, პირველ თათთა ძეთა მათგან, ჩვენ ამ გვარად გამოსულნი.
16. ოდეს პირველად დამსახმან ღმერთმან ცისა და ქვეყნისამ, ინება კეთილ დღეობა, ჩვენმან მართლად მწვრთნელმან და სხვისამ, განშენება ჩვენის გვარის, ვერა გვჯაბნოს ხმალმან სხვისამ, განიხარგრძელოს დიდებით მკლავმან ჩვენმან, კრამან ხმლისამ.

17. მაშინ ერთის დიდის მეფის ავლუსტ კეისარ ბერძნისგან, გამოვიდნენ მისნი ძენი-მშვენიერ მის ახოვანისგან, ერთის სახელ ალლუზონ ბრძენ გმირი იყო თვით ღვთისაგან და სხვანი ძენი, მის მეფის მშვენი, იყვნენ თვით ღვთისაგან.

18. ალლუზონ მამას შემოსწერა გადმოიარა დიდ მთანი, ამისთვის რომ ნებას არ ჰქვა: ქალს აძლევდა კესარ-ხანი, უარს ჰყოფდა მისთვის მამა, უსჯულოა მეფე ხანი, მარამ ალლუზ არ იშლიდა ქალის მშვენიით იყო მთვრალი.

19. მისთვის პირმშო შეიღებამ, მოსწყვატა ალლუზის მამან; მემკვიდრობა მისის ტახტის მთაბარა უმცროს ძმამან; უმფროსი, უმცროსად იქნა ეს იწყინა ალლუზონმან, მისთვის მოიტაცა მშვენი ქალი, ვერ შეუტყო სხვამან.

20. რა შეუტყეს, მოეწივნენ, შეაუენა იგი ჭარმან. განუფანტეს ცოტა ჭარი, არ უთმინა გულის ჭავრმან გადმოხტა მაშინ ალლუზონ ხმლითა ჰკაფა იგი ცხარმან, აღმოსწყვითნა სრულ ყოველნი, ვით მშეირნი იგ მადლარმან.

21. გამოირეკა ოტებით და თვით მოჰყვა ხლმით შინამდე, თვით კოშკისა დედოფლისა სადედოფლოს ტახტს ძირამდე, ძირით მოჰფხვრა იგ გალავნით, აღმოსწიღნა საძირკველამდე, ბევრნი მოსრნა დიდებულნი, იმა დღესა მიმწუხვრამდე.

უმძვინვარესად იბრძოდა, ვერ ვინ გაუძლო მის მძალმან, ვისაც მკლავი მოუქნია, ყველა მოსრა იმის ხმალმან, შორით ვაქილნი იძახდენ: ეს რა მოიხდინა ქალმან, მისისა მიწეზობითა დიდნიც მოგვსრნა ალლუზონმან.

22. თვით იგი კოშკი გებული ქალისა მის მშვენისათვის, კესარხნის პირმშო ასულის, ესთერის ბრწყინვალისათვის, დაანგრია თვით საძირით, არვის ესმა იგ რისათვის? რომელ ალლუზონ მცირეა, არამედ სთქვან დიდი მისთვის.

23. ორსავე მხარეს მოუდგა მცირის ჭარით მეფის კერძთა, გარდერია ორფოთებით, ვით მშეირი მგელი ვერძთა, განიფანტა მტერნი თვისნი, მუსრა, შეუდგა მათ მტერთა, დაბრუნდა მამაცობითა ვითა თვალნი ეტლის ღერძთა.

24. ვერღავინ გაუძლო ხმალსა ალლუზის, გაიქცნენ ბევრნი, არცაღა გულმან შეუძლოთ სხვათაცა გაიქცნენ მცქერნი. თუ არ ვის გვიხილავს მზგავსი ომი ვაჟკაცების მშვენი სადაც ერთი არ გადურჩა ვინც მისდა გავიდნენ მდევრნი.

26. თითქმის მეფენიც შეწუხდნენ და კვირობდნენ მის ზნეობას, თუ ვითარ იბრძვის მართლად, ერთი ამტელი ეობას, აწ უკვე ჩვენდა მოილტვის განგვაქარებებს ჩვენ ღღეობას? ვა, თუ ჩვენც არ დაგვინანოს არ დამორჩილდეს ზაობას.
27. მაშინ ვიხილავთ კესარ ხანს შამის ქვეყანას შქებასა თუ ვითარის სიამაყით, სიძეთ იტყვის ალღუზს მგებსა. მისა რომელ ნებას არ ვუყ. კადრებასა მის მოუყრებასა, არ ვიკადრე ქალი სძლადა ალღუზისა კულსა მდებსა.
28. იტყულა ნეტარ მობრუნდეს, მშვიდობასა აქ დაეგოს, რომ მე, მისისა მხნეობის შქები ვარ, ესე გაეგოს, მოვიდეს თვისევე სამუოფსა და ხმალი ქარქაშს ჩაეგოს, მარამ ალღუზონ თავის გზას ხდგა, მშვიდობით არ რა წაეგოს.
29. მოდიოდა ცოტას ჭარით, სიხარულით სხვისა თანა, გაღმოიარა სულ მთა-მთა და მივიდა ჩერქეზთანა, მთანი ღიღნი კავკავისნი მას ეყრთოდენ ხლმისათანა, ხმისა ზარით მოვიდოდა, არსად თქმულ არს იმისთანა.
30. ჩერქეზეთის ბატონობა და მეფობა დაიშკვიდრა. ტახტსა დასჭდა დიდებულსა, თავს გვირგვინი დაიდგა რა გაიგეს ეს ჩეჩენთა. შეუემ მას ხმა დაუშლიდრა. დაღონდა ბატონი მეფე, მანვე მსწრაფლად მიიმჩიდრა.
31. განუცხადეს ალღუზს ომი და წართმევა მშვენიის ქალის „ან მოდი თავი დაგვეყარ, ტრფობა გვესმა დიდი სძალის, ან გამოდი და გვეომე. თუ ღონე გაქვს დიდის ძალის, თუ არა და დაიკარვე, ნუ გაქვს ტრფობა დედოფალის“.
32. ეს ალღუზმა გააგონა. გულითა აღუღდებოდა. აგრეთვე მშვენი ქელმწიფა ძლიერად შეწუხდებოდა. ამისთვის. რომ დამშვიდებას ჭარი ზევრი უნდებოდა, ამ ჭავრით და შეწუხებით თითქმის მშვენი უკვდებოდა.
33. მას ალღუზი გულს უტყობდა, მის დარღითა შეყრთებოდა, ღმერთი ჩვენი მოწყალე არს, მშვენს კი ფერი უყრთებოდა. ნუ გეშინის ქელმწიფაო, ღვთით ვინ წინ აღგვიდგებოდა. როდესაც მე ხმაღს ხელს ვყოფდი, ვინ წინა დამიდგებოდა!
34. აწცა იხილე. სიციცხლეც, თუ ღვთისაგან რამოსდება იმედი მაქვს ღვთისაგანა სამსახური არ წახდება, თუ ხელი ვუაე ხმაღს ღვთის ძალით მტერი წინ ვერ დამიხვდება. ჭერე მართო ხლმისა ელვით და ხმით მტერი დამიფრთხება.
35. სიზმარიცა ვნახე კარგი: მტრედი თავზედან მაქდა მე, ოქროსოვანი ბისონი მეცვა ტანსა და მშვენდა მე,

მისი მეტად სიბრწყინვალე გონებასა მტაცებდა მე,
უმალღესს ქვეყნის გულს ტახტს მჭლომს თავს გვირგვინი ღამედგა მე.

36. აწ ესრეთს მათს საუბარსა საკვირველად რომ მომხდარან,
გადმოსულან ორნივ მეფე და ცხენიღამ გადმომხდარან,
შეკრებილან ხანოვანნი ჩერქეზთა ალღუს მომხდარან:
თუ მეფე ხარ და ბატონი გვიშველე დრო ჩვენ წამხდარან.
37. აქ ბატონი ალღუშ მეფე მოიჭურვა საომრათა,
აბჯრები და ჭაქვ-ჩაჩქანი ტანთ ჩაიცვა სიჩქარითა
ერთი ბრძანა: მსწრაფლ გამოდიოთ საომრად ხმისა ზარითა,
შეპკრბით ჩერქეზნო და ოვსნო და გამოდიოთ თქვენ ფარითა.
38. თვის სამეფოს ზღუდის ახლო დაჰხვდა სულისა მწარითა,
სამ რიგად გაჰყო ჭარები და დააუნა კარითა.
ყოველთა ჩემთა გესმოდეთ. არვინ მომეცეთ შარითა,
და საცა მე დაგიბაროთ, თქვენ იქვე დამხვდით ფარითა.
39. წარგზავნა ელჩი ალღუშონ ესრეთის საუბარითა:
„გამობრძანდით საომარსა მინდორსა, თქვენის ჭარითა,
„მეც მეფე ვარ. მეფის შვილი, და თქვენზედ დიდი გვარითა
„სამართლით თუ მომეცევიოთ, მეც ეგრეთ მაგვე გვარითა“.
40. უსამართლოდ ჰყოფთ ამასა, რომ მომიხდეთ მუქარითა,
წინათვე რისათვის ღელავთ, ვით გემი ზღვასა ქარითა?
შემირხიეთი ფარ-ხმალთ, მკიდარნი მე აბჯარითა,
ორნი მოსდინხართ ჩემზედა, სხვანიც კი მიიხმარითა?..
41. შავისა ზღვისა ვეშასა. ვით ევირვების ფრთხილობა?
ისევ თქვენ გამოგადგებათ ეგ თქვენი კარგი ზღულობა
ქკუით უხუცნი მეგონეთ, მარ გქონიათ უმაწვილობა,
ერთის პირმთავარ მეფასთვის ორთავეთ გაქვსთ მოცილობა.
42. ამა სიტყვით განუცხადა მათი ომში გარჯილობა,
ელჩი მიხვდა მეფეთ წინა, მათ ჰქონდათ მუნ გაწილობა:
„ერთისა მხრით თქვენ წამოდით გაუმწაროთ სადილობა,
მეორით მე შევეუტევ მას, არა ჰქონდეს ხადილობა“.
43. გამოხდა ჭარი ნონთ მეფის წინად მხრით მომდინარებით,
მღრეველნი საშიშისა ხმით „ჰილა ჰილაჰს“ ძახებით;
ყოველს მათგანს ხელ ევირა შვილდ-ისარ მოწინარებით,
მათი ხმა ველად ისმოდა, მსმენნი ჰსტირდენ მღულარებით.
44. აღუმაღლეს ბანის ხმასა თან-და-თან მოქიქარებით,
ცხენსა იჭდნენ ქუსლსა ჰსცემდნენ და მორბოდენ მოჩქარებით
შეტუსულ იყვნენ შავ-ყვითლად თვალთ აქუტდნენ მწიქარებით,
ცხვირი არ უჩნდათ და თვალნი მოდიოდენ მუქარებით.

45. შეუშინდა ალღუს ჩარი, რა იხილა ნონთა ჩარი,
შედგა მართლად რაზმი ალღუზის, და შეიქმნენ ვითა მჩვარი
ამის გამო თვითც შესწუხდა, გულსა ეცა რა მას ჭავრი,
ველარსად რომ მოიხილა, მუხლთ ღრეკით ახსენა ჭვარი:
46. ჩჩვიანს ქრისტეს ღვთისა ჭვარო, ნუ გამწირავ კიდელ ამით,
„რომ უხჭულთ უღმრთო კაცთა არ მივეცი ამა წამით,
„შენის ძალით და სახელით, გავიმარჯვო ამა უამით,
„შენ გხადოდე ყოველ მარად, რომ გადიდო მეცა ამით“.
47. მსწრაფლად ცითა მას დაბებრა სულმან წმინდამან მყოფელმან,
განაბრძენა მეფე ალღუზონ ძალით ნუ გეშის მცემელმან
აღსდგა, ხელს ჰყვა დიდი კმალი უხსჯნა მუნ სოფელმან,
კელჰყო ომსა ღვთის ძალითა და შეიფრთხო ნონნი ერთმან.
48. მოუქნია ხმალი ძნიად, მტერთ თავები ჰკვეთა დაკვრით,
ერთი მკლავის მოქნევითა ოცი მოჰკლა ხლმისა დაკვრით,
დატრიალდა შუას მათსა, ვით ბორბალი მინდვრის ქარით,
მეტის-მეტის სიმამაცით ბევრი მოჰკლა სისხლის ღვარით.
49. განაპო შუა ხარღარი, გაიარა შუა რაზმი,
ბოლოდამ შემოუტია, მათ დაჰყარეს თვისი კაზმი,
„მეფე ძლიერო, შენი ვართ ნუ გავწყვეტეთ ამანაზმი,
მხოლოდ ეხლა შეგვიბრალეთ, გემსახურნეთ გინთოთ ბაზმი“.
50. მწრაფლვე ყოველთ საკურველი ძირ დაჰყარეს კალთის შვებით,
დაემხვნენ და თაუვანი სცეს: „შადავათი მოგვეც შვებით,
„შენი ვართ ნულარ გავწყვეტავთ. ვიცით აღარ მოგვეშვებით,
შენ გმსახუროთ დაუტეთ ნონთა მეფე მოგეშვებით“.
51. წინა რაზმი დაიშალა ნონთა ჭარის მუსთვისადა.
ალღუზონ მეფეს შეუდგენ, ტყვედ მიეცნენ იქვე ხადა.
ეს ნონთა მეფემ შეიტყო. ვითომც არა ის თვისადა
მსთქვა: ეგ ცოტა არა ფერი, ვითამც თუ იყვნენ არსადა.
52. მოუსია ხანოვანნი ბრღღვინვითა და შმაგობითა,
ბრძანებით: „მოვკალთ ალღუზონ აღარ იყოს აქობითა,
ნათვი მისი აქ მომართვით და სისხლი მისი გობითა,
„აღმოჰხვარათ და აღმოსწყვიტეთ მისი გვარი სახლობითა“.
53. ოთხნი იგ შმაგნი ხეტაჯნი მასა მოუხდოდენ წამითა,
ჭარითა და იალქნითა, მოიღტოდენ სიჩქარითა,
თავსა ეხურათ ზარადი დაგრეხილისა ჭავრითა.
ტანთაცა ეცვათ ჭაჭვებით წინა უსწრობდნენ ჭარითა.
54. ხელთა ეკირათ გურზები მკლავ სახელულუბ აბჯრითა,
წელი ჰქონდათ მათ შეკრული რკინის ჭაჭვისა ბაწრითა,

თვალთ აქუეტდენ ცეცხლისა ფერ, კბილთა იღრქენდენ ცხვარითა,
მეხისხლდდა მუქარობდენ: „შევსვათ სისხლიო მწარითა“.

55. გარ მოერტუნენ ალღუზს ქარსა, მეღგრად მსცემდენ
გურს და ხოცდენ,
პუვიროდენ და „ქიკს“ იძახდენ, ალღუზონ მეფეს მოითხოვდენ,
„სად არის, ჩქარა გვაჩვენეთ, უნდა მოვკლათ! „იძახოდენ.
ვერ ვინ გაუძლო მათ მხედართ, გაიფანტენ. ბუნავობდენ.
56. ალღუზონთ გმირნი ვეზირნი გადუდგენ გულ სიმაგრითა.
მახვილ-სადილ შელეხილნი მათ უქვერეტდენ ნარნართა;
შმაგათ მოუხდენ ხტაქნი მურზთ იეკრეუდენ წარწართა,
მედგრათ დაუშინეს ამათ, თვალთგან მსწვეთღათ ცრემლცვართა.
57. წუეულთ ხეტაქთ გააფუქეს ორი გმირი ხანოვანნი,
ორი დარჩა ცოცხალ-მკვდარი სული პქროდათ სიწრმოვანნი.
ამისა ძლით გაიფანტენ ქარნი ალღუზონისანნი,
აქ ჩერქუთ მეფე ბატონსა დრო ერჩივნა მამისანნი.
58. რაღას მფერდა შმაგობასა, გულს ეგო საგონისანნი,
რაც ძალი პქონდა იტვირთა ხმალი საქურნი ომისანი,
გაუგება ალღუზ ხმისა, მათ ეტუოდა მე ვარ ხანი!..
მე გიჩვენებთ თქვენ უოფასა დამაცალეთ ცოტა ხანი!
59. ხეტაქთა არად იჩნიეს მუქარი მისის ხმისანი,
გვამი იყვენენ ქაჭეულნი, ხულითა ეშმაკისანნი,
აბრიალებდენ თვალთ ვითა ცეცხლის ალი თორნისანნი,
საკვემლად არ რა მიუდგათ კერპნი იყვენენ ომისანნი.
60. შენ ხარო მეფე მბლავანი, ვითა კრაქნი ქონისანი?
მიიპროდნენ ცეცხლის მგზავსებრ, მას ეცა შნო ღინისანი,
პირსა ქვარი დაისახა მსწრაფლ მოიღო ხმალოსანი,
ორთა გულ-წარისა ხმით თავი პქვეთა გიუსანნი.
61. იმ ორთაც შემოუტიეს, შეიშველეს რიგოსანნი,
გურზები შემოუმალღეს, დაუქნიეს თვითონ სამნი,
ალღუზმა ორივ იცდინა, წელს განუგდო თითოსანი,
აღიღო და მიწას დასცა ორივ უსულ-გულოსანნი.
62. მერეთ სხვითაც შეუტია, ვინცა იყვენენ იქისანნი:
„თქვენ წუეულნო ბოროტ მტერნო, აქ ჩვენი ხართ იქ სხვისანი,
აქ კაცს აკლიხართ, იქ მეფეს, ლუკმანი ხართ ვეშპოზღვისანი,
როგორ მხედავთ ჩემთან ბრძოლას!“ ღვარი მიდის სისხლისანი.
63. განეთქმოდა ვაჟაკობა ალღუზონ მეფეს სხვაებით,
რამსაზე შავის ზღვისასა მქდომს ეშიშოდენ ვებით,

შუა განაპო მან მეფემ, ვინ მოუხდა ამაუბით,
გაიფრთხო, რა გაიმარჯვა. მტერნი ჰხოცა წანალებით.

64. ჭარმა უკუნ მქცევმან კიდეც მიიწია ნონთ მეფემდინ,
გამზობელა ნონთ მეფემან პსთქვა, რათ მორბის იგ აქემდინ.
მშვენი მეფეს თუ წაართვეს მისსა ხეტაქთა აქემდინ,
არა არს რა საკვირველი მათგან. ამას იძახებდინ.
65. ამ დროს მიიქრა მეფესთან მკლავ მოტეხაჲ ხეტაქი:
სულ გავწუწუტა ალღუშ მეფემ, მათში ერთი მე გადავრჩი,
უკან მოგვდევს დიდის ხმითა, 'მენტან მოღის ალა ჰაჭი,
აღსდექ და ნულარ უყურებ. დაიყენე თავს დარაჭი.
66. წამოხტა განრისხებული. შემოირტყა წელსა ლახტი.
როგორ გაჰბელა იმანა, აქ მომეკრა, ბუმბი ბახტი?..
ეხლავ თავს შუა გაუპობ. ოხრად დარჩეს იმის ტახტი,
მიჩვენე გზა საით მოღის. ჩქარა აღსდექ ცხენსა შახტი..
67. შემოხტა ცხენს და მოეცა გზასა მას შავის მთისასა,
წინ მოგებნენ ჭარები. დაეფრთხო სუსსსა ხმლისასა:
სად მიხვალ ჩვენო ბატონო. მოგკლვენ შენცა იქ სხვისასა,
ჯორიქი ჯორცაჲ დაგვეკარგვის, სულს ვინ იტყვის იქ ცისასა.
68. ამით არა გაუგონა, დასდგა გზასა ნინდვრისასა.
გადმოეგება ალღუშონც. შეიბნენ ომს თვის თვისასა,
ნონმან ჰსცა ლახტი ალღუშნოს, აცდინა იქისასა,
მსწრაფლვე გურზი დაუქნია გულსა მოხვდა მიწისასა.
69. ვით თავემან ლომი იწვივოს, საომრად გამოიწვივოს,
ამ გვარად ნონთა მეფემან ალღუშონ გამოიწვივოს;
მარამ თავვი ლომს ჯელთაგან როგორ წავა გაიწიოს,
როგორ წავა იგ ცოცხალი. ჯაიქცეს. თუნდ დაიწიოს.
70. აქ იხილეთ მათი ბრძოლა. ომი როგორ მოუხდათ მათ:
ორნივე მშათ სდგანან გმირთ გმირნი. ნონი და ალღუშონ ხამათ;
ალღუშონ ჰსდგა, ნონს აცადა თუ რასა იქმს იგი წამათ,
ნონმა მას შემოუტია. ალღუშონ შედგა იმ ეამათ.
71. ნონმა ხმალი დაუქნია ალღუშ მეფეს ცხენზედ მქდომსა,
შუა უნდა გაეკათა, ნონს მესისხლეს, ავის მდომსა,
მარამ მსწრაფლ ცხენით გადმოხტა არ მიეცა სიკვდილს ომსა.
ცხენი ორათ განუკვეთა ნონმა ალღუშს, გმირსა ლომსა.
- მსწრაფლვე ცხენი სხვა მოართვეს ქებულსა დიდს ალღუშონსა,
ჰსდგა გმირი ალღუშ გულითა. არ შეჰკადრა ომი ნონსა;
მან მსწრაფლ ისარი შესტყოცნა, ალღუშ მოვიდა ხაგონსა,
ალღუშონ ცხენს ქვე მოექცა სიმამაციო ჰსჯობდა ნონსა.

73. ალღუზს ახცდა ვეზირს მოხვდა ფრიდ ნაქებსა იქროშსა, ნონმა გურზი მოიწოდა, მედგრად, დაჰკრა ალღუზონსა, იგი ცხენს გავას გადაწვა, გურზი მოხვდა ცხენს ნახტომსა, ალღუზ მორჩა ამ გასაცდელს სიმარდღეში ვერ ვინ მსჯობსა.
74. აწ რიგი ხამართალითა ალღუზისა მეფეთ ტომსა, ჯიშით აქვს და გვართ მოხდგამს, მარად მტერთა ხისხლსა, მარამ კიდევ ნონი გურზსა ცხარად თავს შემოიხომსა, დაუქნია მეოთხეთა გურზი ნონმა ალღუზონსა.
75. მან მუსღვარაი მოუხწრო, შეაშველა თავისი ხმალი, მსთქვა გულსა არაფერიო, შემწედ აქ მყავს მე უფალი. გურზი მისი ხმალსა მოხვდა ცეცხლი გაჩნდა იქ უშალი, გურზი ორად განიკვეთა, უნაგირს მხვდა მისი ნალი.
76. ვიდრე ცეცხლი განივლტოდა ბოლში იდგნენ, შეუწყალი რა ზურმა გადაიყარა უთხრა თავს მოიხსენ შალი, თორემ თავი გეტყინება შეირცხვინე ნუ ხარ ქალი. ალღუზ თავს სცა თვისი ხმალი ორად გაჰკვეთა ვით მკალი.
77. ორ ნაპრად ნონი გადაიქცა ორ ნაპრათ ცხენი მის ცალი კალმუხთა მეფე მოუკლა, მხარსა გაუდო მათ ჩალი; აქ კალმუხნი ძირს დაეცნენ: შენ გაქვს მეფეც დიდი ძალი, ნუ დაგვხოცავ გაგვიკითხე დღეგრძლად გუვენდესთ დედოფალი!
78. მიჰმადლა თვისსა მეფესა ერთი მუჰა ხისხლი მათი: აღდექით, აღემართენით, დასდექით ერთად ათ-ათი! ხაკურველნი ძირს დაჰყარეს, მიართვეს ხმა ხალამათი თავი დაუყრეს მეფეს და წარვლეს გზა იგი ჩუმათი.
79. რა ხლმითა და თვისის ხმითა ესრეთ დაიპყრა დამწუნი; ჯერ რომ მოჰკლა ნონ-ბატონი მეფე მათი ამახუნი; მერეთ ბრძანა ალღუზმ მეფემ: „ხად არისო ხმის ზუზუნი? დაიბანაკონ აქ ქართა, კარავ ჰფინონ სამხიარულონი“.
80. ამჟამად ხმა რამ შეისმა ქართა შუა ბოლოს მხრითა, მოიქრა მწრაფლვე იქ თხრობა ესრეთითა საუბრითა, შენ მაღალო ჴელმწიფეო! მტერი დაგვეხსნა ჩხუბითა, ამბობენ ჩეჩენთა კათრან მომხდომი არის მჩხუბრითა.
81. მხოლოდ ის იყო ეწადა მეფეს სვენა დავანებით, რა ესრეთ ხმა შეესმა, იქ უბრძანა ამა ნებით: „ვეკილნო დიდნო: პონ, ბიბორ, აბა წადით გაჩქარებით „შემიტყუთ დასანავანნო: ულდან სოყურ გარბებით!“

82. „თუ რა არს და რა მომხდარა ჩვენთ ქართ შუა ამ რიგებით, „თუ მომხდარა მტერი ჩვენზედ, ჩეჩენთ მეთუ დარიგებით, მსწრაფლად მამცნეთ საით მავლობს, იგ ბელურა შორიგებით, რომ ნაცვალი პასუს გება ღვთით მივუწყა ჩარიგებით“.
83. „მგონი მაგასაც რგებია სიმართლით შემორიგებით, „გემოს ხილვა სიკვდილისა კეთილ ცნობის ურიგებით, „რომელთა თვისთა იგი ბრძვის და აქ მოდის მტერი გებით, და მე ვიცი თავი მწყუდება, ვით ნარის ეკალსა, მხრებით“.
84. ვიდრემდის იგ შეიტყობდნენ, თუ ვინ არის სარდართა, კაინა ჩეჩენთ მთავარი მოუხდა მუნ მით ქართთა; იგი მთაზედან დარიგდა, ამათ იბრძოლეს ბართთა; მეტად დიდად შეადრტვინეს, გაიქციეს შვილდ ფართთა.
85. მახვილ ხადილ გამოუდგნენ, თან წაილეს არმართთა, მერე შესდგნენ, ბრძოლა უწყეს და გაირფრთხვეს გარგართთა, ესრეთ მსწრაფლად იქცეოდნენ. თვალს ვერ ახწრებდნენ არ რითთა, ესრეთ დააგეს ალღუშთა ქარი, ვით ქარიცქართთა.
86. მოხდა მსწრაფლ ცეცხლთ განჩინება ქართ შუა და ქართთა გართთ, აქ მოუკლეს ხანოვანი პონქებული შშვილდ-ისართთ, რომელიც მარჯვედ იბრძოდა შუას მათხა ესტიბართთ, დიდი მხედრობა გასწია, მარამ მოკვდა კი აქ მძაბრით.
87. ამ შემთხვევით გაფაციცდა დიდი ვეკილი ბიბორი, მსთქვა „რა პასუსი მივეგო ჩემს ქელმწიფეს? მოგვწყდა გორი, „არ რა ღირსად მოვისვენებ, მის შემდგომად ვით ვადორი. „დიდი მარჯვენა კი მოგვწყდა, — ხომ ჩამოვხმით ვითა ქორი?“
88. „ოჰ ნეტარო პონვექილო, რათ დაეცი, ვითა ქორი, „ვაუკაცობით ვერ ვინ გქობდა, შორით გქვეტდენ ვითა ლორი, „ახლოს-კი ვერ ვინ მოგბედა, წიხლით გესროდენ ვით ქორი, „შორით შვილდ-სარი გტუორცნეს და გამოგასაღმეს სწორი.
89. ესრეთი ომის ამბავი მეფეს ესმა, ვით თუ ქორი, არ ეგონა მოკვდებოდა პონვექილა, ტომით კორი, რომ მხნეა და დიდ მხედარი. ქელმწიფისხა არა შშორი, მსწრაფლ აქ მალხაზი მოიქრა „მოკლეს პონო მწღვისხა მდორი“.
90. ეს ალღუშმა გაიგონა, მსწრაფლვე მუხლს დაიქრა ქელი: „ეს რა საქმე მოხდენია, რომ მომქრია მარჯვე ხელი? „დადრიკნა მუხლნი შესწირა ღმერთს დიდება ცხარი-ცრემლით. „შენთვის მან სისხლი დასთხვია, ჩემთვის გამოიქრა უელი.

91. „ამ დროებასაც შევესწარ, რომ მომშრტი დიდი მცველი,
„ვთუ თუ მეცა გამეუაროს და გამიწურეს სულთა მცველი,
„რომ მეცა მომიხდეს იგი ანგელოზი სულთა მხდელი,
მარამ იყოს ნება ღვთისა, ვარ მადლობის შემწირველი.
92. განრისხებული ცხენს შეჭდა, შეიპურვა საქურველი,
გაუვიდა მწრაფლვ მტერთ ჭარსა იქ სისხლით შეღება ველი,
ჰმუსრა. ბასრი ხმლით ჩეჩენი არ ვინ იყო მათი მშვეელი,
ამ სიფიცხეს ხელი შესჭრეს ალღუს, მიეშველა მცველი.
93. ალღუში უკან დაბრუნდა. იარაღა ჭარში მტერი,
კიეილის და ფეხის ხმისგან ზეცას აღიოდა მტვერი.
სისხლის ღვრა დიდი შეიქმნა, შეიღება წითლად ფერი
მწემანცა შუბი ჩამართა, ცამ იცვალა სისხლად ფერი.
94. კაირჯან რა გაიგონა თუ ალღუს შეეპრა ცერი,
გარდმობტა ცხენით, რაშს შეჭდა, „ახლა კია ჩემი ჭერი“,
ხმლითა დააგო ალღუში. ვით ცელით მოსთიბო ქერი,
ყველა გარს შემოეფანტა ალღუშ დარჩა ერთი ღერი.
95. კაირანმა დაუქნია ხმალი. მას ეცვალა ფერი,
მარამ ალღუშ ძირს გადმობდა, მსწრაფლვე შეჭდა მისა მფერი.
გაიკრა ხელი მწრაფლ ხმალსა თავს ივლებდა, ვითა მღერი,
ჰსცა კაირხანს, ჰკვეთა, არვინ იყო მათთა მცქერი.
96. დაეცა ბინდი. დაბნელდა და გაშველდნენ ძლივს აქ მტერნი,
იმ ღამეს კი არაფერი. მეორეს ღღეს აღსდგენ ერნი,
კაირან მეფეს ეძებდენ, არსად უჩანთ დასხდენ მწერნი,
ალღუშმა თავი მეფისა გაუგზავნა: ნუხართ მცქერნი.
97. ეს იხილეს. ჩეჩენთ ჭარი მწუხარებით იქმნა მთვრალი,
მოთქმისა ხმითა ტიროდნენ მსმენთა თვის იყო საწყალი,
თვალთგან სწვეთღათ სისხლის ცრემლნი, გულსა ეღწნათ ცეცხლის
ალი.
მეტის-მეტის ცრემლთა ღენით სრულ ყოველთ ასტივღათ თვალი.
98. მოდიან ჭარნი საზარლად სისხლითა შეფერილები,
სტირიან: „შეპფერილ სისხლით ვართ გორად შედგენილები.
„მეფე ალღუშის მეჭიბრებ ჩვენა გვდის სისხლთ დაღვრილები.
„ხევები სრულად აღივსნენ, ვართ ობლად კაცთა შვილები.
99. ვაჰ! თუ ვერ ვჰკოვოთ კაირად დიდებულთათა მეფია,
„სიცოცხლე სიკვდილ გვეცვალა, სიკვდილი ხორცთა მკეფია,
„არც ცოცხალ გვიჩანს, არც მკვდარი. გულთა ისარნი მგებია,
„კაირან მეფე დაკარგეთ, ვაი რა ცეცხლი გვდებია“.

100. მსწრაფლად ელჩი აღლუზს ახლეს შერიგების სუფრას წვევად, აღარ ინებოს გამუსრვა ჩეჩენთ ჭართა, ჭართ მოსევად. მხოლოდ მისცეს ნება მათლა მშვიდობით სახლად მიწევად. რომ ამცნონ თვისთა დედოფალს თავი მეფისა გვამს მტევად.
101. ჭაშუშთა ნება მეფისა ესრეთ ჰყვეს. მის მოხსენებად: გექნების შენ სრული ნება, სიცოცხლისა მის გემებად, თუ ტასტსა თვისის საძირით უტევებ ჩემებრ აგებად, თუ არა, რისხვა მეფისა ცეცხლად მოღის შუბსა გებად“.
102. ეს დედოფალს რა მოხსენდა, უსულოდ დაეცემოდა, ხილვა თავისა მეფისა მეტ დიდად ეოცებოდა, უდუღდა გული დიდ წულულად. რა გონსა. მოეგებოდა, იტყოდა რად არ ჩამქოლავთ შემდეგ მეფისა?.. კვდებოდა.
103. მარ რას ჰფერდა მწუხარებით, თუმცა მეტად იხოჰვიდა, / თავიდან იგლეჭდა თმასა ოქროსოვანს, იშ. ოხრვიდა; აწ რაც უნდ ბევრი ეტირნა, მკვდარს ცოცხლად ვინ უშოვნოდა, მარამ მეტად ამას სწუსდა, რომ მის გვამსა ვერა ჰპოვიდა.
104. აქ დედოფალს მოახსენეს: აწ მეფე აღლუზ შოვიდა, გაიქრა მსწაფლ მიგებებად და ფერხთ მისთა ამბორივდა. სტიროდა უსაწყალესად და ფერხთა ქვე მის ჰგოდვიდა, მოახსენებდა, მოსთქმიდა. კაირან მეფეს ჰგლოვიდა.
105. ეგონა გვამი მეფისა დაეგდო მინდორსა ჰგვიდა, და შესკამდნენ მას ნადირნი, მისთვის მას არა ლარვიდა, დიდის თხოვნით და სურვილით მის წინ, მისთვის სულს ითქმიდა, შეასხმიდა ქებას მეფეს ტირილით ამას მოთქმიდა.
106. „დიდებულთა უხუცესო, ყოველთა მეფეთა თაო, უდიდებულესო ქელმწიფევ, ყოველთა მეფეთ სათაო, „უძლიერესო, გოდოლო მტკიცეო ურუეო მთაო. შეუძვრელო, მტკიცე ტახტო მეფობისა ყოველთაო“.
107. „ვეღირსებო, ბოლოს ვამსა მეც დავეგო ფერხთ თქვენთაო, „შებღალული, შეწურვილი და უმცირე ყოველთაო, „ვითხოვო ცრემლით მფქვევმა შეწუნარებად ძეთ ჩემთაო, „წყალობითა ვინუგეშო მშვილობა სცე შენთ ერთაო“.
108. „იგ კაირან მეფის გვამი, რომ შითაცა ვინუგეშო, „არ დამეკარგოს ჩემი მზე მარად საგონი ვუგეშო, „და მისი ოქროს ქოჩორი თავსა ზედა გაუეშო, აქ ვიხილო სულ უთქმელი, მაშინ თუმცა არ რამეშო“.

109. მუნ ინება აღლუზ მეფემ მუშანბაშით მის მორთმევა, მისცა ნება ხრული დაჰყოს, რაც წესად მათშია ძევა, აღუსრულონ და აღუგონ ძეგლი ზედა მას მშედმევა, დასწერონ ზედა კებულად კაირან მეფე ჭაჩევა.
110. ჭაშუშთა მას მსწრაფლ მოართვეს გვაში მეფისა ესევა, მას წინა გამოგება დედოფალი შავით ევა, — კუბოსაზედა ეწვია და კოლითა წამვე შევა, წარმოუდგინენ მას ასულნი მწუხარებითა სარჩევა.
111. შეასვენეს გვაში მეფის, სამეფო ტახტს დაასვენეს, ოქროსოვანსა შლილზედა, მარგარიტ მფენსა იქ სავსეს, მოუსხდნენ მნათნი გარს მთასა, მარის ხათუნს ცრემლით სავსე... და მათს თავსა მზე ბრწყინვალე მოშუქარედ ევა და სთქვის:
112. „ამისა წინად გიქვრეტდით, ნადიმისა, მეფევ, თავათ, „აწ მიწას სისხლი ჩაგიდგამს, შეგიღებავს იგი შავათ, დიდ მეფენი დიდებულნი მიგიწევდენ, სურნელ პავათ, „აწ სიყვდილს მიუწვევიხართ, მისთვის გძინავსთ იგრეთ ავათ“.
113. „დაგვყარე ობლად უვავილნი ფურჩქნილნი და კოკრნიშავათ, „ბალი სავსე უოველს კეთილს მოწეული სხვათა დავათ, „მოგვაშორე, მზეო, სხივი და ჩახვედით ჩვენთვის-თავათ „ჩვენც სომ დავქნით, დავივცვივდით, ვით ფურცელნი ხეთ და უავათ.
114. ჩვენ უპატრონოთ გვიტევეთ, შენ ჩასულხარ ოქროს ნავათ, „ნეტარ რა პასუხს ინებებთ, ვის მივეცნეთ ქათიბ წავათ, „ვის გვაბარებთ საუკუნოდ და ჩაგვიცვას ზამთრის ტუვავათ, „ვინდა დაგვდებს ჩვენ პატივსა, თუ არა თქვენ, ესრეთ გყავართ“.
115. „აღდეგი ძილი გეყოფა, როდის ხარ ჩვეული მისა, „ინებე კიდევ ერთიცა ჩვენთვის ამოღება ხმისა, „რას ნუგეშს გვიტევებ ჩვენა, ესე რას მიენთხვევიხა, „ჩაავეთ მახვილ ქარქაშს, არდარ ვის გვეშინის სხვისა“.
116. დაგვიბნელდა დღე მნათობი, სამყარო ცისა, არეო, „გმირთ მეფეს რისთვის შეებით? სიცოცხლე გავვიმწარეო, „დაქარგეთ სანკვდრო ტახტი, ვართ აწ სხვის შემხედვარეო, „ოხვრა კმუნვაში ბევრში ვართ, თვალთ გვდიან ცრემლნი მწარეო“.
117. „თვით წახველ ბალსა სამოთხეს, ჩვენ ვილას მიგვახარეო, „აწ ესრეთის ღალატებით, დაგვაყარეთ ესრეთ გარეო, „ან ვინც მოვიდის აქედგან, მოკითხვა დააბარეო, „ან ჩვენც გვიშოვნეთ აღგილი და ჩვენც იქ დაგვიბარეო“.

118. „ჩვენც იქა გვიგე სასახლე, კარგი და არა მდარეო,
 „რომ უოველთვის მანათობლად, იქ იუვეს მუდამ მთვარეო,
 „თორემ ჩვენცა თავს მოვიკლავთ, მაცდურსა მივაგვარეო,
 „ნუ დაგვკარგე სულით ხორ ცათ და ექიმი მოგვგვარეო“.
119. „ნეტამც მენახე ცოცხალი, როცა რომ სის ჯლსა ანთხევიდო,
 „ბრძანებდი დარიგებასა, არ ვის არ დიბარებდი,
 „ვითარ მოვიხდა აწ ესე, რომ მათ ჯელსაც ვერ დარევიდო,
 მავ რათ შეხვეული ცხარს ომსა, თუ ხმალს სისხლშიც ვერ გარევიდო“
120. „მარად ეამს ვზივართ მაშერალნი ცრემლითა შამამხმეირი
 „კაირან მეფეე დავკარგეთ ახოვანი და ძლიერი,
 „მამაცი. დიდი მხედარი. მშენიერი და მფთიერი.
 „აწ ალლუს მარად ემსახუროთ, ნუ შევიქნებით მშიერი.
121. „კაირან მეფეს ნეტარძი მიპრულებია დღეობით,
 „წარსულ არს ამიერიდგან ჭეჭავა ღვთისა წოდებით,
 „გვაში ამუშკრეს ბალზამით. სამარედ შიაკეთ გოდებით.
 „თვალ-მარგარიტის ოქროჟს კუბოთ სამარეს დადებით.
122. „დასაფლავება შესრულდა მისზედა ძეგლის აგებით
 შეწირვით ლექსად დაწერა მისისა მხნეობის ქებით,
 ესრეთ გულისა საქლავად, რომ მკითხველი ვერ დადგებით,
 „ეს დიდი კაირან მეფე ჭაჭევა მტერად ჭევეს. აქებლით“.
123. იმ ღამეს მუნ დაივანა ალლუშ მეფემ თვისის ქარით,
 მეორეს დღეს თვით წავიდა. ბიბორ დასვა ჩეჩენს, ამით
 ივეწიროს და იმფლობოს და შეპკრიბოს ხარჭი წამით,
 და უოველს წელს ალლუშ მეფეს იქ მიართვას ოთხი სამით.
124. აწცა გონება მივაპურათ, თუ რა მოხდა ნონთა შორის;
 რა ალლუშონ წამოვიდა, თუ რა მოხდა ნონთა შორის,
 შეიტყეს უოველთა ნონთა სიკვდილი კაირან-შორის,
 წარმოიგებნენ მიმავალს ძღვენებით, ეს ხმა არ არს ჯორის.
125. უოველი ფხვთ ქვე დაეგო უმფროსი გინა თუ უმცროს,
 ერთი ერთმანეთს სცდილობდნენ. ვინ წინ პატივსა მიუსწრო,
 რომ ჯელმწიფის წუალობამან მიიღოს უფრო ისორო,
 უოველგან ძღვენები შესწირეს სად გზა იყო გან თუ ვიწრო.
126. ნონთ კალმუხთა ქვეყანა მან სრულებით ხელით დაიპურო
 მრთლად მონღოლია ჯალაქით მათით ერთის ხმით შეიპურო
 ესრეთ, რომ წინ მოეგებნენ ლანგარ ლამპრითა წაიპურო
 მოპქონდათ სინებით ძღვენი, ოქროსა ლანგრით ამიმხრო.

127. აქ ნონთა სამნი ქალები წინ მოგებნენ შვენებით, ელეონ. ელირონია და ლესტანია ძღვენებით, მრავალნი ახლდენ მათ მშენნი და მოუძლოდენ ცხენებით, ალღუზონს წინ ძირს დაემხვნენ, ფერხსა დაჰბადნენ ცრემლებით.
128. მწარეთ მოსთქვამდნენ ტირილით მაშინ სიკვდილს და ოხრობას „დიდად დიდო ქელმწიფეო, ნუ მოგვაპყრობ უარეს ყოფას „შემდეგ ჩვენისა მაშისა, ოქვენა გპოვებთ ქაბუკობას, „შენგნით ველით პატრონობას, წყალობას და ყრმათა მკობას“.
129. „ვიცით ჩვენო ხელმწიფეო არ წავგიხდენ ამაგობას, „და შეისმენ ჩვენსა თხოვნას და ცრემლითა ამა თხრობას, „მოწყალე ხარ მეტად დიდად, არ მოგვიშლი სულთა მკობას „თქვენ საქებლად ჩვენც გვაცოცლებთ არ ინებებთ სულთ გაყობას“.
130. „აწ ყოველი ჩვენი მკვიდრად აწ მიირთვიდ ამაყობას, „თავად მთავრად და ხელმწიფედ ჰგიებთ მარად ამაყობას, „ჩარდახს ლხინსა და მეჭლიშსა მარად უწყუთ კარგსა ყოფას „სამუდამოთ დაივანეთ ტახტსა ზედა მარად ყოფას“.
131. „სახლნი, კარნი გაწყობილნი კოშკნი გარს გალავნებითა, „მწვანეთ ხეთა ჩრდილთ ჩარდახი თვის საცხოვარ სამყოფთა. „ალისფერნი ჩარდახ კარვნი, სახვენნი მწყობრობითა; „სრულ მიირთვით სასიამოვნოდ და დამკვიდრლით მშვიდობითა“.
132. „სახლნი, კარნი აღმასებით შემკობილნი კიდეებითა, „წინ მინდორი მშენიერი მწვანეთ ყვავილთ ვარდებითა, „სავსე მრავლითა სამოთხის უშვენესთ ყვავილებითა, „შემოსცინიან მხედველთა, შუქს აწვდიან მკიდობითა“.
133. „მრავალ ფერნი და სხვა და სხვა იგი წალკოტის ხილები, „ტურფად სდგანან მრავალ-ფერად ყოველ თვალთ მოსალხინებო, „თვითოს კორდსა ზედა ჭგუფათ ია იყვენ გაშლილებო, „ვარდნი, ნარგიზნი, ზამბახნი, ფერად ყვავილ თვით შლილები“.
134. მხედველთ გონებას ტაცებენ თვალთ საჩინონი ფრინველები. წალკოტსა ამას შინაგან აუზნი სდგან აღვსილები, აღმასებრ მოწანწყარებენ შუას მისსა წყაროს წყლები. უწვდად მშენიერად გალობენ ფრინველნი ბულბულ-მერცხლები“.
135. „თვითოს თვითოს ნაბიჯსაზე იდგნენ ვარდნი გაშლილები, „წყაროთა მათ გარეშემო გაშლილ იყვენ ყვავილები „სათუთ-ნაზად მღიმარებდენ თაიგულად შეკრულები, „და რტოთაგან ამოსცქერდენ გასაშულელათ კუკურები“.

136. „ესრეთ იყო ნონთ წალკოტი, მაგრამ ენას ვესაწულები,
„თავსა ამ წალკოტებისა თლილად იდგა მათ სახლები,
„მარმარილოს ქვით ნაგები, ოქროს ზღულით ნაგები
„ჩარდახი პქონან სულ გარსა ხავერდის მოკაწმულები“.
137. „ზედ ვაზი იყო მწვანეთა მშვენიერად ასულები,
„ტევეან სრულნი, შემწიფულნი, ზედან ესხათ გასულები
„თვითო თვითო წყრთის სიგანეს ვარდი იქ აღმოსულები,
„გარშემო წყარო უვლიდა ნათ ქქონდა სინარულები“.
138. „მათ შუა ოქროს გალიით იუვენენ ჩიტნი კიდებულთ
ვარდის ჩიტნი მეტად მშვენნი ერთმანეთს გადაკიდებულებში
„ურთიერთს ელექსებიან, იუვენენო წაკიდულები
„ძვირფასად იუვენენ ნაშოვნი შორის მხრით მოსყიდულები“.
139. „სახლს თავს ედგა გვირგვინები ძვირ თვალთ მოკირწყლულები
„შორით მხედველთ თვალსა სჭრიდენ, იუვენენ გულით დამწყსულები,
„ბანზედ მწვანე უვავილ ველი. ზედ ტახტები დადგმულები
სახვე იყო მარგალიტით და თვალეზით შუაგულები“.
140. კარნი ქქონდათ გარეთ ვერცხლის ფერის ყალბს ჩამოსხმულები,
შიგნით ოქრო დაფანჯრული მშვენად გამოსახულები,
„ფანჯრები ქქონდა ბროლისა ტურფად აფერადულები,
„მკვიდრად იყო მოქედილი ფანჯრები და სასულები“.
141. აქა მეფე აღლუზონი სატახტო სახლსა იწვიეს.
წინ მოეგებნენ ვეზირნი ნონისნი ტახტად ისვიეს,
ქაბაირ, სარათ და თიბაყ თავს დახრით ქეული იხვიეს,
და ქურუფატრი ნაზირსა წინ-მიძლოლა ჰსძღვნეს სიტყვიერს.
142. რა დასაჯდა ტახტსა ძვირ ფასსა ნონლოლთასა ოქროსიერს,
ხელს იტვირთა მძლეი სკიპტრა, გვირგვინი ოთხთა იგპიერს,
ოქროსა სინით მოართვეს თავმუხლ ღრეკითა იქ მიერს,
თავსა დაადგეს მეფესა — მადლობა მისძღვნეს ღმერთს ციერს.
143. თავსა ადგნენ მეფეთ ძენი და ასულნი მას ხშიერსა.
დაპბრძანდა და თვითანა სინარული უდგათ ერსა,
გამოხდა წყალობისა ხმა: „მშვება ქქონდეს სამ წელს თემსა“
პბრძანა მეფემ: „მოუწოდეთ დედოფალსა ჩემს ეთერსა“.
144. ამ უამად ეთერც ეწვია დიდას დიდებით მოსული,
